ABSTRACT. Among the many components that cause corrosion of metal pipes, water is the most effective agent. It promotes hydration to the environment and activates the metabolism of microorganisms, causing a biological

corrosion. Moreover, groundwater salt dissolves soil and its biochemical transformations form corrosive compounds on metals, such as sulfuric acid and different organic acids. There have been studied data of chemical analysis of water samples, defining their origins for the protection of new pipes laid from water corrosion. Aggressive influence of groundwater on the corrosion sites of the metal pipes of the rehabilitated pipeline is estimated and the extent of aggressive influence of the environment on metal constructions as well.

KEY WORDS: aggressive influence; mineralization; soil; trench; water-pipe.

UDC 62.197:541.427.7

SCOPUS CODE 1907

ИЗУЧЕНИЕ АГРЕССИВНОГО ВОЗДЕЙСТВИЯ ГРУНТОВЫХ ВОД НА ПРИМЕРЕ МЕТАЛЛИЧЕСКИХ ТРУБ РЕАБИЛИТИРУЕМОГО ТРУБОПРОВОДА В ДИГОМСКОЙ ДОЛИНЕ

- Звиададзе У.И.** Департамент прикладной геологии, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 75
E-mail: u_zviadadze@gtu.ge
- Дзадзамия Т.Д.** Институт гидрогеологии и инженерной геологии, Грузинский технический университет, Грузия, 0126, Тбилиси, с.Дигоми, ул.Моцикулта Сцори цминда Нино 1
E-mail: tina.dzadzamia@gmail.com
- Мардашова М.Л.** Департамент прикладной геологии, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 75
E-mail: m_mardashova@gtu.ge

Рецензенты:

- М. Лапиашвили**, ассоц., профессор Департамента прикладной геологии горно-геологического факультета ГТУ
E-mail: m.lapiashvili@gtu.ge
- Дж. Татишвили**, профессор Департамента прикладной геологии горно-геологического факультета ГТУ
E-mail: j.tatishvili@gtu.ge

АННОТАЦИЯ. Среди тех многочисленных компонентов, которые вызывают коррозию металлических труб трубопроводов, вода - самый известный и агрессивный агент. Она способствует увлажнению окружающей среды и активации метаболизма микроорганизмов, вызывающих биокоррозию. Кроме того, грунтовые воды растворяют почвенные соли, после биохимического превращения которых на металлах образуются коррозионные соединения, такие как серная кислота и разные органические кислоты. Для защиты новозаложенных труб от водянной коррозии изучены данные химического анализа водных проб, определено происхождение водных образцов. Оценено агрессивное воздействие грунтовых вод на коррозионные участки металлических труб реабилитируемого трубопровода. Определена степень агрессивного влияния окружающей среды на металлические конструкции.

КЛЮЧЕВЫЕ СЛОВА: агрессивное воздействие; водопроводный грунт; минерализация; траншея.

UDC 620.197:541.427.7

SCOPUS CODE 1907

ბრძოლის ფიზიკური თვისებების შესწავლა თბილისში, დიდის გელზე სასხლი
ტყლის მიღსაღების განთავსების ტრანსფერი

მ. ლაპიაშვილი

გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 75

E-mail: m_lapiashvili@gtu.ge

ზ. კაკულია

ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0126 თბილისი, ს. დიდომი,
მოციქულთა სწორი წმინდა ნინოს 1

E-mail: zukakulia@yahoo.com

ხ. ავალიანი

გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 75

E-mail: kh_avaliani@gtu.ge

რეცენზენტები:

მ. მარდაშვილი, სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის გამოყენებითი გეოლოგიის დეპარ-
ტამენტის ასოცირებული პროფესორი

E-mail: m-mardashova@gtu.ge

ჯ. ტატიშვილი, სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტა-
მენტის პროფესორი

E-mail: j.tatishvili@gtu.ge

პროფაცია. სასმელი წყლის მიღები გარკვეუ-
ლი დროის გასვლის შემდეგ საჭიროებს გამოცვ-
ლის, რადგან განიცდის მავნე ფაქტორების ზე-
მოქმედებას, ზიანდება კოროზიული პროცესების
მიმდინარეობის გამო და ვეღარ უზრუნველყოფს
მოსახლეობის მომარაგებას სუფთა სტანდარტუ-
ლი სასმელი წყლით. იმისათვის, რომ გახანგრძ-
ლივდეს ახლად ჩაწყობილი მიღების გამდლეო-
ბის ვადა, აუცილებელია წინასწარ გამოვიკვლი-
ოთ ყველა ის ცნობილი აგრესიული აგენტი,
რომლის განსაზღვრა შეამცირებს რკინის მიღებ-

ზე კოროზის წარმოქმნის შესაძლებლობას.
ერთ-ერთი ასეთი ძლიერი აგენტი არის აგრესიუ-
ლი არგ-გრუნტი. კოროზიული რღვევის ამ სახე-
ობას უქვემდებარება ნიადაგში მდებარე ლითო-
ნები და ლითონთა კონსტრუქციები, მათ შორის,
მიწისქეშა რეზერვუარები, მილსადენები, კაბე-
ლები და სხვა. გრუნტისმიერი კოროზის მექა-
ნიზმის განსაზღვრისათვის და ახლად ჩაწყობი-
ლი მიღების კოროზიული პროცესებისაგან და-
საცავად, სასმელი წყლის მილსადენის განთავ-
სების ტრანსფერი ჩატარებულია გრუნტის საკვ-
ლევი ნიმუშების ლითოლოგიის ვიზუალური

აღწერა. შესწავლით გრუნტის ფიზიკური მახასიათებლები და ქიმიური თვისებები, მისი გრანულომეტრიული შედგენილობა. დადგენილია კოროზის გამომწვევი თითოეული ფაქტორის როლი პროცესის განვითარებაში.

საგანძო სიტყვები: აგრესიულობა; ამორტიზებული მილები; გრუნტი; კოროზია; მიკრორგანიზმი; მილსადენი; ფორიანობა.

შესავალი

გრუნტის კოროზიულ აგრესიულობას მრავალი ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის ტენიანობა, წყალბად-იონების კონცენტრაცია pH, აერაცია, ქიმიური შედგენილობა, ფორიანობა, ჟანგვა-აღდენითი პოტენციალი და ა.შ. კოროზიული აქტიურობის მიხედვით განასხვავებენ მაღალი, საშუალო და დაბალი აგრესიულობის გრუნტებს. თიხნარი გრუნტები დიდხანს ინარჩუნებს ტენს, რის გამოც ძლიერ აგრესიულ კოროზიულ აგენტად ითვლება. ქვიშნარი ნიადაგ-გრუნტები კოროზიასთან მიმართებაში პრაქტიკულად ინერტულებია. ტორფიანი, თიხნარი, ჭაობიანი ნიადაგები, რომლებსაც ორგანული მჟავების მაღალი შემცველობა ახასიათებთ, გამოირჩევა ძლიერი ნეგატიური ზემოქმედებით მათში მოხვედრილი ლითონების მიმართ

ძირითადი ნაწილი

მილსადენის ტრანშეაში ახალი მილების ჩაწყობის წინ, შესწავლილ იქნა მილსადენის განთავსების გრუნტის ფიზიკური მახასიათებლები და ქიმიური

თვისებები, ჩატარდა გრუნტის შედგენილობის ლაბორატორიული გამოკვლევები.

სამუშაო ობიექტი დიღმის ველზე მდებარეობს. წყალსადენის ძველი, ამორტიზებული მილების ახალი მილებით შეცვლა 300 მეტრის სიგრძის მონაკვეთზე მიმდინარეობდა. დავალებით გათვალისწინებული იყო ერთმანეთისგან დაახლოებით 50 მეტრის დაშორებით, გრუნტის 6 ნიმუშის აღება-შესწავლა.

სანამ უშუალოდ მილსადენზე გარემოს აგრძნელი ზემოქმედების დახასიათებაზე გადავიდოდეთ, მიზანშეწონილია მოვიყვანოთ შესასწავლად აღებული 6 ნიმუშის ლითოლოგიის ვიზუალური აღწერა. ცხადია, ეს აღწერილობა ვრცელდება მილსადენის ჩასაწყობად განკუთვნილი 300 მეტრის სიგრძის ტრანშეის მთლიან მონაკვეთზე, რამდენადაც გრუნტების ლითოლოგიური სურათი მილსადენის ტრასაზე იდენტურია.

ნიმუში №1 აღებულია ახალი მილსადენის ჩაწყობის საწყის წერტილში (სამხრეთის მხარე). ამ ადგილას გადაღებულ ფოტოზე ძველი, 1500 მმ დიამეტრის ამოღებული მილსადენი არის აღბეჭდილი, ასევე $2.0 \div 2.5$ მ სიღრმის ტრანშეაში ჩაწყობილი 1200 და 1400 მმ დიამეტრის, თურქული წარმოების ახალი მილები.

გრუნტი წარმოდგენილია მკვრივი, მოყავისფრო თიხნარით, რომელშიც მრავლადაა სხვადასხვა ზომის კარგად დამუშავებული კენჭის და კაჭარის ჩანართები. ტრანშეის ფერდოს გაშიშვლებულ ზედაპირზე თაბაშირის თეთრი ფერის ლაქები აღინიშნება. აქვე, ძველი მილის ზედაპირიდან ჟანგის ნიმუში არის აღებული (№1).



ძეგლი ამორტიზებული მილსადენი თურქული
წარმოების ახალი მილსადენი

ნიმუში №2 აღების წერტილი წინა წერტლი-დან 63 მეტრით არის დაშორებული. ამ ადგილას ტრანშეის ფერდოები აგებულია ნაყარი გრუნტის გადაზედილი დია ყავისფერი პლასტიკური თიხებით, კენჭების და კაჭარის ჩანართების გარეშე. ხელოვნური ნაყარის გენეზისზე

გრუნტში გაფანტული აგურის ნატეხები მიუთითებს. შესაბამის ფოტოზე მოჩანს წყლის წვრილი ნაკადი, რომელიც ძეგლი, ჯერ კიდევ არ-დემონტირებული მილსადენიდან გამოედინება. ამავე მონაკვეთზე აღებულია წყლის სინჯი №1.



პლასტიკური თიხის ნიმუში



თიხნარი გრუნტი კენჭების და
მცენარეთა ფესვების ჩანართებით

ნიმუში №3 აღებულია წინა ნიმუშიდან 50 მეტრის დაშორებით. ტრანშეის მარჯვენა ფერდოზე გაშიშვლებულია დია ყავისფერი პლასტიკური თიხა, ნატეხების იშვიათი ჩანართებით.

№4 და №3 ნიმუშების აღების წერტილებს შორის მანძილი 60 მეტრს შეადგენს. **ნიმუში №4** აღებულია 2 მ სიღრმის ტრანშეის მარჯვენა

ფერდოზე. ვიზუალურად დია ყავისფერი შეფერილობის მკვრივი თიხნარი გრუნტია, ნატეხების ჩანართებით. ამავე ადგილას ტრანშეის ფსკერზე გუბურიდან აღებულია წყლის სინჯი №2, ხოლო დაუანგული მილების გარე ზედაპირიდან – უანგის ნიმუში (№2).

ნიმუში №5 აღებულია მილსადენის ჩასაწყობად განკუთვნილი ტრანზეის მარცხენა ფერდოზე წინა ნიმუშიდან 55 მეტრის დაშორებით. ფერდო აგებულია ინტენსიურად გათაბაშირიანებული, აგრეთვე კარბონატების შემცველი მკვრივი ფავისფერი თიხნარით, რომელშიც კარგად დამუშავებულ, სხვადასხვა ზომის კენჭების და კაჭარის ჩანართებს ვხვდებით. აქვე, ფსკერზე წარმოქმნილი გუბტურიდან აღებულია წყლის №3 ნიმუში.

ნიმუში №6 აღებულია საველე სამუშაოს დამამთავრებელ ეტაპზე, ტრასის ბოლო წერტილში, წინა ნიმუშის აღების ადგილიდან 60 მეტრის დაშორებით. გრუნტი წარმოდგენილია მკვრივი მოყავისფრო თიხნარით, კენჭების იშვიათი ჩანართებით. ზედაპირზე თეთრი ფერის გამონალექები თაბაშირს და ნაწილობრივ კარბონატებს უნდა შეიცავდეს. აქვე, ამორტიზებული მილის ზედაპირიდან ავიდეთ ჟანგის №3 ნიმუში.

რაც შეეხება სასმელი წყლის მილსადენის განთავსების გრუნტების ფიზიკური თვისებების შესწავლას, საკვლევი ობიექტის ამგები გრუნტების საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შეფასების მიზნით მიწის პირიდან დაახლოებით 2.5 – 3.0 მ სიღრმის ტრანზეაში აღებულ იქნა 6 საანალიზო ნიმუში. ამ ნიმუშების ლაბორატორიული შესწავლის გზით განისაზღვრა გრანულომეტრიული შედგენილობა და ფიზიკური მასასიათებლები. კვლევები ჩატარდა არსებული სტანდარტების და სამშენებლო ნორმებისა და წესების (სნდაწ 1.02.07 – 87) მოთხოვნების შესაბამისად. [1, 2].

ვიზუალური შეფასებით, გრუნტის ნიმუშები წარმოდგენილია ფხვიერ-კომპტოვანი (ნიმუშები №№1, 4, 6), რბილპლასტიკური (№№2, 3) და კარბონატული თიხნარების (№6) სახესხვაობებით. ყველა ნიმუში გარდა №6 ნიმუშისა ინტენსიურად რეაგირებს მარილმჟავასთან და მეტნაკლები რაოდენობით შეიცავს მსხვილნატეხოვან (> 2მმ) ფრაქციას.

ლაბორატორიული შედეგების ანალიზის მიხედვით და გრუნტების კლასიფიკაციის სახელმწიფო სტანდარტის (სახ. სტანდარტი 25 100 – 82) შესაბამისად [3, 4], შესწავლილ გრუნტებს შორის ორი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სბგ) გამოიყოფა: თიხები (სბგ I) და თიხნარები (სბგ II). თიხაში (სბგ I) პლასტიკურობის რიცხვი $I_d = 18 \div 31$ ფარგლებში მერყეობს, ხოლო თიხნარებში (სბგ II) – $I_d = 11 \div 17$. კონსისტენციის მაჩვენებელი მხოლოდ ერთ ნიმუშში (ნიმუში №5) არის ნულზე ნაკლები – $I_d < 0$, ხოლო დანარჩენ ნიმუშებში ეს სიდიდე $I_d = 0.06 \div 0.68$ ფარგლებში იცვლება. შესაბამისად, განსახილველი გრუნტები კონსისტენციის მიხედვით იყოფა მაგარ ($I_d < 0$), ნახევრად მაგარ ($0 \leq I_d \leq 0.25$; ნიმუშები №№1, 4, 6) და რბილპლასტიკურ ($0.5 \leq I_d \leq 0.75$; ნიმუშები №№2, 3) სახესხვაობებად. გრანულომეტრიული შედეგებინილობის მიხედვით შემდეგი სურათი აღინიშნება: თიხაში თიხური ფრაქციის (< 0.002 მმ) რაოდენობა $31 \div 51\%$ შეადგენს, თიხნარებში $16 \div 29\%$, მტვროვანი ფრაქციის ($0.002 \div 0.05$ მმ) შემცველობა $19 \div 43\%$ ფარგლებში მერყეობს, ქვიშური ფრაქციისა ($0.05 \div 2.0$ მმ) $7 \div 25\%$, უხეშნატეხოვანი მასალისა (> 2.0 მმ) $6 \div 32\%$ ფარგლებში. შესაბამისად, გრუნტები წარმოდგენილია ხრეშით ($2.0 \div 20.0$ მმ) $- 6 \div 17\%$ და $4 \div 5$ სმ ზომის კენჭნარით ($20 \div 200$ მმ) $5 \div 15\%$ რაოდენობით, ხოლო ერთი ნიმუში №4 წარმოდგენილია დორდით. ზემოთ ხესხებული სახელმწიფო სტანდარტის (სახ. სტანდარტი 25 100-82) შესაბამისად, უხეშნატეხოვანი მასალის შემცველობის მიხედვით შესწავლილი გრუნტები იყოფა ხრეშისა და კენჭების (> 2.0 მმ; $15 \div 25\%$), ხრეშიან-კენჭებიანი (> 2.0 მმ; $25 \div 50\%$) და ხვინჭიან-დორდიანი ქანების სახესხვაობებად.

მილა სალექნის განთვალსაზღისის გრუნტების ფიზიკური მახასიათებლების შემსაჯამშებლი ცხრილი

მუნიციპალიტეტი სამსახური (მუნიციპალიტეტი) მაცხოველი	გრუნტების მდგრადი და უძველესი დანართი % მდგრადი და უძველესი დანართი	სიმამაგრე P, კ/მ³	გრუნტების მდგრადი და უძველესი დანართი % მდგრადი და უძველესი დანართი	გრუნტების მდგრადი და უძველესი დანართი % მდგრადი და უძველესი დანართი	
				მუნიციპალიტეტი M ₁	მუნიციპალიტეტი M ₂
1 თიას ქადაგის მუნიციპალიტეტი სამსახური, მაცხოველი	I ¹ — — 6 20 43 31 0,20 1,84 2,74 1,53 0,44 0,7908 0,29 0,69 0,21 0,38 0,20 18 0,06 1 სო 2,5				
2 თიას ქადაგის მუნიციპალიტეტი სამსახური, მაცხოველი	I ₁ ² — — 6 17 7 19 51 0,25 2,03 2,76 1,62 0,41 0,7037 0,25 1,00 0,32 0,47 0,16 31 0,52 5 ჭო 2,5				
3 თიას ქადაგის მუნიციპალიტეტი სამსახური, მაცხოველი	I ₂ ² — — 15 17 8 23 37 0,24 2,01 2,75 1,62 0,41 0,6975 0,25 0,96 0,38 0,45 0,23 22 0,68 10 ჭო 2,5				
4 თიას ქადაგის მუნიციპალიტეტი სამსახური, მაცხოველი	I ¹ — — 5 10 20 30 35 0,17 1,83 2,74 1,56 0,43 0,7564 0,28 0,61 0,20 0,36 0,16 20 0,20 გვერდი 2,5				
5 თიას ქადაგის მუნიციპალიტეტი სამსახური, მაცხოველი	I ₁ ³ — — 5 14 25 40 16 0,12 1,86 2,72 1,66 0,39 0,6386 0,23 0,52 0,15 0,32 0,21 11 <0 2 სო 3,0				
6 თიას ქადაგის მუნიციპალიტეტი სამსახური, მაცხოველი	I ₁ ² — — 11 14 15 31 29 0,18 1,8 2,73 1,53 0,44 0,7843 0,29 0,62 0,24 0,40 0,23 17 0,06 1 სო 2,2				

ნიმუშების ბუნებრივი ტენიანობა (W_0) ტოლია $0.12 \div 0.25$ ($12 \div 25\%$). W_0 -ის მინიმალური მნიშვნელობა (0.12) აღინიშნება კარბონატულ თიხნარზი (ნიმუში №5), მაქსიმალური $0.24 \div 0.25$ - რბილპლასტიკურ თიხებზი (ნიმუშები №№2, 3). წვრილმარცვლოვანი შემადგენლობის (<2.0 მმ) გრუნტებზი ტენიანობა მერყეობს $0.15 \div 0.32$.

მყარი ფაზის (მინერალური ნაწილის) სიმკვრივე (ρ_g) კარბონატულ თიხნარზი (ნიმუში №5) ტოლია 2.72 გ/სმ 3 , დანარჩენ ნიმუშებზი ეს მაჩვენებელი $2.73 \div 2.76$ გ/სმ 3 ფარგლებზია. ბუნებრივი სიმკვრივე (ρ) რბილპლასტიკურ თიხებზი (ნიმუშები №№2, 3) შეადგენს $2.01 \div 2.03$ გ/სმ 3 , ფხვიერკომპოვანი თიხების (ნიმუშები 1, 4) და თიხნარის (ნიმუში №6) მერყეობს $1.80 \div 1.84$ გ/სმ 3 ფარგლებზი; კარბონატული თიხნარის (ნიმუში №5) ბუნებრივი სიმკვრივე 1.86 გ/სმ 3 ტოლია. ამ უკანასკნელის და რბილპლასტიკური თიხების (ნიმუშები №№2, 3) ფორიანობა (n) არ აღმატება $0.39 \div 0.41$ ($39 \div 41\%$), დანარჩენი ნიმუშებისთვის ეს მაჩვენებელი $0.43 \div 0.44$ ტოლია.

წყლიან გარემოში ფხვიერ კომპოვანი ქანების მასიდან აღებული ნატეხების, რბილპლასტიკური და კარბონატული ქანების წყალმედეგობა იცვლება $5 \div 10$ წუთის ინტერვალიდან $1 \div 2$ საათის შუალედში და მხოლოდ ერთი მათგანი (ნიმუში 4) არის წყლისადმი მდგრადი.

სამშენებლო ნორმებისა და წესების რეკომენდაციით [3, 6], გრუნტის ტიპის, ფორიანობის კოეფიციენტის (ε) და კონსისტენციის მაჩვენებლის გათვალისწინებით, თიხაზე დასაშვები დატვირთვა ტოლია 2.5 კგ/სმ 2 ; მაგარი კონსისტენციის თიხნარზე (ნიმუში №5) 3.0 კგ/სმ 2 , ნახევრად მაგარზე – 2.2 კგ/სმ 2 .

ქვემოთ მოცემულია მილსადენის განთავსების გრუნტების ფიზიკური მახასიათებლების შემაჯამებელი 1-ელი ცხრილი.

დასკვნა

განსაზღვრულია ძირითადი პარამეტრების ჩამონათვალი, რომლებიც კოროზიულ ზემოქმედებას ახდენს მეტალის კონსტრუქციებზე ზოგადად და, კერძოდ, სასმელი წყლის მილსადენზე. დეტალურად არის დასასიათებული კოროზიის გამომწვევი თითოეული ფაქტორის როლი პროცესის განვითარებაში. მილსადენის განთავსების გრუნტების ლითოლოგია, მათი ზოგადი ფიზიკური თვისებები – საკმაოდ მაღალი ფორიანობა, რაც ვენტილიაციის ხელსაყრელ პირობებს ქმნის, აგრეთვე ტენიანობის ოპტიმალური მნიშვნელობა, გრანულომეტრიული შემადგენლობა, ყოველივე ეს ერთად აღებული, მიკრორგანიზმების გამრავლებას და მათი ცხოველქმედების გააქტიურებას ხელს უწყობს, რაც, როგორც ცნობილია, საბოლოოდ რკინის მილების კოროზიაში ვლინდება.

ლიტერატურა

1. Lomtadze V. Physical and mechanical properties of laboratory research methods. Tbilisi. "Ganatleba". 1989. (In Georgian).
2. SNiP 1.02.07-87. Engineering survey for construction. M., Gosstroy. USSR. 1988. (In Russian).
3. Lapiashvili M.. Soil Science. Engineering Petrology. Tbilisi. Publishing house "Teqnikuri Universiteti". 2013. (in Georgian).
4. GOST 25 100 -82. Soil Classification. M., 1982. (In Russian).
5. Sergeev E. General Soil Science. izdatelstvo MGU, 1952. (in Russian).
6. Terzaghi K. Peck R. Soil mechanics in engineering practice. M., Gostroizdat. 1958 (in Russian).

UDC 620.197:541.427.7

SCOPUS CODE 1907

STUDY OF PHYSICAL PROPERTIES OF SOIL IN THE TRENCH OF DRINKING WATER PIPELINE IN TBILISI, IN DIGOMI VALLEY

M. Lapiashvili	Department of applied geology, Georgian Technical University, 75 Kostava str., 0175 Tbilisi, Georgia E-mail: m_lapiashvili@gtu.ge
Z. Kakulia	Institute of Hydrogeology and Engineering Geology, Georgian Technical University, 1 Tsminda Nino str., Village Digomi, 0126 Tbilisi, Georgia E-mail: zukakulia@yahoo.com
Kh. Avaliani	Department of applied geology, Georgian Technical University, 75 Kostava str., 0175 Tbilisi, Georgia E-mail: kh.avaliani@gtu.ge

Reviewers:

M. Mardashova, Associate Professor, Department of applied geology, Faculty of mining and geology, GTU

E-mail: m_mardashova@gtu.ge

J. Tatishvili, Professor, Department of applied geology, Faculty of mining and geology, GTU

E-mail: j.tatishvili@gtu.ge

ABSTRACT. After the certain time the pipes of drinking water need to be rehabilitated since they are affected by a set of harmful factors, collapse under the influence of corrosion processes and become useless to provide the population with clear, standard water. To prolong durability of the new laid pipes, it is necessary to study in advance all known aggressive agents and define them to reduce possibility of corrosion on iron pipes. One of such strong agents is aggressive environment soil. The metals and its constructions in the soil (such as underground tanks, pipelines, cables, etc.) are exposed to this type of corrosion destruction. Visual description of lithology of soil samples is carried out to trenches of the pipeline of drinking water to determine the mechanism of soil corrosion and protect new laid pipes from the corrosion processes. Physical and chemical characteristics of soil, its particle size distribution are studied as well defining the role of each factor in the corrosion process development.

KEY WORDS: aggression; amortized pipes; corozion; microorganism; pipeline; porosity; soil.

UDC 620.197:541.427.7

SCOPUS CODE 1907

ИЗУЧЕНИЕ ФИЗИЧЕСКИХ СВОЙСТВ ГРУНТА В ТРАНШЕЕ ТРУБОПРОВОДА ПИТЬЕВОЙ ВОДЫ В ДИГОМСКОЙ ДОЛИНЕ ТБИЛИСИ

Лапиашвили М.Ш. Департамент прикладной геологии, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 75
E-mail: m_lapiashvili@gtu.ge

Какулия З.Г. Институт гидрогеологии и инженерной геологии, Грузинский технический университет, Грузия, 0126, Тбилиси, с.Дигоми, ул.Моцикулта Сцори цминда Нино 1
E-mail: zukakulia@yahoo.com

Авалиани Х.А. Департамент прикладной геологии, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 75
E-mail: kh_avaliani@gtu.ge

Рецензенты:

М. Мардашова, ассоц. профессор Департамента прикладной геологии горно-геологического факультета ГТУ
E-mail: kh_avaliani@gtu.ge

Дж. Татишвили, кандидат геолого-минералогических наук, профессор Департамента прикладной геологии горно-геологического факультета ГТУ
E-mail: j.tatishvili@gtu.ge

АННОТАЦИЯ. Трубы питьевой воды через определенное время требуют реабилитации, т.к. подвергаются воздействию множества вредных факторов, разрушаются под влиянием коррозионных процессов и становятся неспособными обеспечить население чистой стандартной водой.

Чтобы продлить прочность новозаложенных труб, необходимо заранее изучить все те известные агрессивные агенты, определение которых уменьшит возможность возникновения коррозии на железных трубах. Одним из таких сильных агентов является агрессивная среда—грунт. Этому виду коррозионного разрушения подвергаются металлы и конструкции, находящиеся в почве, то есть различные подземные резервуары, трубопроводы, кабели и т.д. Для определения механизма грунтовой коррозии и защиты от коррозионных процессов новозаложенных труб в траншее трубопровода питьевой воды проведена визуальная опись литологии исследуемых образцов грунта. Изучены физические и химические характеристики грунта, его гранулометрический состав. Установлена роль каждого фактора в развитии процесса коррозии.

КЛЮЧЕВЫЕ СЛОВА: агрессивность; амортизованные трубы; грунт; коррозия; микроорганизмы; трубопровод; пористость.

UDC 327.7(8): 338.1(2): 339.5

SCOPUS CODE 2001

საქართველოს ეგროგული ინტებრაციის აქტუალური სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები

ქ. მდინარაძე ეკონომიკური ინფორმატიკის (ინფორმაციული სისტემების) დეპარტამენტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი,
გრძელი 77

E-mail: q.mdinaradze@openuni.edu.ge

გ. ლობჯანიძე გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 75

E-mail: g.lobjanidze@gtu.ge

რეცენზირები:

რ. ოთინაშვილი, სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

E-mail: otin-44@mail.ru

გ. ტაბატაძე, სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

E-mail: G.Tabatadze@gtu.ge

ଅନ୍ତର୍ଗତାବ୍ଦୀ. ନାଶରମଥୀ ଗାନ୍ଧୀଲ୍ୟଙ୍କୁ ସାଜ୍ଞାରତ୍ନ-
ଗେଲିଲେ ଜ୍ଵରପାଶତାନ ନିର୍ଭୟେଗରାବ୍ଦୀରେ ଓ ମିରିତାଦି
ଏକିଜ୍ଞାଲ୍ୟରୁ ବୈଚାଳ୍ୟର-ଜ୍ଵରନମିକ୍ୟରୁ ଆଶେଷକ୍ରମି-
ଦୀ, ରମଣ୍ୟବୀଚ ମନୀଶ୍ଵରନାନ୍ଦ ଫାରମାନଖୀନେ ସା-
ଜରତାଶ୍ରମିକେ ଉତ୍ତରିକେରନ୍ତାବେଦିତ ହେବାନ କ୍ଷେତ୍ରରେ
କର୍ଣ୍ଣଜ୍ଵରଜ୍ଞବ୍ୟନାରିବାନବୀରେ ଫର୍ମିବା ଓ ବାରିବେଳେ
ର୍ଯ୍ୟାନିକିନ୍ତୁ ମାହିମାବ୍ୟକ୍ତିରେ ମାନାଶତାନ, ଗାମନକ୍ଷ-
ଲ୍ୟଙ୍କୁ ଓ ଶେଷାଶ୍ଵେତ୍ୟଙ୍କୁ ସାଜ୍ଞାରତ୍ନଗେଲିତ ମିଥ-
ଦିନାର୍ଥୀ ର୍ଯ୍ୟାନମର୍ମବୀରେ ବୈଚାଳ୍ୟ-ଜ୍ଵରନମିକ୍ୟରୁ
ଶୈଦ୍ୟବୀରେ କ୍ଷେତ୍ରରେ ଗାନ୍ଧୀଲ୍ୟଙ୍କୁ ମିରିତାଦି ମାତ୍ର-
ରୋଗନମିକ୍ୟରୁ ମାହିମାବ୍ୟକ୍ତିରେ ଆନାନ୍ଦିତୀରେ ସା-
ମ୍ଭୂତବ୍ୟକ୍ତିରେ; ନାଶରମଥୀ ଗାନ୍ଧୀଶବ୍ଦୀଙ୍କୁ ଓ ଶେମତୀ-
ତାବ୍ୟକ୍ତିରେ ବୈଚାଳ୍ୟଙ୍କୁ ସାଜ୍ଞାରତ୍ନଗେଲିଲେ ବୈଚାଳ୍ୟ-ଜ୍ଵରନମି-
କ୍ୟରୁ ଉତ୍ସକ୍ରମିବାନବୀରେ ମାନାନ୍ଦିତ ପା-
ରପାଶତାନ ନିର୍ଭୟେଗରାବ୍ଦୀରେ ଗାନ୍ଧୀଲ୍ୟଙ୍କୁ ଓ ମିରିତାଦି

რითადი მიმართულებები, სადაც მნიშვნელოვანია ეროვნული ეკონომიკის როლისა და ადგილის ობიექტურად შეფასება ჩვენი ქვეყნის ინტერესების შესაბამისად.

საპატიო სიტყვები: გლობალურიზაცია; კორონავირუსი; ინტეგრაცია; რეიტინგები; საერთაშორისო ორგანიზაციები; სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები.

შესავალი

გლობალიზაციის მსოფლიო პროცესში საქართველოს, როგორც ერთიანი გლობალური სამართლოს ნაწილის, ევროპათან ინტეგრაციული

პერსპექტივები განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ქვეყნის ინტერესების და გარკვეული რისკების გათვალისწინებით. ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მართვის სისტემის მოდელის ფუნქციონირებით შესაძლებელია მაქსიმალურად ეფექტიანად იქნეს გამოყენებული საერთაშორისო ინტეგრაციული კავშირების პოზიტიური მხარეები და მინიმალურად შემცირდეს მისი ნებატიური გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებები მნიშვნელოვნად განაპირობებს ევროპასთან ინტეგრაციულ თანამშრომლობას და კონკრეტული სარგებლის მიღებას საკანონმდებლო, ინსტიტუციური, ტექნოლოგიური ბაზის, ფინანსური, სამოქალაქო, განათლების და სამეცნიერო რეფორმირების სფეროში, რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ჩვენი ქვეყნის კონკურენტუნარიანობას.

ძირითადი ნაწილი

საქართველო, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით, წარმოადგენს ხიდს დასავლეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის. ამიტომ იგი ცდილობს დაიკავოს საკუთარი გეოეკონომიკური სტრატეგიის აღმენებული აღგილი მსოფლიო ცივილზოციის პროცესებში და ამით ხელი შეუწყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ეროვნული ეკონომიკის შექმნას და განვითარებას.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა რეფორმებმა მართალია, გამოიწვია რადიკალური ცვლილებები და მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საერთაშორისო ინტეგრაციულ პროცესებში საქართველოს ჩართვისათვის, მაგრამ მას საკმარისი პოზიტიური გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე ჯერ არ მოუხდებია.

როგორც ცნობილია, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია რეგულარულად ატარებს საერთაშორისო კვლევებს და აფასებს ქვეყნებში

არსებულ სოციალურ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ გარემოს. საქართველომ ზოგიერთი ეკონომიკური თუ პოლიტიკური მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა ბოლო ათწლეულში და ამას კარგად აჩვენებს საქართველოს წამყვანი რეიტინგი სხვადასხვა კვლევაში. ადსანიშავია არაერთი ბიუროკრატიული ბარიერის გაუქმებით/გამარტივებით მიღწეული წინსვლა. ამის ნათელი მაგალითია ბიზნესის რეგისტრაციის და საბაჟო პროცედურების სიმარტივე. თუმცა კვლავ რჩება პრობლემური მიმართულებები, რაც ნაწილობრივ მთავრობის და მთლიანად საზოგადოების არასაკმარისი ძალისხმევის, ხოლო ნაწილობრივ ქვეყანაში საუკუნეების მანძილზე დამკავიდრებული ჩვევებისა და ტრადიციების შედეგია. ქვეყანაში მწვავედ დგას კვალიფიციური მუშახელის არარსებობის პრობლემა, შეფერხებულია ინოვაციური ტექნოლოგიების პრაქტიკაში დანერგვა, დარღვეულია გენდერული თანასწორობა და სხვა [1].

საქართველოს საკრედიტო რეიტინგი უზვენებს ინვესტორებს, თუ რა დონის რისკებთან არის დაკავშირებული ინვესტიციების განხორციელება ამ ქვეყანაში. სარეიტინგო კომპანიები ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოს აფასებს, რათა განსაზღვროს შესაბამისი რისკის დონე. სამი უმსხვილესი სარეიტინგო კომპანია – Standard & Poor's, Fitch და Moody's აფასებს ქვეყნის, როგორც მსესხებლის უნარს, შეასრულოს თავისი ვალდებულებები კრედიტორების წინაშე. ამ სარეიტინგო კომპანიების შეფასებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან რეიტინგის გაუარესებამ შეიძლება მნიშვნელოვნად გართულოს ქვეყნის მიერ სესხის აღება ფულად ბაზარზე. საქართველოს პოზიციები შემდგენაირია – S&P – BB-; Fitch – BB-; Moody's – Ba3.

მსოფლიო ბანკი ყოველწლიურად გამოსცემს ანგარიშს ბიზნესის კეთების სიმარტივის შესახებ. ეს ანგარიში ზომავს და ადარებს ადგილობრივი

ბიზნესის რეგულირების ხარისხსა და ეფექტურობას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

Ease of Doing Business 2016-ში, რომელიც 2015 წლის მონაცემებს ეყრდნობა, საქართველო 189 ქვეყნიდან 23-ე ადგილს იკავებს. წინა ანგარიშში საქართველო მუ-15 ადგილზე იყო, რეიტინგის გაუარესება შეფასების მეთოდოლოგიის ცვლილებით აიხსნება. განახლებული მეთოდოლოგიით ხელახლა შეფასდა 2014 წლის მონაცემებიც და საქართველომ მუ-15-დან 23-ე ადგილზე გადაიცვლა. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ, წინა წელთან შედარებით, 2016 წელს საქართველოს რეიტინგი არ შეცვლილა. „Doing Business 2017“ კი საქართველოს რეიტინგი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა – ნაცვლად შარშანდელი 23-ე ადგილისა, საქართველომ მუ-16 ადგილზე გადაიცვლა და შარშანდელი მონაცემები ერთბაშად 7 პოზიციით გააუმჯობესა. ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში საქართველო მესამე ადგილზე უმაღლესი რეიტინგის ქვენების შორის (მაკედონიისა და ლატვიის შემდეგ). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველო იმ მოწინავე 10 ქვეყანას შორისაა, რომლებმაც საკუთარი მაჩვენებლები გლობალური მასშტაბით მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს. შესაბამისად, 2017 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველო დასახელებულია, როგორც რეგიონის ლიდერი ქვეყნა განხორციელებული რეფორმების კუთხით, რაც თავის მხრივ, განაპირობა ქვეყნის მთავრობის კოორდინირებულმა და ეფექტიანმა მუშაობამ. მხოლოდ ბოლო ერთ წელიწადში რეიტინგის მიზნებისთვის აღიარებული 5 რეფორმით საქართველო მსოფლიოში 190 ქვეყანას შორის კვლავ 10 ტოპ-რეფორმატორთა შორისაა. აღნიშნული რეფორმებია:

- ❖ ქონების რეგისტრაცია – გაუმჯობესდა მიწის აღმინისტრირება თბილისში კერძო მფლობელობაში არსებული ნაკვეთების რეკაზე დაბინოთ;

- ❖ მინორიტარული ინვესტორთა უფლებების დაცვა – საქართველომ გააძლიერა მცირე ინვესტორების დაცვა აქციონერთა უფლებების და როლის გაზრდით მირითადი კორპორაციული გადაწყვეტილებების მიღებაში და მფლობელობის და მაკონტროლებელი სტრუქტურების მკაფიოდ განსაზღვრით;
- ❖ ვაჭრობა საზღვრებს შორის – ელექტრონული დამუშავების სისტემის გაუმჯობესებით შესაძლებელი გახდა უსაპორტის და იმპორტის დოკუმენტების უფრო სწრაფი წარდგენა. ასევე, დაინერგა წინასწარი ელექტრონული დოკუმენტების წარდგენის შესაძლებლობა;
- ❖ გადასახადების გადახდა – ამ სფეროში საქართველომ გააუქმა მოგების გადასახადის დეპლარაციის დამატებითი დანართი და გააუმჯობესა დღგას დეკლარაციების წარსადგენად გამოყენებული ონლაინ სისტემის ეფექტიანობა;
- ❖ ელექტროენერგიით მომარაგება – გაუმჯობესდა ელექტროენერგიით მომარაგების საიმედოობა, რადგან დაწესდა საჯარიმო სანქციები ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის ხანგრძლივობის დადგენილ ნორმაზე გადაჭრებისთვის (SAIDI) და ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის სისტემის დაღგენილ ნორმაზე გადაჭრებისთვის (SAIFI). ასევე გაუმჯობესდა მომხმარებლის ინფორმირება ელექტროენერგიის დაგეგმილი გათოშვის შესახებ.

ამავე ანგარიშის მიხედვით, საქართველო 5 ინდიკატორის მიხედვით მსოფლიო მასშტაბით 190 ქვეყანას შორის პირველ ათეულში შედის. ეს ინდიკატორებია: ქონების რეგისტრაცია (მუ-3 ადგილი), კრედიტის მიღება (მუ-7 ადგილი), მინორიტარული ინვესტორთა უფლებების დაცვა (მუ-7 ადგილი), ბიზნესის დაწყება (მუ-8 ადგილი) და მშენებლობის ნებართვა (მუ-8 ადგილი).

აღსანიშნავია, რომ რეიტინგის მიხედვით საქართველო ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონში მესამე პოზიციაზე იმყოფება და 10-დან 8

ინდიკატორში ტოპ ხუთეულში, ხოლო მშენებლობის ნებართვის გაცემის ინდიკატორში პირველ ადგილზეა. საქართველოს მსგავსი ეროვნული შემოსავლის (upper middle income) მქონე 51 ქვეყანას შორის მეორე ადგილზეა, ხოლო მშენებლობის და ქონების რეგისტრაციის ინდიკატორების მიხედვით პირველ ადგილზე.

ასევე ადსანიშნავია, რომ საქართველოს რეიტინგი გაუმჯობესებულია 7 ინდიკატორში და 11 კომპონენტში, ხოლო სარეიტინგო ქულა – 7 ინდიკატორში [2].

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი უკვე 20 წელია ყოველწლიურად ქვეყნება The Wall Street Journal-ში The Heritage Foundation-ის კვლევის საფუძველზე. 2015 წლის ანგარიშში საქართველო 22-ე ადგილს იკავებს (178-დან) 73.0 ქულით და „უმეტესად თავისუფალი“ ქვეყნების ჯგუფშია. ხოლო ევროპის რეგიონში არსებული 43 ქვეყნიდან საქართველო მე-11 ადგილს იკავებს. წინა წელთან შედარებით საქართველოს სარეიტინგო ქულა გაზრდილია 0.4-ით, კორუფციისაგან თავისუფლების, ბიზნესის თავისუფლებისა და სახელმწიფო დანასარჯების სფეროებში გაუმჯობესების შედეგად. ამასთან, გაუარესებულია შრომის თავისუფლებისა და ფინანსური თავისუფლების დონე.

Global Competitiveness Index 2015-2016 მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2015-2016 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის“ („The Global Competitiveness Report“) მიხედვით, საქართველოს რეიტინგი 3 ადგილით გაუმჯობესდა და ქვეყანამ, 4.22 ქულით, 140 ქვეყანას შორის, 69-ე ადგილიდან 66-ზე გადაინაცვლა, ხოლო 2016-2017 წლის რეიტინგში საქართველომ 4.32 ქულით 59-ე ადგილი დაიკავა და წინა წელთან შედარებით პოზიციები 7 ადგილით გააუმჯობესა.

საქართველოს პოზიციები გაუმჯობესებული აქვს ინდექსის 3 ფაქტორიდან ერთ ფაქტორში, 12 კომპონენტიდან 7 კომპონენტში, ხოლო 114 ქვეკომპონენტიდან – 58 ქვეკომპონენტში [1, 3, 4].

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2015-2016 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის“ („The Global Competitiveness Report“) მიხედვით, საქართველოს რეიტინგი 3 ადგილით გაუმჯობესდა და ქვეყანამ, 4.22 ქულით, 140 ქვეყანას შორის, 69-ე ადგილიდან 66-ზე გადაინაცვლა, ხოლო 2016-2017 წლის რეიტინგში საქართველომ 4.32 ქულით 59-ე ადგილი დაიკავა და წინა წელთან შედარებით პოზიციები 7 ადგილით გააუმჯობესა.

საქართველოს პოზიციები გაუმჯობესებული აქვს ინდექსის 3 ფაქტორიდან ერთ ფაქტორში, 12 კომპონენტიდან 7 კომპონენტში, ხოლო 114 ქვეკომპონენტიდან – 58 ქვეკომპონენტში [1, 3, 4].

საქართველო მსოფლიო რეიტინგებში, 2015-2016-2017 წლ. [2, 3, 4]

ინდიკატორები /ინდექსები	აღგილი/მდგომარეობა	წყარო
1	2	3
საკრედიტო რეიტინგი	BB- BB- Ba3	S&P Fitch Moody's
ბიზნესის კეთების სიმარტივე	16	Doing Business 2017
ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი	22	The Wall Street Journal, The Heritage Foundation
ბიზნესგარემო და კონკურენტუნარიანობა	66	მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი
მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტულობის ინდექსი	71	მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი
ქსელური მზაობის ინდექსი	ზრდადი ტენდენციები	მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი და INSEAD
გლობალური ინოვაციის ინდექსი	მნიშვნელოვნად მაღალი და გაუმჯობესებული	Cornell University, INSEAD და WIPO4
არამდგრადი სახელმწიფოების ინდექსი	70	The Fund for Peace
ჰუმანური განვითარების ინდექსი	76	გაეროს განვითარების პროგრამა - UNDP
სოციალური პროგრესის ინდექსი	60	Social Progress Imperative
გლობალური კონკურენტუნარიანობა	59	მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი
ინფრასტრუქტურა	გაუმჯობესებული	მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი
მაკროეკონომიკური გარემო	53	მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი
ჯანდაცვა და დაწყებითი განათლება	გაუმჯობესებული	მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი
უმაღლესი განათლება და ტრენინგი	გაუმჯობესებული	მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი
ბაზრის ეფექტიანობა	გაუმჯობესებული	მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი
შრომის ბაზრის ეფექტიანობა	გაუმჯობესებული	მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი
ტექნოლოგიური მზაობა	გაუმჯობესებული	მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი
ბაზრის მოცულობა	გაუმჯობესებული	მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი
ბიზნესის განვითარება	გაუმჯობესებული	მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი
ინოვაციები	გაუმჯობესებული	მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი
ქონების რეგისტრაცია	3	Doing Business 2017
კრედიტის მიღება	7	Doing Business 2017
მინორიტარულ ინვესტორთა უფლებების დაცვა	7	Doing Business 2017
ბიზნესის დაწყება	8	Doing Business 2017
მშენებლობის ნებართვა	8	Doing Business 2017

ეფექტიანობის მასტიმულირებელი ფაქტორები (Efficiency Enhancers) გაუმჯობესდა 2 პოზიციით და 77-ე ადგილზე გადმოინაცვლა. უმაღლესი განათლება, ტრეინინგი – გაუმჯობესდა 5 პოზიციით და 87-ე ადგილზე გადმოინაცვლა; სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობა – გაუმჯობესდა 12 პოზიციით და 48-ე ადგილზე გადმოინაცვლა; შრომითი ბაზრის ეფექტიანობა – გაუმჯობესდა 9 პოზიციით და 32-ე ადგილზე გადმოინაცვლა; საფინანსო ბაზრის განვითარება – გაუმჯობესდა 8 პოზიციით და 68-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ბაზრის მოცულობა – გაუმჯობესდა 4 პოზიციით და 99-ე ადგილზე გადმოინაცვლა.

განვითარების შეფასების მიხედვით, საქართველოს კვლავ ეფექტიანობით მამოძრავებელი (Efficiency Driven) ქვეყნის სტატუსი აქვს. გაუმჯობესებული კომპონენტებია: ინსტიტუტები – გაუმჯობესდა 8 პოზიციით და მე-40 ადგილზე გადმოინაცვლა; უმაღლესი განათლება და ტრენინგი – გაუმჯობესდა 5 პოზიციით და 87-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ბაზრის ეფექტიანობა – გაუმჯობესდა 12 პოზიციით და 48-ე ადგილზე გადმოინაცვლა; შრომის ბაზრის ეფექტიანობა – გაუმჯობესდა 9 პოზიციით და 32-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ფინანსური ბაზრის განვითარება – გაუმჯობესდა 8 პოზიციით და 68-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ბაზრის მოცულობა – გაუმჯობესდა 4 პოზიციით და 99-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ბიზნესის განვითარება – გაუმჯობესდა 1 პოზიციით და 112-ე ადგილზე გადმოინაცვლა; გაუმჯობესებული ქვემომპონენტებს შორისაა –

- ინსტიტუტები:** საკუთრების უფლება – გაუმჯობესდა 27 პოზიციით და 58-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ინტელექტუალური საკუთრების დაცვა – გაუმჯობესდა 5 პოზიციით და 101-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ნდობა პოლიტიკოსების მიმართ – გაუმჯობესდა 2 პოზიციით და 77-ე ადგილზე გადმოინაცვლა; სასამართლოს დამოუკიდებლობა – გაუმჯობესდა 9 საფეხურით და 56-ე

ადგილზე გადმოინაცვლა; სახელმწიფო რეგულაციების ტერიტორია – გაუმჯობესდა 1 საფეხურით და მე-7 ადგილზე გადმოინაცვლა; დავების სამართლებრივი გზით მოგვარების ეფექტიანობა – გაუმჯობესდა 17 საფეხურით და 54-ე ადგილზე გადმოინაცვლა; კანონმდებლობის ეფექტიანობა რეგულაციებში – გაუმჯობესდა 28 საფეხურით და 55-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ბიზნესის დანახარჯები სამართლდარღვევებზე და ძალადობაზე – გაუმჯობესდა 11 საფეხურით და მე-18 ადგილზე გადმოინაცვლა; ბიზნესის დანახარჯები ტერორიზმზე – გაუმჯობესდა 21 საფეხურით და მე-14 ადგილზე გადმოინაცვლა; ორგანიზებული კრიმინალი – გაუმჯობესდა 10 საფეხურით და 17-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ფირმების ქვეყნით ეთიკა – გაუმჯობესდა 3 საფეხურით და 51-ე ადგილზე გადმოინაცვლა; აუდიტისა და ანგარიშის სტანდარტების სიძლიერე – გაუმჯობესდა 20 საფეხურით და 65-ე ადგილზე გადმოინაცვლა; კორპორატიული საბჭოს ეფექტიანობა – გაუმჯობესდა 17 საფეხურით და 84-ე ადგილზე გადმოინაცვლა; უმცირესობაში მყოფი აქციონერთა ინტერესების დაცვა – გაუმჯობესდა 22 საფეხურით და 88-ე ადგილზე გადმოინაცვლა;

- ინფრასტრუქტურა:** საპარო მიმოსვლისას ადგილები კვირაში – გაუმჯობესდა 6 საფეხურით და 99-ე ადგილზე გადმოინაცვლა; მობილურის მომხმარებელთა რაოდენობა – გაუმჯობესდა 14 საფეხურით და 51-ე ადგილზე გადმოინაცვლა;

- მაკროეკონომიკური გარემო:** ინფლაცია, წლიური %-ლი ცვლილება – გაუმჯობესდა 25 საფეხურით და 53-ე ადგილზე გადმოინაცვლა;

- ჯანდაცვა და დაწყებითი განათლება:** ტუბერკულიოზის გავლენა ბიზნესზე – გაუმჯობესდა 1 საფეხურით და 66-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ტუბერკულიოზის შემთხვევები/100,000 მოსახლეზე – გაუმჯობესდა 3 საფეხურით და 95-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ახალშობილთა სიკვდილიანობა/1000 დაბადებულზე – გაუმჯობესდა 23 საფე

ხურით და 61-ე ადგილზე გადმოინაცვლა; დაწყებითი განათლების ხარისხი – გაუმჯობესდა 2 საფეხურით და 90-ე ადგილზე გადმოინაცვლა;

5. უმაღლესი განათლება და ტრენინგი: საშეალო განათლებაში ჩართულობა, გაუმჯობესდა 50 საფეხურით და 30-ე ადგილზე გადმოინაცვლა; პროფესიულ განათლებაში ჩართულობა – გაუმჯობესდა 10 საფეხურით და 74-ე ადგილზე გადმოინაცვლა; მათემატიკური და სამეცნიერო განათლების ხარისხი – გაუმჯობესდა 8 საფეხურით და 97-ე ადგილზე გადმოინაცვლა; მენეჯმენტის სკოლების ხარისხი – გაუმჯობესდა 1 საფეხურით და 97-ე ადგილზე გადმოინაცვლა;

6. ბაზრის უფასტიანობა: ადგილობრივი კონკურენციის სიძლიერე – გაუმჯობესდა 14 საფეხურით და 91-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ბაზარზე ღომინირება – გაუმჯობესდა 15 საფეხურით და 88-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ანგიმონოპოლიური პოლიტიკის უფასტი – გაუმჯობესდა 11 საფეხურით და 116-ე ადგილზე გადმოინაცვლა; მთლიანი საგადასახადო განაკვეთი, მოგების % – გაუმჯობესდა 1 საფეხურით და მე-9 ადგილზე გადმოინაცვლა; დანახარჯები სოფლის მეურნეობაში – გაუმჯობესდა 27 საფეხურით და 72-ე ადგილზე გადმოინაცვლა; სავაჭრო ტარიფები – გაუმჯობესდა 28 საფეხურით და მე-4 ადგილზე გადმოინაცვლა; ბიზნესის გავლენა ინვესტიციებზე – გაუმჯობესდა 7 საფეხურით და 21-ე ადგილზე გადმოინაცვლა; იმპორტის წილი მშპ-ში – გაუმჯობესდა 5 საფეხურით და მე-40 ადგილზე გადმოინაცვლა; მომხმარებელთა მოთხოვნები – გაუმჯობესდა 7 საფეხურით და 114-ე ადგილზე გადმოინაცვლა.

7. შრომის ბაზრის უფასტიანობა: ხელფასის განსაზღვრის მოქნილობა – გაუმჯობესდა 16 საფეხურით და მე-10 ადგილზე გადმოინაცვლა; დაქირავებისა და გათავისუფლების პრაქტიკა – გაუმჯობესდა 2 საფეხურით და მე-12 ადგილზე გადმოინაცვლა; თანამშრომლობა დამქირავებელ-

დაქირავებულს შორის – გაუმჯობესდა 15 საფეხურით და 65-ე ადგილზე გადმოინაცვლა; გადასახადების გაფლენა სამუშაო სტიმულზე – გაუმჯობესდა 5 საფეხურით და მე-15 ადგილზე გადმოინაცვლა; პროფესიული მენეჯმენტი – გაუმჯობესდა 18 საფეხურით და მე-60 ადგილზე გადმოინაცვლა; ფინანსური ბაზრის განვითარება; ფინანსური მომსახურების არსებობა – გაუმჯობესდა 1 საფეხურით და 88-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ფინანსურ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა – გაუმჯობესდა 2 საფეხურით და 73-ე ადგილზე გადმოინაცვლა; სესხებ ხელმისაწვდომობა – გაუმჯობესდა 1 საფეხურით და 109-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ბანკების სიმყარე – გაუმჯობესდა 10 საფეხურით და 57-ე ადგილზე გადმოინაცვლა; საფონდო ბირჟის რეგულაცია – გაუმჯობესდა 11 საფეხურით და 110-ე ადგილზე გადმოინაცვლა.

8. ტექნოლოგიური მზაობა: ინტერნეტის მომხმარებელი – გაუმჯობესდა 8 საფეხურით და 72-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ინვესტიციები და ტექნოლოგიების ტრანსფერი – გაუმჯობესდა 4 საფეხურით და 109-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ფიქსირებული ფართოზოგანი ინტერნეტი 100 მოსალეზე – გაუმჯობესდა 2 საფეხურით და მე-60 ადგილზე გადმოინაცვლა;

9. ბაზრის მოცულობა: გაუმჯობესდა 4 პოზიციით და 99-ე ადგილზე გადმოინაცვლა. შიგა ბაზრის მოცულობის ინდექსი – გაუმჯობესდა 3 საფეხურით და 98-ე ადგილზე გადმოინაცვლა; უცხოური ბაზრის ინდექსი – გაუმჯობესდა 1 საფეხურით და 107-ე ადგილზე გადმოინაცვლა; მშპ (PPP – აშშ მლრდ დოლარი) – გაუმჯობესდა 3 საფეხურით და 103-ე ადგილზე გადმოინაცვლა.

10. ბიზნესის განვითარება: ადგილობრივი მიმწოდებელთა ხარისხი – გაუმჯობესდა 3 საფეხური და 117-ე ადგილზე გადმოინაცვლა; ადგილობრივ მიმწოდებელთა რაოდენობა – გაუმჯობესდა 1 საფეხურით და 137-ე ადგილზე გადმოინაცვლა; შედარებითი უპირატესობა – გაუმჯო-

ბესდა 5 საფეხურით და 75-ე ადგილზე გადმოინაცვლა; საერთაშორისო დისტრიბუციაზე კონტროლი – გაუმჯობესდა 4 საფეხურით და 95-ე ადგილზე გადმოინაცვლა; წარმოების პროცესის დახვეწია – გაუმჯობესდა 4 საფეხურით და 110-ე ადგილზე გადმოინაცვლა; მარკეტინგის ხარისხი – გაუმჯობესდა 15 საფეხურით და 89-ე ადგილზე გადმოინაცვლა;

11. ინოვაციები: მეცნიერებისა და ინჟინრების არსებობა – გაუმჯობესდა 9 საფეხურით და 113-ე ადგილზე გადმოინაცვლა. პატენტით სარგებლობის საკითხში თანამშრომლობა – გაუმჯობესდა 5 საფეხურით და მე-60 ადგილზე გადმოინაცვლა.

„ეკრაზის რეგიონის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლები ზოგადად, სტაბილურია, თუმცა, რეგიონის ქვეყნების უმრავლესობას საქმე აქვს სირთულეებთან, რომელიც საქონელზე ფასების ვარდნას, ვალუტის მერყვევა კურსს, რეცესიას რესეთსა და უკრაინაში, ასევე ჩინეთის ეკონომიკის ზრდის ტემპის შენელებას უკავშირდება. ამ შეკებმა გავლენა მოახდინა კონკურენტუნარიანობაზე ორი ძირითადი მიმართულებით: ეკრაზის რეგიონის კველა ქვეყნების ეკონომიკამ, საქართველოს გარდა, ქსპორტის მოცულობის ვარდნა და აფიქსირა, რამაც მათი ბაზრის საერთო მოცულობა შეამცირა“, - ნათქვამია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშში.

გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგის თანახმად, საქართველოში ბიზნესის პეტბისთვის ყველაზე პრობლემატურ ფაქტორებს შორის პირველი ადგილი უკავია არაპალიფიციურ მუშახელს, მეორე – წვდომას ფინანსებთან, მესამე – ინფლაციას, მეოთხე – არაეფექტურ სახელმწიფო ბიუროკრატიას, მეხუთე კი – არასაკმარის ინფრასტრუქტურას [1, 3, 4].

მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI), რომელსაც მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი განსაზღვრავს, ზომავს მაკროეკონომიკური გარემოს ხარისხს, ქვეყნის საჯარო ინსტიტუტების

მდგრმარეობას და ტექნოლოგიური მზაობის დონეს.

რეიტინგი ეყრდნობა საჯაროდ ხელმისაწვდომ (სტატისტიკურ) მონაცემებსა (WB; UNESCO; World Health Organization, IMF და სხვა) და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის აღმასრულებელ პირთა მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებს, რომელიც ბიზნესების მიერ კითხვარების შევსებას მოიცავს. ის განიხილავს ქვეყნის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ახდენს პრიორიტეტების იდენტიფიცირებას პოლიტიკური რეფორმების განხორციელების ხელშეწყობისათვის. 2015-2016 წლის კვლევა მოიცავს 140 ქვეყანას. GCI მოიცავს ქვეყნის განვითარების სამ ძირითად საფეხურს 1. ფაქტორ-მამოძრავებელი; 2. ეფექტიანობის მამოძრავებელი; 3. ინოვაციის მამოძრავებელი, რომელიც 12 კომპონენტს აკრიტიკულ სამიზნებს: სამ ფაქტორთა ჯგუფში შემავალი 12 კომპონენტი, თავის მხრივ, 114 ქვეკომპონენტს მოიცავს [1, 3, 4].

Travel and Tourism Competitiveness Index 2015 მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტულობის ინდექსი ზომავს იმ ფაქტორების ეფექტურობას, რომლებიც უზრუნველყოფს ტურიზმის სექტორის მდგრად განვითარებას და ხელს უწყობს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდას. ანგარიში ქვეყნება მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ 2 წელიწადში ერთხელ. 2015 წლის რეპორტში საქართველო 71-ე ადგილზეა (141-დან) 3.68 ქულით.

The Networked Readiness Index 2015 ქსელური მზაობის ინდექსი ქვეყნება მსოფლიო ეკონომიკური ფორუმისა და INSEAD-ის ანგარიშში გლობალური საინფორმაციო ტექნოლოგიების შესახებ. ეს ინდექსი აფასებს ქვეყანაში არსებულ ფაქტორებს, პოლიტიკასა და ინსტიტუტებს, რომლებიც საშუალებას იძლევა, სრულად იყოს გამოყენებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები კონკურენციისა და კეთილდღეობის გასაზრდელად. ქსელური მზაობის ინდექსი

გვაწვდის ინფორმაციას, თუ როგორი პირობებია ბაზარზე და რამდენად განვითარებულია კავშირი მსოფლიოსთან. 2015 წლის პელეგის შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში ინტერნეტხელმისაწვდომობის კუთხით ზრდადი ტექნიკიები შენარჩუნებულია. თუმცა, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენება ქვეყნისთვის მთავარ გამოწვევად რჩება.

The Global Innovation Index 2015 გლობალური ინოვაციის ინდექსი მზადდება Cornell University, INSEAD და WIPO-ს მიერ. ეს ინდექსი ზომავს ქვეყნის ინოვაციურ შესაძლებლობებს სხვადასხვა ჭრილში. 2015 წლის ანგარშში ინდექსი აფასებს 141 ქვეყანას, ისინი ერთად მსოფლიო მშპ-ის 98.6%-ს ქმნიან. ანგარშის თანახმად, განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ტექნოლოგიური განსხვავება მცირდება. საქართველო

ერთ-ერთია იმ 11 ქვეყანას შორის, რომელთა სარეიტინგო ქულა მნიშვნელოვნად მაღალია მათ მშპ-თან შედარებით და, ასევე, შეფასების არაგრო კატეგორიაში უსწრებს მათი შემოსავლის ჯგუფში შემავალ სხვა ქვეყნებს. ამას გარდა, სხვა მრავალ ქვეყანასთან შედარებით, საქართველოში საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებებზე არსებული დაბალი საგადასახადო წნევი დამატებით უწყობს ხელს ამ სფეროს განვითარებას. მსგავსი შემოსავლის მქონე ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ადამიანური კაპიტალისა და კვლევის, ინსიტიტუტების და განათლებისა და ტექნოლოგიების მიმართულება. თუმცა, განათლებისა და კვლევითი მიმართულებების ხარისხის გაუმჯობესება კვლავ დიდ გამოწვევად რჩება საქართველოსთვის.

ცხრილი 2

საქართველოს ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და საერთაშორისო რეიტინგები [12]

მაჩვენებლები	წლები						წევარო
	2010	2011	2012	2013	2014	2015	
1	2	3	4	5	6	7	8
მოსახლეობა წლის ბოლოს (ათასი კაცი)	4,469	4,498	4,484	4,491	3,714	3,720	ხაუსებაზო
უმუშევრობის დონე	16.3%	15.1%	15.0%	14.6%	12.4%	12.0%	ხაუსებაზო
წლიური ინფლაცია (დეკამბერი/დეკემბერთან)	11.2%	2.0%	-1.4%	2.4%	2.0%	4.9%	ხაუსებაზო
მშპ, მლრდ ლარი	20.7	24.3	26.2	26.8	29.2	31.7	ხაუსებაზო
მშპ, მლრდ აშშ დოლარი	11.6	14.4	15.8	16.1	16.5	14.0	ხაუსებაზო
მშპ რეალური ზრდა	6.3%	7.2%	6.4%	3.4%	4.6%	2.8%	ხაუსებაზო
მშპ ერთ სულხე, აშშ დოლარი	2,623	3,231	3,523	3,600	3,676	3,743	ხაუსებაზო

გამოცემები

1	2	3	4	5	6	7	8
შპა ერთ სულზე, მსყიდველობითი უნარის პარიტეტით, PPP (მიმდინარე საერთაშორისო \$)	6,598	7,315	8,027	8,543	9,204	9,679	მხოლოდ ბანკი
პირდაპირი უცხოური ინვესტიცია/შპა	7.0%	7.7%	5.8%	5.8%	10.7%	9.7%	სერ გაანგარიშება
მთლიანი საგარეო ვალი/ შპა	86.9%	80.2%	83.8%	82.3%	81.3%	107.2%	სერ გაანგარიშება
მთავრობის საგარეო ვალი/შპა	28.7%	25.6%	26.8%	25.9%	25.7%	31.4%	სერ გაანგარიშება
S&P	B+	BB-	BB-	BB-	BB-	BB-	სტანდარტს ენდ ფურს
FITCH	B+	BB-	BB-	BB-	BB-	BB-	ფინ რეიტინგს
MOODY'S	Ba3	Ba3	Ba3	Ba3	Ba3	Ba3	კორპორაცია მომდინარე
ადამიანის განვითარების ინდექსი (რეიტინგი/ქვეყანა)	0.735 (74/169)	0.740 (75/187)	0.747 (81/187)	0.750 79/18 7	0.754 76/188	0.754 76/18 8	გაერთს განვითარების პროგრამა
გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, რეიტინგი (აღგილი/ქვეყანა)	3.86 (93/139)	3.95 (88/142)	4.07 (77/144)	4.15 (72/148)	4.22 (69/144)	4.22 (66/140)	მხოლოდ განხომისური ცორუები
ბიზნესის კეთება (რეიტინგი/ქვეყანა)	17/183	16/183	9/185	8/189	15/189	24/189	მხოლოდ ბანკი

The Fund for Peace-ის მიერ ყოველწლიურად მზადდება არამდგრადი სახელმწიფოების ინდექსი, რომელიც აანალიზებს პოლიტიკურ რისკს, რათა წინასწარ გააფრთხილოს პოლიტიკოსები და მთლიანად საზოგადოება შესაძლო კონფლიქტის შესახებ. ეს ინდექსი ზომავს სტაბილურობის ან არსებული დაბაბულობის დონეს ათასობით ანგარიშებისა და სტატიების საფუძველზე გამოვლილი რისკის ინდიკატორების საშუალე-

ბით. 2015 წლის რეიტინგში საქართველო 70-ე ადგილს იკავებს (178-დან) 79.3 ქულით.

გაერთს განვითარების პროგრამა (UNDP) 1990 წლიდან პერიოდულად ითვლის ჰუმანური განვითარების ინდექსს, რომელიც მოცემულია ჰუმანური განვითარების ანგარიშში. ჰუმანური განვითარების ინდექსი არის განვითარების ძირითადი საკითხების, ტენდენციებისა და პოლიტიკის დამოუკიდებელი და ემპირიული ანალიზი. იგი ეყრდნობა ისეთ ძირითად მაჩვენებლებს, როგორიცაა

სიცოცხლის ხანგრძლივობა, განათლება და ცხოვრების დონე. 2015 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველო 76-ე ადგილს იკავებს 188 ქვეყანას შორის და პუმანური განვითარების ინდექსით – 0,754 მაღალი პუმანური განვითარების მქონე ქვეყნებს შორის ხვდება. გაეროს მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საქართველოში დაბადებისას მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა 74,9 წელია, სწავლაზე დახარჯული წლების რაოდენობა 13,8, ხოლო გენდერული განვითარების ინდექსი 0,962 [6, 7]. სოციალური პროგრესის ინდექსი პირველად 2014 წელს გამოქვეყნდა Social Progress Imperative-ის მიერ. ეს ინდექსი ზომავს მხოლოდ რეალურ შედეგებს და არა იმას, თუ რას აკეთებს სახელმწიფო. მაგალითად, ქვეყანაში ჯანმრთელობის დონის შესაფასებლად ჯანდაცვაზე გაწეველი ხარჯების მაგივრად გამოიყენება მოსახლეობის ჯანმრთელობის არსებული მდგომარეობის ანალიზი. 2015 წლის რეიტინგში საქართველო მე-60 ადგილს იკავებს 133 ქვეყნიდან [1, 2, 3].

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში მიმზიდველი სამეწარმეო გარემოს ჩამოყალიბებისკენ მიმართული მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები განხორციელდა, რაც უცხოური ინვესტიციების შემოდინების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, ეკონომიკის ყველა დარგში სამეწარმეო აქტიურობის ზრდისა და ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღვობის ამაღლების საფუძვლით. ამასთან, ეკონომიკის დივერსიფიცირებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ეკონომიკის სტაბილურ განვითარებას. ცხადია, თანამედროვე პირობებში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მიზნით ეკროპულ ინტეგრაციაში ჩართვა და მსოფლიოს განვითარებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი პოსტინდუსტრიული საზოგადოების აშენება. თუმცა, ჩვენს ქვეყანაში დღეს არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მიუხედავდ

გატარებული მთელი რიგი რეფორმებისა, ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია და ხასიათდება მთელი რიგი ნეგატიური ტენდენციებით, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი: სახელმწიფო მართვის სტრუქტურების არასრულყოფილება და დაბალი ეფექტუანობის დონე, ეროვნული მიზნების, კულტურული მიღწევებისა და სახელმწიფო ინტერესების უგულებელყოფა ან კიდევ მათი მასობრივი შეცვლა უცხოური სურვეგატებით, ეკონომიკური და სხვადასხვა სახის კრიზისის არსებობა, უმუშევრობის მაღალი დონე და მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც მთლიანობაში განაპირობებს მორალურ-ზნეობრივი საფუძვლების შესუსტებას, ქვეყანაში სოციალური დაბაბულობის ზრდას და საზოგადოების სამართლიან ნეგატიურ განწყობას. საქართველოში არსებული მძიმე სოციალური პრობლემები (უმუშევრობა, საარსებო მინიჭებულება, დაბალი მსყიდველობითი უნარი, ფასების ზრდა და სხვა), რამდენიმე მნიშვნელოვანი ეკონომიკურ ინდექსში მაღალი ადგილების დაკავება, საერთაშორისო ორგანიზაციების ოპტიმისტური შეფასებები, აშკარად ქმნის გარკვეულ დაბნეულობას და ხშირად გამოიხატება მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მიერ ამ ინდექსებისადმი დაბალ ნდობაში [6, 7].

როგორც ზემოაღნიშნული მასალების ანალიზიდან ირკვევა, 2012-2016 წლების ეკონომიკურ ზრდას საქართველოში მოჰყვა ზოგიერთ საერთაშორისო ორგანიზაციებში მისი რეიტინგის ცვლილება პოზიტიური კუთხით. ამ თვალსაზრისით მართალია, მეტ-ნაკლებად გაუმჯობესდა საქართველოს საერთაშორისო რეიტინგი (იხ. ცხრილი 1 და 2), თუმცა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური კითარება კვლავ წინააღმდეგობრივი რჩება მთელი რიგი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებით, სახელდობრ, 2015 წლის ნომინალური მთლიანი შიგა პროდუქციის (მშპ) მოცულობამ დაახლოებით 31,877 მლნ ლარი, ანუ

14,048 მლრდ აშშ \$ და მოსახლეობის ერთ სულზე იმავე 2015 წელს 8,547 ლარი ანუ 3,767 აშშ \$ შეადგინა, მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებში ანალოგიური მაჩვენებელი, – მოსახლეობის ერთ სულზე მშპ დაახლოებით 30 ათასი \$-ია. 2003 წლიდან 2015 წლამდე საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი დაახლოებით 8-ჯერ გაიზარდა და საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 15 მლრდ აშშ \$ (35.9 მლრდ ლარი) შეადგინა და საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ოთხი კვარტლის მშპ-ს დაახლოებით 107 %-ია. 2015 წლის მეოთხე კვარტალში საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 357.0 მლნ აშშ \$-ით გაიზარდა, აქედან ვალი ოპერაციული ცვლილებების გამო 441.1 მლნ აშშ \$-ით გაიზარდა.

სახელმწიფო საგარეო ვალმა შეადგინა 6.0 მლრდ აშშ \$ (14.5 მლრდ ლარი), რაც მშპ-ს 43.3 %-ია, რომლიდანაც სამთავრობო სექტორის ვალია 4.4 მლრდ აშშ \$ (10.5 მლრდ ლარი; მშპ-ს 31.5 %), ეროვნული ბანკის ვალდებულებები – 219.2 მლნ აშშ \$ (525.1 მლნ ლარი; მშპ-ს 1.6 \$), ხოლო სახელმწიფო საწარმოების ობლიგაციები და სესხები შესაბამისად – 782.5 მლნ აშშ \$ (1.9 მლრდ ლარი; მშპ-ს 5.6 %) და 650.3 მლნ აშშ \$ (1.6 მლრდ ლარი; მშპ-ს 4.7 %).

საბანკო სექტორის საგარეო ვალმა შეადგინა 2.9 მლრდ აშშ \$ (7.1 მლრდ ლარი; მშპ-ს 21.1 %), სხვა სექტორების საგარეო ვალმა – 4.4 მლრდ აშშ \$ (10.6 მლრდ ლარი; მშპ-ს 31.8 %) და კომპანიათა შორის ვალმა – 3.0 მლრდ აშშ \$ (7.2 მლრდ ლარი; მშპ-ს 21.5 %). მთლიანი საგარეო ვალის 94.7 % დენომინირებულია უცხოური ვალუტით.

საქართველოს წმინდა საგარეო ვალმა, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 9.4 მლრდ აშშ \$ (22.5 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც ბოლო

ოთხი კვარტალის მშპ-ს 67.3 %-ია. აქედან, სახელმწიფო სექტორის წმინდა საგარეო ვალი 3.5 მლრდ აშშ \$-ია (8.3 მლრდ ლარი), რაც მშპ-ს 25.0 %-ია.

საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალი კი 2015 წლის მეოთხე კვარტალში 6.7 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. აქედან, ოპერაციული ცვლილებების გამო, ეროვნული ბანკის საგარეო ვალდებულებები 3.8 მლნ აშშ \$-ით შემცირდა. 2015 წლის მეოთხე კვარტალის ბოლოს ეროვნული ბანკის მთლიანმა ვალდებულებებმა 219.2 მლნ აშშ \$ შეადგინა. აქედან, 199.5 მლნ აშშ \$ განაწილებული ნასესხობის სპეციალური უფლებაა (ნსუ), რომელსაც არ აქვს დაფარვის ვადა და პრაქტიკულად, მისი გადახდის ვალდებულება არ დაღება, სანამ საქართველო იქნება საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი [15, 16, 17].

მთლიანი საგარეო ვალის სტატისტიკა ჰარმონიზებულია საგადასახდელო ბალანსთან. იგი მოიცავს სახელმწიფო (სამთავრობო სექტორი, სახელმწიფო საწარმოები და ეროვნული ბანკი) და კერძო სექტორის (საბანკო და სხვა სექტორები) საგარეო ვალს. მართალია, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი, ჯერჯერობით მაკროეკონომიკური სტაბილურობისთვის საშიშროებას არ წარმოადგენს და შიგა ვალთან ერთად, ჯამში სრულ შესაბამისობაშია ეკონომიკური თავისუფლების აქტის მოთხოვნებთან, რაც თავის მხრივ მაასტრინების კრიტერიუმებს (ევროპის სავალუტო კავშირში შემსვლელთათვის მიღებული წესდება, რომელსაც მაასტრინების ტრაქტაზი ეწოდება, რამდენიმე ძირითად პირობას უნდა აკმაყოფილებდეს, სახელდობრ: საგარეო ვალის მდგრადობის, ქვეყნის გადახდისუნარიანობის შესაფასებლად, გამოიყენება ვალის მაჩვენებელი %-ად მშპ-თან, საბიუჯეტო შემოსავლებთან და ექსპორტთან მიმართებაში. ევროკავშირი, მაასტრინების კრიტერიუ-

მის შესაბამისად, ევროზონის წევრი ქვეყნებისგან მოითხოვს სახელმწიფო ვალი არ აღემატებოდეს ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის (მშპ) 60 %-ს. განვითრებული ქვეყნებისთვის ეს მაჩვენებელი 25-40 %-მდე მერყეობს. მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო საგალუტო ფონდის რეკომენდაციით, ქვეყნის საგარეო მდგრადირების უზრუნველსაყოფად, საგარეო ვალის მოცულობა ქვეყნის ექსპორტის 150 %-ს, ხოლო საბიუჯეტო შემოსავლების 250 %-ს არ უნდა აღემატებოდეს; ბიუჯეტის სტრუქტურული დეფიციტი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ს 3%-ს; წლიური ინფლაცია უნდა აჭარბებდეს 3,2%-ს; გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთი არ უდა იყოს 2%-ზე მაღალი. მიუხედავად ამისა, საგარეო ვალით მიღებული ფული არის ძვირადღირებული ფინანსური რესურსი, რაც ზრდის ქვეყნის გადასახადის გადამხდელების, მათ შორის მომავალი თაობების ფისკალურ ტვირთს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მთლიანი საგარეო ვალის დაახლოებით 95 % დენომინირებულია უცხოური ვალუტით. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს ვალის მომსახურება, ლარის კურსის ვარდნასთან ერთად, მუდმივად ძვირდება ქართულ ვალუტაში. 2016 წელს, საქართველოს ბიუჯეტს ვალის მომსახურება, წინასწარი პროგნოზით, 900 მლნ ლარი დაუჯდება [14, 15, 16].

2006 წლიდან 2015 წლის ჩათვლით საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა სულ 12 535,7 მლნ აშშ \$ შეადგინა. 2015 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 1 564,5 მლნ აშშ \$ დაფიქსირდა (დაზუსტებული მაჩვენებელი), რაც 41,1%-ით აღემატება წინა 5 წლის (2010-2014) საშუალო მაჩვენებელს – 1 108,72 მლნ აშშ \$-ს, თუმცა 11 %-ით ჩამორჩება 2014 წლის მაჩვენებელს. 2015 წელს აზერბაიჯანმა საქართველოში ყველაზე დიდი მოცულობის ინვესტიცია განახორციელდა (35,1%), მის შემდეგ კი ლიდერობს გაერთიანე-

ბული სამეფო (24,7%), ნიდერლანდები (10%) და ლუქსემბურგი (6,7%).

სექტორების მიხედვით კი 2015 წელს წამყვან პოზიციას ტრანსპორტის და კავშირგაბაზულობის სექტორი (37%) იკავებს, რომელსაც მოჰყვება საფინანსო სექტორი (11%), სახტუმროები/რესტორნები (9%) და ჯანდაცვა (9%) [17, 18, 19].

საქართველოში ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნის და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ეფექტიანი პირობებიდან აღსანიშნავია შემდგები: სტაბილური მაკროეკონომიკური პირობები, ანტიმონოპოლიური პოლიტიკა, კვალიფიციური სამუშაო ძალა, ინვესტორისათვის მისაღები საკანონმდებლო ბაზა, კომუნიკაციები, პროტექციონიზმი (ასალი ტექნოლოგიებისა და შრომის ორგანიზაციის თანამედროვე ფორმების დანერგვა, დეპრესიული რეგიონების და პრიორიტეტული დარგების ეკონომიკური განვითარების სტიმულირება) და სხვა [9, 13, 14].

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2015 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 9 928 მლნ აშშ \$ შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 13%-ით ნაკლებია. ექსპორტი შემცირდა 23%-ით და 2 204 მლნ აშშ \$ შეადგინა; ხოლო იმპორტი შემცირდა 10%-ით და 7 724 მლნ აშშ \$-ით განისაზღვრა; უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა შეადგინა -5521 მლნ აშშ \$ და სავაჭრო ბრუნვის 56 % [16]. კვლავაც პირბლემურია ევროკავშირის ბაზარზე შეღწევა, რასაც განაპირობებს ჩვენში წარმოებული საქონლის შეუსაბამობა მკროპულ სტანდარტებთან და ტექნიკურ რეგლამენტთან [13]. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ მკვეთრად გაღრმავდა ქონებრივი დიფერენციაცია, რასაც მოჰყვა შემოსავლების უთანასწორო გადანაწილების უარყოფითი ტენდენცია და ჯერ კიდევ კერჩამოვალიბდა საშუალო ფენა. სიღარიბის ზღვარს მიღმა აღმოჩნდა საქართველოს მოსახ-

ლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებიდან ირკვევა სოციალური და შრომის ბაზრის ინდოკატორებიდან, 2015 წელს წინა წელთან შედარებით, უმუშევრობის დონე 2.6 %-ული პუნქტით შემცირდა და 12.0 % შეადგინა (დასაშვები დონე 7%). იმავე 2015 წელს, რეგისტრირებულმა და ფარდობითმა სიღარიბემ 10,1 % და 20,1 %, ხოლო ჯინის კოეფიციენტმა მთლიანი სამომხმარებლო სარჯების მიხედვით 0.40 შეადგინა; ამასთან, ფარდობითი საბიუჯეტო დანახარჯები ჯანდაცვაზე (მშპ-ის 2.2 %) და განათლებაზე (მშპ-ის 2.5 %) დაბალია, ვიდრე OECD-ის ქვეყნებში, სადაც აღნიშნული მაჩვენებლები მშპ-ის 9.3 %-სა და 5.3 %-ის უტოლდება [10, 19].

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს უსაფრთხო და მდგრადი განვითარების ძირითად პირობებად მიჩნეულია შემდეგი: ა) მოსახლეობის ერთ სულზე მოსული მშპ ნაკლები არ უნდა იყოს 8-10 ათას დოლარზე; ბ) სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აჭარბებდეს მშპ-ის 3-5%-ს; გ) სახელმწიფო ვალი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ის 60%-ს; დ) საგარეო ვალის მომსახურებაზე გაწეული ხარჯები არ უნდა იყოს წლიური საქას-პორტო შემოსავლების 20%-ზე მეტი; ე) ინვესტიციური საქმიანობის უზრუნველსაყოფად დაგროვების წილი პროდუქტში არა ნაკლებ 20%-ისა; ვ) ფულის მასის ზრდა წარმოების ზრდის შესაბამისად; ზ) საერთაშორისო რეზერვების საკმარისი მოცულობა საქონლის იმპორტის დასაფარავად სულ მცირე სამი თვის განმავლობაში, რომელთა ნაწილი ჩვენს ქვეყნაში მნიშვნელოვნადაა დარღვეული და თვით სახელმწიფო ეროვნული რეზერვის საფრთხეს, რადგან მას არსებულ ვითარებაში დაკარგული აქცეს გაფართოებული ნორმალური კვლავწარმოებისა და თვითგანვითარების უნარი [13].

ევროპის კავშირში გაწევრიანებისათვის მიღ-
წეულ შენდა იქნება ა.წ. პრეპრიცაგენის კრიტერიუ-

მების შემდეგი პარამეტრები: 1. მშპ-ს საშუალო წლიური ზრდის ტემპი ბოლო ოთხი წლის განმავლობაში 3,1% (თუმცა აღნიშნული ეხება ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს. საქართველოსთვის აღნიშნული პარამეტრის მოთხოვნა უფრო მეტი იქნება). 2. მშპ ერთ სულზე (მსყიდვების ბითურიანობის პარიტეტის გათვალისწინებით) 4900 ევრო; 3. ინვესტიციების წილი მშპ-ში 22,81%; 4. უცხოური ინვესტიციები მოსახლეობის ერთ სულზე 83 ევრო; 5. საგადასახადო შემოსავლები მშპ-ს მიმართ 32%; 6. ბიუჯეტის დეფიციტი არა უმეტეს 3,3%; 7. საგარეო ვალი მშპ-ს მიმართ 36%; 8. ექსპორტით იმპორტის გადაფარვა 74,6%; 9. საბაჟო შემოსავლები მშპ-ს მიმართ 4%; 10. უმცირესობის დონე (მკაცრი კრიტერიუმით) 10,9% და ა.შ. საქართველოსთვის აღნიშნული კრიტერიუმებიდან ზოგიერთი, მაგალითად 4, 8 საქმაოდ რთულად მისაღწევი იქნება [7].

როგორც ცნობილია, მთლიანი შეგა პროდუქტი (მშპ) და მისი რეალური ზრდის ტემპი ქვეყნის კონომიკის მდგომარეობის შეფასების ერთ-ერთი ძირითადი ინდიკატორია.

ცხადია, საქართველოში ჩატარებული რეფორმები დადგებითად აისახა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. მოუხდავად ამისა, 2015 წლის მონაცემებით ამერიკული გამოცემა Global Finance Magazine-ის ვერსიით, ეკონომიკის დონის მიხედვით ქვეყნების რეიტინგში The Richest Countries in the World საქართველოს 113-ე ადგილი უკავია. გამოცემამ მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემთა საფუძვლზე ყველაზე მდიდარი ქვეყნების რეიტინგი შეადგინა მოლიანი შიგა პროდუქტის (მშპ) მიხედვით, რაც ერთ სულ მოსახლეზე მსყიდვებლიბითუნარიანობის პარიტეტის საფუძველს ეყრდნობა, იგი ითვალისწინებს ცხოვრების შეფარდებით ღირებულებასა და ინფლაციის დონეს ქვეყნებში. სულ სიაში 185 სახელმწიფო შევიდა. ჩვენთან დღესდღობით მნიშვნელოვანი

პრობლემა არის „უმუშევრობა, საგარეო ვალი, ინფლაცია და ა.შ. სანამ ამ პრობლემების ზეგავლენა არ შემცირდება, ქვეყანა ვერ შეძლებს მაღალი ეკონომიკური ზრდის მიღწევას. საქართველოსთვის, ასეთ ვითარებაში, მნიშვნელოვანია მომხმარებლებისა და ინვესტორების ნდობის გაძლიერება. ასევე, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გამოყენებით ქართული ექსპორტისთვის ბაზრების დივერსიფიკაცია.

მსოფლიო ბანკის ანგარიშის თანახმად, 2016 წელს საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 3 % იქნება, 2017 წელს – 4,5 %, ხოლო 2018 წელს ეს მაჩვენებელი 5 %-საც მიაღწევს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მსოფლიო ეკონომიკის ახალი ანგარიშის თანახმად, საქართველოს ეკონომიკა 2016 წელს 3,4%-ით გაიზრდება, 2017 წელს კი 5,2%-ით; ინფლაციის დონე საქართველოში 2016 წელს 2,6% იქნება, 2017 წელს კი 3,6%. 2016 წელს საქართველოში მშპ-ის 12,1%-იანი დაფიციტი დაფიქსირდება, ხოლო მომავალ წელს ეს მაჩვენებელი 12,0%-ს მიაღწევს.

ამასთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდის უცვლელი დატოვა მსოფლიო ეკონომიკის ზრდის 3%-იანი პროგნოზი 2016 წლისთვის. 2017 წელს კი ანგარიშის თანახმად, მსოფლიოს ეკონომიკური ზრდა 3,4% იქნება.

ფონდის განცხადებით, გლობალური ეკონომიკის შენელებული ზრდა მომავალშიც გაგრძელდება გადამწყვეტი პოლიტიკური ზომების მიუდებლობის ფონზე [7, 8].

ასეთ ვითარებაში, მართალია მნიშვნელოვანია საქართველოს მშპ-ის რეალური ზრდის რამდენადმე მაღალი მაჩვენებლის პროგნოზი, თუმცა ჩვენი ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარებისათვის მშპ-ს რეალური ზრდის მეტი მაჩვენებლის მიღწევა საჭირო; საქართველოს კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სისტემური მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება საკანონმდებლო, ინსტი-

ტუციური, სოციალური, სტრუქტურული, ტექნოლოგიური, ადამიანური კაპიტალის, ეკოლოგიური პოლიტიკის, განათლების, მეცნიერების, ჯანმრთელობის სფეროების რეფორმების დაჩქარებული განვითარებით, რითაც შესაძლებელია საქართველოს ეროვნული სიმდიდრის, მისი ეკონომიკური პოტენციალის უფლებიანი გამოყენება და მშპ-ს ზრდა კიდევ უფრო მაღალი ტემპებით.

საქართველო უმნიშვნელოვანები გამოწვევების წინაშე დგას. ერთი მხრივ, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებისა და მისი, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტის მნიშვნელოვანი ნაწილის ამოქმდების შედეგად სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს შეთანხმების უფლებიანი განხორციელების უზრუნველყოფა. ყველაფერი ეს თავის მხრივ, იძლევა ქვეყნის მოდერნიზაციის, დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცების, სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ევროპულ ერებს შორის ღირსეული აღგილის დამკვიდრების რეალურ შესაძლებლობას. მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია, ეროვნულირის აღმოსავლეთ სამეზობლოში არსებული მძიმე გეოპოლიტიკური ვითარება, რომელიც არის მნიშვნელოვანი გამოწვევა არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ ევროპული მისწრაფებების მქონე სხვა ქვეყნებისათვის და მთლიანად ევროპისთვის. შესაბამისად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ევროპელი პარტნიორების მხრიდან საქართველოსა და რეგიონის ქვეყნებისთვის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მხარდაჭერას, მათ შორის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის თვალსაზრისით.

გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციების და ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დღევანდელი მდგრმარების ანალიზი გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ: ქვეყნას სჭირდება მდგრადი და უსაფრთხო განვითარების მიზნობრივი პროგრამა, რომელშიც

წამყვანი ადგილი ეკონომიკურ უსაფრთხოებას ექნება; იგი დაეფუძნება ამჟამად ჩამოყალიბებული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგრა-მარეობის კომპლექსურ ანალიზს; მრავალვარიან-ტულობის პოზიციებიდან რეალურად განსაზღვრულ ტრანსფორმაციის გაძლიერება-გაღრმავების ფაქტორთა ერთობლიობას და მათი გამოყენების ერთიან თრანსპორტულ-ეკონომიკურ მექანიზმს. სწორად მიგვაჩნია ბატონ ი. მესხიას მოსაზრება, რომ გარდამავალ პერიოდში საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია უნდა იყოს ორიენტირებული, უპირველეს ყოვლისა, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისაკენ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისაკენ, კონსტიტუციური მოწყობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისაკენ, ეროვნული ფაქტურებისა და ინტერესების მყარი სისიტემის შექმნისაკენ. აქ საგანგებო ყურადღებას მოითხოვს გლობალიზაციის პროცესების არა შეჩერება ან მასთან დაპირისპირება, არამედ მისი რეგულირების მექანიზმების პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და მორალურ-ზნეობრივი პრინციპების სწორად, კაცობრიობის განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებით შერჩევა და გამოყენება [20, 21, 22, 23, 24].

ცხადია, თანამედროვე გლობალიზაციის პორებებში, საქართველოს სახელმწიფოს განვითარება ეროვნული სოციალურ-ეკონომიკური ფაქტურების გარეშე მიზანშეუწონელია, რაც თავის მხრივ, დამოკიდებულია ეფექტიანი ინსტიტუციური რეფორმების განხორციელებისას საერთაშორისო ურთიერთობებში ჩართული ჩვენი ქვეყნის ფუნდამენტური ინტერესების დაცვასთან, სადაც უნდა

გავითვალისწინოთ სუვერენიტეტი, უსაფრთხოება, ერის იდენტობის შესანარჩუნებლად თავისი კულტურის, ტრადიციებისა და ფასეულობების მტკიცებ დაცვა, მშვიდობა, დემოკრატია და კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების პატივისცემა, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობა და, რომლებიც მთლიანობაში სწარვად მზარდი, კონკურენტუნარიანი და მდგრადი ეროვნული ეკონომიკის განვითარების საწინდარი უნდა გახდეს.

დასკვნა

ევროინტეგრაციულ პროცესებში საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის რეფორმირება-განვითარებისას პოზიტიური და ნეგატიური თავისებურებები ითვალისწინებს იმ მნიშვნელოვან პრიორიტეტებს, რომელმაც სახელმწიფო სუვერენიტეტის და საერთაშორისო სამართლის პრინციპების დაცვით ჩვენ ქვეყნას უნდა მისცეს სწრაფი და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობა. კეთილდღეობის მაღალი დონის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ისეთი აქტუალური საკითხების გათვალისწინება როგორიცაა: ეკონომიკური ზრდის სტიმულირება, ევროპაშირის ბაზართან თავსებადი საგაჭრო სისტემის ფორმირება, ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის და ექსპორტის ზრდა, საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობის და უცხოური ინვესტიციების წახალისება, უმუშევრობის შემცირება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, მიგრაციის რეგულირება, ეროვნული უსაფრთხოება.

ლიტერატურა

1. <http://businesscontact.ge/ka/article/saqartvelo-pozicia-saertashoriso-reitingebshi/683> (in Georgian).
2. <http://www.ghn.ge/com/news/view/162866> (in Georgian).
3. <http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/399321-globaluri-konkurentunarianobis-reittingshi-saqarthvelom-poziciebi-7-adgilith-gaiumjobesa.html> (in Georgian).
4. <http://www.timer.ge/msoflio-economicuri-foru/> (In Georgian).
5. <http://www.economy.ge/ge/publications/our/saqartvelos-ekonomikuri-mimoxilva> (in Georgian).
6. <http://sputnik-georgia.com/georgia/20160404/230955489/msoflios-kvelaze-mdidari-qveknebis-reiti-ngshi-saqartvelo-113-e-adgilzea.html> (in Georgian).
7. <http://sputnik-georgia.com/society/20151215/229483474.html> (in Georgian).
8. Otinashvili R. Economy of Georgia. Publishing House „Tqnikuri universiteti“. Tbilisi. 2011. 556 p. (In Georgian).
9. Asatiani R. Where Does Georgia go? The conceptual analysis of socio-economic development. Tbilisi Publishing House „Siakhle“. Tbilisi. 2014. 368 p. (In Georgian).
10. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304#sagareoseqtori> (In Georgian).
11. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=187&lang=geo (In Georgian).
12. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=494> (In Georgian).
13. Abralava A. National Economy and Globalization. Publishing House „Innovation“. Tbilisi. 2005. 380 p. (In Georgian).
14. Grishikashvili A. Transition economy countries and European integration. Publishing House „PDP“. 2005. 520 p. (In Georgian).
15. http://eprc.ge/admin/editor/uploads/files/Broshure_Crisis_II_WEB.pdf (In Georgian).
16. <http://www.eprc.ge/index.php?a=main&pid=1283&lang=geo> (In Georgian).
17. http://www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/Trade_turnover_2015_final_1.pdf (In Georgian).
18. <http://www.economy.ge/ge/economic-sectors/pirdapiri-ucxouri-investiciebi> (In Georgian).
19. <http://pbo.parliament.ge/ge/reportspapers/2016-01-11-11-42-35/macroeconomy/item/234-meotxe-kvartali> (In Georgian).
20. Yefimov V. A., Solonko I. V., Velichko M. V. Basics of world outlook safety in globalization. SPB.:APBGAU. 2013 92 p. (In Russian).
21. Drobot E. V. Actual issues of public administration in XXI c.: transformation of the role of State in globalization process. Vyborg. 2007. 53 p. (In Russian).
22. Chitanava N. Socio-economic problems of transitional period. III part. Tbilisi. 2001. 423 p. (In Georgian).
23. Shengelia T. Globalization and international business environment in Georgia. Work of transactions of International Scientific Conference. Tbilisi Publishing House „Universal“. 2012. 7-12 pp. (In Georgian).
24. European Integration: Perspectives and Challenges How ‘Borderless’ Is Europe? Edited by: István Tarrós, Ágnes Tuka, Zoltán Vörös and Andrea Schmidt. Published by: IDResearch Ltd, Pécs. 2014. 822 p. (In English).

UDC 327.7(8): 338.1(2): 339.5

SCOPUS CODE 2001

ACTUAL SOCIO-ECONOMIC ASPECTS OF GEORGIA'S EU INTEGRATION

- K. Mdinaradze** Department of Economic Informatics (Information Systems) Georgian Technical University,
77 M. Kostava str., 0175 Tbilisi, Georgia
E-mail: q.mdinaradze@openuni.edu.ge
- G. Lobzhanidze** Department of Applied Geology, Georgian Technical University, 75 M. Kostava str., 0175
Tbilisi, Georgia
E-mail: g.lojanidze@gtu.ge

Reviewers:

R. Otinashvili, Professor, Doctor of Economic Science, Department of Business Administration, Faculty of Business Technology, GTU

E-mail: otin-44@mail.ru

G. Tabatadze, Associate Professor, Doctor of Economic Science, Department of Applied Geology, Faculty of Mining and Geology, GTU

E-mail: G.Tabatadze@gtu.ge

ABSTRACT. The paper refers to the actual socio-economic aspects of Georgia related to the European integration processes within existing global challenges. There has been analyzed the basic conditions and criteria for the sustainable development of our country. The paper represents the main macroeconomic indicators as well as various international rankings of Georgia, considered the necessity and importance of the European choice in the context of multilateral development of Georgia.

KEY WORDS: european integration; International organizations; globalization; rankings; socio-economic reforms.

UDC 327.7(8): 338.1(2): 339.5

SCOPUS CODE 2001

АКТУАЛЬНЫЕ СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ В ЕВРОПЕЙСКОЙ ИНТЕГРАЦИИ ГРУЗИИ

Мдинарадзе К.Л. Департамент экономической информатики (информационные системы), Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 77
E-mail: q.mdinaraadze@openuni.edu.ge

Лобжанидзе Г.З. Департамент прикладной геологии, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 77
E-mail: g.lobjanidze@gtu.ge

Рецензенты:

Р. Отинашвили, профессор, доктор экономических наук Департамента бизнес-администрирования факультета бизнес-инженеринга ГТУ

E-mail: otin-44@mail.ru

Г. Табатадзе, ассоциированный профессор, академический доктор экономических наук Департамента прикладной геологии горно-геологического факультета ГТУ

E-mail: G.Tabatadze@gtu.ge

АННОТАЦИЯ. Рассмотрены современные актуальные социально-экономические аспекты Грузии в системе европейских интеграционных процессов в контексте мировых глобальных вызовов. Проанализированы основные условия и критерии безопасного и устойчивого развития нашей страны. Представлены основные макроэкономические показатели и международные рейтинги Грузии, необходимость и значение европейского выбора в перспективе многостороннего развития Грузии.

КЛЮЧЕВЫЕ СЛОВА: глобализация; европейская интеграция; международные организации; рейтинги; социально-экономические реформы;

UDC 625.75.4**SCOPUS CODE 2201**

ფლოტაციის პროცესის ოპტიმიზაცია რეჟიმული პარამეტრით

რ. ენაგელი	სამთო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 75 E-mail: Enageli@mail.ru
მ. ონიანი	სამთო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 75 E-mail: moniani@gmail.com

რეცენზენტები:

მ. წერეთელი, სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის სამთო ტექნოლოგიების დეპარტამენტის
პროფესორი

E-mail: mi-tseret@rambler.ru

მ. ქიტოშვილი, სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის საგანგებო სიტუაციების და შრომის
უსაფრთხოების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

E-mail: m.qitoShvili@gtu.ge

ანოთაცია. სტატიაში განხილულია ჭიათურის საბადოს მანგანუმის მაღნის ფლოტაციური ხერხით გამდიდრების პროცესის შემაშფოთებელი ზემოქმედების მიხედვით ავტომატური მართვის საკითხი. პროცესის მათემატიკური მოდელისა და წრფივი დაპროგრამების მეთოდის გრაფიკული ვარიანტის საშუალებით ჩატარებული ოპტიმიზაციის შედეგების ანალიზის საფუძველზე შედგენლია მართვის ალგორითმი, რომელიც ასახავს რეაგენტის – თხევადი მინის ხარჯის დამოკიდებულებას საფლოტაციო კამერაში ქაფის დონესთან. მიღებული მართვის ალგორითმის მიხედვით აგებულ იქნა პროცესის მართვის სისტემის ფუნქციური სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს პროცესის მართვას ტექნოლოგიური კრიტერიუმის და რეჟიმული სიდიდის – საფლოტაციო კამერაში ქაფის დონის მიხედვით. მართვის სისტემა უზრუნ-

ველუფლებების შემაშფოთებელი ზემოქმედების ცვალებადობის მიუხედავად კონდიციური კონცენტრატის მაქსიმალური გამოსავლის მიღებას.

საპარამო სიტუაცია: ავტომატური მართვის სისტემა; მართვის ალგორითმი; ფლოტაციის პროცესი; ქაფის დონე; შემაშფოთებელი ზემოქმედება.

შესავალი

სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიური ამოცანა ზოგად შემთხვევაში დაიფარება მმართველი სიდიდეების რეგულირებაზე შემაშფოთებელი სიდიდეების მიხედვით. ტექნოლოგიური პროცესის მათემატიკური მოდელის და ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე მოხდა შემაშფოთებელი ზემოქმედების (გასამდიდრებელი მაღნის რაოდენობის და მასში მანგანუ-

მის შემცველობის) რეჟიმული პარამეტრით – საფლოტაციო კამერაში ქაფის დონით შეცვლა. ოპტიმიზაციის წრფივი დაპროგრამების გრაფიკული ვარიანტის საფუძველზე მიღებულია პროცესის რეჟიმული სიდიდის მიხედვით რეგულირების დროს რეაგენტების ხარჯის ოპტიმალური სიდიდეები.

ძირითადი ნაწილი

მანგანუმის მაღნის ფლოტაციის პროცესის კონცენტრატის ხარისხის ალბათური მოდელებისა და წყვილი დამოკიდებულების ანალიზის საფუძველზე კონცენტრატის გამოსავლის და ხარისხის მრავლობით დამოკიდებულებებს მმართველი და შემაშფოთებელი სიდიდეებზე ანუ მიზნისა და შეზღუდვის ფუნქციებს ჭიათურის საფლოტაციო ფაბრიკის პირობებისათვის აქვს სახე [1, 3]:

მიზნის ფუნქცია

$$\gamma(q_1, q_2, q_3) =$$

$$= 1.25 \cdot 10^{-8} q_1^{0.62} q_2^{-6.45} q_3^{22.9} e^{-5.95 \cdot 10^{-6} q_1 + 11.07 q_2 - 5.37 q_3} \rightarrow \max, \quad (1)$$

შეზღუდვის ფუნქცია

$$\beta(q_1, q_2, q_3, \alpha, Q) =$$

$$= \alpha + 6.68 q_1^{0.68} q_2^{-0.2} q_3^{0.87} \alpha^{-1} Q^{-0.0084} = \beta_0 \quad (2)$$

რეაგენტების ცვალებადობის დასაშვები ზღვრები

$$6.3 \leq q_1 \leq 7; \quad 0.56 \leq q_2 \leq 0.75; \quad 4.4 \leq q_3 \leq 5. \quad (3)$$

ამ გამოსახულებებში γ კონცენტრატის გამოსავალია, %; β – კონცენტრატის ხარისხი, %; β_0 – კონცენტრატის ხარისხის დაგალებული მნიშვნელობა, %; α - გასამდიდრებელი მაღნის ხარის-

ხი (Мп-ის შემცველობა), %; Q – გასამდიდრებელი მაღნის ხარჯი (მწარმოებლობა), ტ/სთ; q_1, q_2, q_3 - რეაგენტების (შესაბამისად, გასაპნული ტალის ზეთის, სოლარის ზეთისა და თხევადი მინის) ხარჯები, კგ/ტთ;

q_1, q_2, q_3 – მმართველი სიდიდეებია, ხოლო ა და Q – შემაშფოთებელი.


პროცესის ოპტიმიზაციისათვის გამოვიყენეთ წრფივი დაპროგრამების მეთოდი [2, 3] და მივიღეთ მართვის ალგორითმი:

$$q_3 = 0.0235(\beta_0 - \alpha)^{1.15} \alpha^{1.15}, \quad (4)$$


$$Q = 11.5, \quad q_1 = q_{1\max} = 7 \quad \text{და} \quad q_2 = q_{2\max} = 0.75. \quad (5)$$

როგორც ცნობილია, ზოგიერთი შემაშფოთებელი სიდიდის გაზომვა ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობისას არ ხერხდება. ასეთ შემთხვევაში მას ცვლიან რომელიმე რეჟიმული სიდიდით. რეჟიმული სიდიდე პროცესის გამოსავალი სიდიდეა და დამოკიდებულია შესავალ სიდიდეებზე. ის არის ტექნოლოგიური პროცესის მაჩვენებელი, ასასიათებს მის მიმდინარეობას და აფასებს მოსალოდნელ შედეგებს, რის გამოც შეგვიძლია გამოვიყენოთ პროცესის მართვისას. ჩვენს შემთხვევაში რეჟიმულ სიდიდედ ვიღებთ საფლოტაციო კამერაში ქაფის სიმაღლეს რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია მიწოდებული რეაგენტების რაოდენობაზე, გასამდიდრებელი მაღნის რაოდენობაზე და მასში სასარგებლო კომპონენტის შემცველობაზე.


სტატისტიკური მონაცემების მიხედვით აგვენდებული რეაგენტების ხარჯზე ქაფის სიმაღლის წყვილი დამოკიდებულება ნაჩვენებია 1-ელ, მე-2 და მე-3 ნახაზებზე [3].



ნახ. 1. q_1 რეაგენტის ხარჯზე h -ის დამოკიდებულების გრაფიკი



ნახ. 2. q_2 რეაგენტის ხარჯზე h -ის დამოკიდებულების გრაფიკი




ნახ. 3. q_3 რეაგენტის ხარჯზე h -ის დამოკიდებულების გრაფიკი

ოპტიმიზაციის (4) მართვის ალგორითმი მიღებულია იმ შემთხვევისათვის, როდესაც (1) და (2) გამოსახულებებში შეტანილია სიდიდეები $q_1=q_{1\max}=7$ და $q_2=q_{2\max}=0.75$. რეკიმული სიდიდის შემოტანის შემთხვევაში უნდა მოვახდინოთ ამ სიდიდეების ხელახლი ანალიზი, ჩაჯდება თუ არა ეს მნიშვნელობები რეაგენტების ხარჯების დასაშვები ცვალებადობის ფარგლებში. ამისათვის გავაანალიზოთ ქაფის სიმაღლესა და რეაგენტების ხარჯებს შორის წყვილი დამოკიდებულებები, ამასთან, გავითვალისწინოთ გამოსავლის დამოკიდებულება რეაგენტის ხარჯებზე (ნახ. 4 და ნახ. 5).


q_1 რეაგენტის შემთხვევაში ორივე გრაფიკი (ნახ.1 და ნახ.4) პრაქტიკულად სწორხაზოვანია და აღმავალი. რაც ნიშნავს, რომ q_1 რეაგენტის ზრდა ორივე მაჩვენებლის ზრდას იწვევს. თუ ტექნოლო-

გიური პროცესი წარიმართება წრფის მარჯვნა უბანზე, მივიღებთ უფრო მაღალ ხარისხობრივ მაჩვენებლებს. ამიტომ, ბუნებრივია, ვირჩევთ q_1 რეაგენტის ხარჯის მაქსიმალურ მნიშვნელობას: $q_1=q_{1\max}=7$.

ახლა განვიხილოთ q_2 რეაგენტის შემთხვევა. ქაფის სიმაღლის q_2 რეაგენტის ხარჯზე დამოკიდებულების გრაფიკზე ჩ მაქსიმალურია რეაგენტის საშუალო მნიშვნელობისას, თუმცა თითქმის ინარჩუნებს მაქსიმალურ მნიშვნელობას რეაგენტის მნიშვნელობის ზედა ზღვრამდე. გამოსავლის დამოკიდებულებაც არაწრფივია, აქვს მინიმუმი და q_2 -ის საკმაოდ დიდ ფარგლებში გამოსავალი რჩება მინიმალური, თუმცა გრაფიკის მარჯვნა უბანზე გამოსავალი იზრდება, ამიტომ, ბუნებრივია, ავირჩევთ $q_2=q_{2\max}=0.75$.



ნახ. 4. q_1 რეაგენტის ხარჯზე γ -ს დამოკიდებულების გრაფიკი

ნახ. 5. q_2 რეაგენტის ხარჯზე γ -ს დამოკიდებულების გრაფიკი

მაშასადამე, მართვის ალგორითმისთვის მივიღეთ: $Q=11.5$, $q_1=q_{1\max}=7$ და $q_2=q_{2\max}=0.75$. ახლა საჭიროა α -ს ნაცვლად მართვის ალგორითმში შევიტორ ა-ს- დამოკიდებულება. ამისათვის ავაგორ ა-ს დამოკიდებულების გრაფიკი (ნახ. 6), რისთვისაც გამოვიყენოთ სტატისტიკური მონაცემები [3,4]. მათზე დაყრდნობით მივიღებთ შემდეგი სახის დამოკიდებულებას:

$$h = 2.0984 \cdot \alpha^{0.4645}. \quad (6)$$

გარდავქმნათ (6) გამოსახულება და მივიღოთ α -ს დამოკიდებულება h -ზე:


$$\alpha = 1.4115 \cdot h^{2.15}. \quad (7)$$

შევიტორ ა-ს მნიშვნელობა (4) გამოსახულებაში

$$q_3 = 0.0235 \cdot (\beta_0 - 1.41 \cdot h^{2.15})^{1.15} \cdot (1.41 \cdot h^{2.15})^{1.15}. \quad (8)$$


საბოლოოდ მართვის ალგორითმი მიიღებს სახეს:

$$q_3 = 0.035 \cdot (\beta_0 - 1.41 \cdot h^{2.15})^{1.15} \cdot h^{2.47} \quad (9)$$

ნახ. 6. გასამდიდრებელი მაღნის ხარისხზე α კაფის სიმაღლის გრაფიკი

ჩატარებული ანალიზის საფუძველზე აიგო ტემპის ფუნქციური სტრუქტურა, რომელიც მოცემულობაციის პროცესის ავტომატიზაციის მართვის სი-

მულია მე-7 ნახაზზე.



ნახ. 7. ფლოტაციის პროცესის რეჟიმული სიდიდის მიხედვით
ავტომატური მართვის სისტემის ფუნქციური სტრუქტურა

მართვის სისტემა არის ავტომატური მმართველი მოწყობილობისა (ამმ) და მართვის ობიექტის – ფლოტაციის პროცესის ერთობლიობა. ამმ შედგება პროცესორისა და რეგულატორისაგან. პროცესორი ახდენს მართვის (9) ალგორითმის რეალიზებას, რისთვისაც მას მიეწოდება კონცენტრატის ხარისხის დავალებული სიდიდის β_0 შესაბამისი სიგნალი მავალებლიდან და საფლობაციო კამერაში მოთავსებული ქაფის სიმაღლის სიგნალი გადამწოდიდან. პროცესორი (9) მართვის ალგორითმის მიხედვით გამოიმუშავებს q_3 რეაგენტის პროგრამულ სიდიდეს, რომლის რეალიზებას ახდენს რეგულატორი. რეგულატორი მუშაობს შეკრულ ციკლში უარყოფითი უცუკავშირით. ის შესაბამისი შემსრულებელი მექანიზმის (რეაგენტის მკვებავის) საშუალებით ახდენს q_3 რეაგენტის ხარჯის ცვალებადობას მანამ, სანამ ეს ხარჯი არ გაუტოლდება პროცესორიდან მოდებულ მის პროგრამულ მნიშვნელობას, ე.ი. სანამ მის შესასვლელზე გაუთანხმოების სიგნალი არ გახდება ნულის ტოლი $\varepsilon_3=0$. დამყარებულ რეჟიმში

თუ მოხდა α -ს ან Q -ს ცვალებადობა, შეიცვლება საფლობაციო კამერაში ქაფის სიმაღლე h , (9) ალგორითმის მიხედვით შეიცვლება პროცესორის გამოსავალი პროგრამული სიგნალი, შეიცვლება ε_3 გაუთანხმოების სიგნალი რეგულატორის შესავლებულება და რეგულატორი მოახდენს ფლოტაციის პროცესზე მიწოდებული q_3 რეაგენტის ხარჯის ცვალებადობას მანამ, სანამ არ დამყარდება გარდამავალი პროცესი. ამ დროს აღდგება ტოლობა $\varepsilon_3=0$, ხოლო q_3 -ს ექნება ახალი მნიშვნელობა.

დასკვნა

ჩატარებული კვლევების შედეგად მიღებულია მანგანუმის მაღნის ფლობაციური ხერხით გამდიდრების პროცესის მართვის ალგორითმი, რომელიც ასახავს რეაგენტის – თხევადი მინის დამოკიდებულებას საფლობაციო კამერაში ქაფის დონესთან. კვლევები ჩატარებულია პროცესის მათემატიკური მოდელისა და წრფივი დაპროგრამების მეთოდის გრაფიკული ვარიანტის გამოყენებით. მიღებული მართვის ალგორითმის მიხედ-

ვით აგებულია პროცესის მართვის სისტემის ფუნ- ლებადობის მიუხედავად კონდიციური კონცენტრა- ქციური სტრუქტურა. მართვის სისტემა უზრუნ- ტის მაქსიმალური გამოსავლის მიღებას. ვალყოფს შემაშფოთებელი ზემოქმედებების ცვა-

ლიტერატურა

1. Butskhrikidze G., Oniani M. Optimization criterion and tasks for the ore enrichment processes. "Samto zhurnali". #2(15). 2005. 79-81 pp. (in Georgian).
2. Butskhrikidze G., Oniani M. Flotation process optimization by the linear programming method. "Samto zhurnali". #1(8). 2002. 48-49 pp. (In Georgian).
3. Oniani M. Flotation process optimization. Publishing house "teqnikuri universiteti". Tb., 2012. (in Georgian).
4. Oniani M. Control of the flotation process by operating parameter. "Samto zhurnali". #1-2(18-19). 2007. 12-14 pp. (in Georgian).

UDC 625.75.4

SCOPUS CODE 2201

OPTIMIZATION OF THE FLOTATION PROCESS BY OPERATING PARAMETER

- R. Enageli** Department of Mining Technology, Faculty of Mining and Geology, Georgian Technical University, 75 M. Kostava str, 0175 Tbilisi, Georgia
E-mail: enageli@mail.ru
- M. Oniani** Department of Mining Technology, Faculty of Mining and Geology, Georgian Technical University, 75 M. Kostava str, 0175 Tbilisi, Georgia
E-mail: moniani@gmail.com

Reviewers:

- M. Tsereteli**, Professor, Department of Mining Technology, Faculty of Mining and Geology, GTU
E-mail: mi-tseret@rambler.ru
- M. Kitoshvili**, Associate Professor, Department of Labor Safety and Emergency Control, Faculty of Mining and Geology, GTU
E-mail: m.qitoshvili@gtu.ge

ABSTRACT. The paper deals with the matters of the automatic control of the manganese ore enrichment process by flotation method at the Chiatura Flotation Factory based on the disturbing influence. Based on the analysis of the optimization results carried out by the means of the mathematical model of the process and the graphical version of the linear programming method a control algorithm is developed, which describes the dependence between the reagent – liquid glass and the foam level in the flotation camera. Based on the obtained control algorithm functional structure of the process control system was constructed, which provides control of the process according to the

technological criteria and the operating parameter – foam level in the flotation camera. The control system provides maximum outcome of the conditional concentrate regardless the fluctuation of the disturbing influences.

KEY WORDS: automatic control system; control algorithm; disturbance; flotation process; foam level.

UDC 625.75.4

SCOPUS CODE 2201

ОПТИМИЗАЦИЯ ПРОЦЕССА ФЛОТАЦИИ ПО РЕЖИМНОМУ ПАРАМЕТРУ

Энагели Р.П.

Департамент горных технологий, Грузинский технический университет, Грузия, 0175,
Тбилиси, ул. М. Костава, 75
E-mail: Enageli@mail.ru

Ониашвили М.Ш.

Департамент горных технологий, Грузинский технический университет, Грузия, 0175,
Тбилиси, ул. М. Костава, 75
E-mail: moniani@gmail.com

Рецензенты:

М. Церетели, профессор Департамента горных технологий горно-геологического факультета ГТУ

E-mail: mi-tseret@rambler.ru

М. Китошвили, ассоц. профессор Департамента безопасности труда и чрезвычайных ситуаций горно-геологического факультета ГТУ

E-mail: m.qitoshvili@gtu.ge

АННОТАЦИЯ. Рассмотрены вопросы построения системы оптимального управления процессом обогащения марганцевой руды методом флотации по возмущающему воздействию. На основе математической модели и с помощью графического варианта метода линейного программирования проведена оптимизация процесса. На основе анализа результатов оптимизации составлен алгоритм управления, который дает зависимость между реагентом – жидким стеклом и уровнем пены во флотационной камере. По полученному алгоритму управления построена функциональная структура системы управления процессом флотации, которая обеспечивает управление процессом согласно технологическому критерию и по режимной величине - уровнем пены во флотационной машине. Система управления обеспечивает получение максимального выхода кондиционного продукта независимо от изменения возмущающих воздействий.

КЛЮЧЕВЫЕ СЛОВА: алгоритм управления; возмущающее воздействие; процесс флотации; система автоматического управления; уровень пены.

UDC 551.501.9**SCOPUS CODE 2207**

საშინაო მეტეოროლოგიური დაკაროვებული დარგმობი Arduino Starter Kit-ის გამოყენებით

პ. გრიგალაშვილი მართვის სისტემების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 77

E-mail: j.grigalashvili@gtu.ge

რეცენზენტები:

ი. მოსაშვილი, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის მართვის სისტემების დეპარტამენტის პროფესორი

E-mail: i.mosashvili@gtu.ge

ჟოჯუა, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ინფორმატიკის დეპარტამენტის პროფესორი

E-mail: jojuazauri@yahoo.com

აღნაიანი. სტატიაში განხილულია საშინაო გამოყენების მეტეოროლოგური, რომელიც დაპროექტებულია მოქროკონტროლერული დაფის Arduino-სა და მისივე სასტარტო კომპლექტის ბაზაზე ტემპერატურის, ტენიანობისა და წნევის თანამედროვე ინტელექტუალური გადამწოდების გამოყენებით. გაზომვათა შედეგების ინდიკაცია ხდება LCD დისპლეიზე, ინფორმაციის დაარქივებისათვის გამოყენებულია რეალური დროის საათისა და SD ბარათის მოდულები, ხოლო მოწყობილობის დაპროგრამებისათვის გამოყენებულია Arduino-ს დაფის ვიზუალური დაპროგრამების სისტემა FLPProg.

საგვანძო სისტემები: SD ბარათის მოდული; დისპლეი HD44780; მეტეოროლოგური; მიკროკონტროლერი Arduino; რეალური დროის საათის მოდული DS1307; ტემპერატურის გადამწოდი

DS18B20; ტემპერატურისა და ტენიანობის გადამწოდი DHT22; წნევის გადამწოდი BMP085; FLPProg IDE.

შესავალი

Arduino, აპარატულ-პროგრამული საშვალებების სასაქონლო ნიშანია, რომლის დანიშნულებაა ავტომატიკისა და რობოტობექნიკის მარტივი სქემების აგება არაპროფესიული მომხმარებლების მიერ. Arduino-ს მოდულების პროგრამების ოფიციალური დამუშავების გარემო არის Arduino IDE, სადაც დაპროგრამება ხდება ProceSing/Wiring ენაზე ანუ C (უფრო მეტად C++) ენის დიალექტზე. ეს გარემო არსობრივად ჩვეულებრივი ტექსტური რედაქტორია, პროგრამის ტექსტის თარგმნის შესაძლებლობით მანქანურ კოდებში და მისი ჩატვირთვის შესაძლებლობით მიკროკონტროლერის მოდულში.

უნდა ითქვას, რომ Arduino-ს პლატფორმაზ
მაშინვე მოიპოვა დიდი პოპულარობა რადიო-
მოყვარულებს შორის, რამაც ხელი შეუწყო ამ
მოდულების ახალ-ახალი ვერსიების გამოჩენა
უფრო და უფრო მეტად განვითარებული ტექნი-
კური და ფუნქციური შესაძლებლობებით. დღეს
არსებობს Arduino-ს ოცნებები მეტი მოდიფიკაცია.
ამას ემატება არდუინოსთან მუშაობისათვის და-
მატებითი მოდულების (შილდები) გამოშვება,
რამაც გამოიწვია უკვე მაღალგალიფიციური
პროფესიონალების დაინტერესება და ჩართვა
არდუინოს გამოყენების საქმიანობაში, განსა-
კუთრებით ელექტროკოსების, ელექტრონიკის
დარგის სპეციალუსტების და ელექტრონული
მოწყობილობების დამუშავრებლებისა. ამათმა
დაინტერესებამ კი საჭირო გახადა მათვის უფ-
რო მისაღები, ვიზუალური დაპროგრამების ენე-
ბის შექმნის აუცილებლობა.

ვიზუალური ტიპის არსებული დამუშავების
საშუალებები პირობითად სამ სახეობად შეიძლება გაიყოს:

ა) დასამუშავებელი პროგრამისათვის განკუთ-
ვნილი ჩვეულებრივი სათავე პროგრამის გაფარ-
თოებული დაფორმატების საშუალება. აქ პროგ-
რამა ძველებურად იწერება C ენაზე. ასეთი სა-
შუალებები საქმაოდ ბევრია. ყველაზე გავრცე-
ლებული მაგალითებია: Scratch, S4A, Ardublock. ეს
ენები კარგია C ენაზე დაპროგრამების საწყისი
სწავლებისათვის, რადგანაც არგად წარმოაჩენს
ამ ენის სტრუქტურასა და სინტაქსს, მაგრამ მი-
სი გამოყენებით დიდი და სერიოზული პროგ-
რამების შექმნა გამნელებულია;

ბ) საშუალებები, რომლებიც მალავს ტექსტს
და ცვლის მას გრაფიკული სიმბოლოებით. აქ
აგრეთვე ხდება მაღალი დონის დაპროგრამების
ენის სტრუქტურის გამოყენება, ხდება ციკლე-
ბის, გადასვლების, პირობების ფორმირება. ეს
საშუალებებიც კარგია ალგორითმების აგების
საწყისი სწავლებისათვის, მაგრამ ისინი არ

ვარგა დიდი პროექტების აგებისათვის. ასეთი სა-
შუალებების მაგალითებია – miniBlog, Algorithm
Builder, Flowcode.

გ) სამრეწველო ავტომატიკაში გამოყენებული
FBD და LAD ენებზე დაფუძნებული საშუალებები.
თუ მკაცრად ვიმსჯელებთ, აქ დაპროგრამების
ენები, როგორც ასეთი, არ არსებობს. ეს უფრო
ზუსტად ვიზუალური გარემოებებია დასაპროექ-
ტებელი მოწყობილობების პრინციპული და ლო-
გიკური სქემების დასახაზად. მათვის, ვინც მიჩ-
ვეულია ციფრულ ტექნიკასთან მუშაობას, უფრო
მეტად მისაღებია ამ გარემოებებში მუშაობა,
ვიდრე პროგრამების დამუშავებაა დაპროგ-
რამების კლასიკურ ენებზე. ასეთი საშუალებები
საქმაოდ ეფექტურია როგორც იმპულსური და
რელეური ტექნიკის შესასწავლად, ასევე სერი-
ოზული პროექტების შესაქმნელადაც. ამ დაპ-
როგრამების ენებში კონცეტრირებულია სამრეწ-
ველო კონტროლერების დამუშავებლების მრა-
ვალწლიანი გამოცდილება, მაგრამ ამ საშუალე-
ბების გამოყენებისათვის მოთხოვნილი ცოდნის
საწყისი დონე გაცილებით მაღალია. საჭიროა
ელექტროტექნიკის საფუძვლებისა და ელექტრუ-
ლი სქემების აგების პრინციპების ცოდნა. ეს სა-
შუალებები განსაკუთრებით მოსახერხებელია ინ-
ჟინერ ელექტროგინერიული და ელექტრონიკის დარგის
სპეციალისტებისათვის, რომლებსაც სურთ მიკ-
როკონტროლერების გამოყენება თავიანთ დამუ-
შავებებში ისე, რომ არ დასჭირდეთ ამისათვის
დაპროგრამების კლასიკური ენების შესწავლა.

FBD (Function Block Diagram) – დაპროგრამების
გრაფიკული ენაა რომელიც შეესაბამება საერთა-
შორისო სტანდარტს IEC 61131-3. ამ სტანდარ-
ტით შექმნილი პროგრამა არის წრედების თანა-
მიდევრობა, რომლებიც დალაგებულია მიმდე-
ვრობით მარცხნიდან მარჯვნივ და ზევიდან ქვ-
ვით. წრედების შექმნა ხდება პროგრამის ელე-
მენტების ბიბლიოთეკაში შემავალი პროგრამის,
ფუნქციის ანდა ფუნქციური ბლოკებისაგან. თი-

თოვეული წრედი შედგება ცალკეული ბლოკებისაგან, რომლებიც შეერთებულია ერთმანეთთან კომპიუტერის ეკრანზე, ისე რომ თითოეული ბლოკის გამოსახვლელი უერთდება შემდეგი ბლოკის შესახვლელს. წრედის შიგნით პროგრამა ასრულებს ბლოკებს მათი შეერთების თანამიმდევრობის მიხედვით. ჩვენს შრომაში საშინაო მეტეოროსადგურის დასამუშავებლად გამოყენებული ვიზუალური დაპროგრამების საშუალება FLPProg დაფუძნებულია სწორედ რომ დაპროგრამების გრაფიკულ FBD ენაზე.

ეს პროგრამა ინტერნეტში გამოჩნდა ამ ორიოდე წლის წინათ, მოიპოვა დიდი პოპულარობა სპეციალისტებში და დღემდე აგრძელებს გაფართოებასა და ინტენსიურ განვითარებას.

ძირითადი ნაწილი


ჩვენი მიზანია შევქმნათ საშინაო გამოყენების მქონე მეტეოროსადგური, რომელიც აგებული იქნება არაუინოსთან მუშაობისათვის განკუთვნილი

თანამედროვე ინტელექტუალური გადამწოდებისა და მოდულების გამოყენებით, ხოლო მისი დაპროგრამება განხორციელდება ვიზუალური დაპროგრამების გარემოში FLPProg.

მეტეოროსადგურის ტექნიკური შემადგენლობაში უნდა იყოს:

- მიკროკონტროლერი Arduino Uno;
- დაპროგრამების გარემო FLPProg IDE;
- ტემპერატურის გადამწოდი DS18B20;
- წნევის გადამწოდი BMP085;
- ტემპერატურისა და ტენიანობის გადამწოდი DHT22;
- რეალური დროის საათის მოდული DS1307;
- დისპლეი ჩიპზე HD44780;
- დაარქივების მოწყობილობა SD Card Module.

ამ კომპონენტების დაწვრილებითი ტექნიკური აღწერილობა განთავსებულია ინტერნეტში. მათი გამოყენებით ვადგენთ მოწყობილობის ელექტრულ პრინციპულ სქემას (იხ. სურ. 1).



სურ. 1. მეტეოროსადგურის ელექტრული პრინციპული სქემა

როგორც სქემიდან ჩანს მიკროკონტროლერის დისკრეტულ D2 კონტაქტთან (პინი) შეერთებულია ტემპერატურისა და ტენისანობის გადამწოდი DHT-22, რომელიც როგორც მისი მახასიათებლებიდან ჩანს (იხ. ინტერნეტი) არ გამოირჩევა დიდი სწრაფქმედებითა და სიზუსტით, მაგრამ იგი მარტივია, იაფი და კარგი გამოსაყენებელი სწავლებისა და საოჯახო საჭიროებისათვის. მისი ტემპერატურული დიაპაზონია მინუს 40 ... +80°C, ხოლო ტენისანობის დიაპაზონი 0%...100%.

მიკროკონტროლერის დისკრეტულ D3 პინთან შეერთებულია ტემპერატურის გადამწოდი DS18B20, რომელიც აგრეთვე ძალიან მარტივია, აქვს სითხისაგან დამცავი დაფარვა და შესაბამისად შეუძლია იმუშაოს წვიმიან, თოვლიან გარემოში, მდუღარე წყალში, მისი ტემპერატურული დიაპაზონია მინუს 55 ... +125°C. გადამწოდი DS18B20, ისევე როგორც გადამწოდი DHT-22 მიკროკონტროლერთან მიერთებისათვის იყენებს ერთ გამტარიან პროტოკოლს (OneWire). ერთადერთი რაც მოეთხოვება არის ის, რომ გადამწოდის მონაცემების გამოყვანისთვის (Data) საჭირო იქნება 4,7კომ წინაღობის მიერთება ერთი მხრივ ამ გამოყვანთან, ხოლო მეორე მხრივ +5 კოლტანა.


კიდევ ერთი გადამწოდი BMP085 არის თავისებური, მაღალი სიზუსტის ატმოსფერული წნევის გადამწოდი ულტრამცირე მოხმარებული სიმძლავრითა და მაღალი სწრაფქმედებით, რომელსაც შეუძლია გაზომოს წნევა, პარის ტემპერატურა და ასევე სიმაღლეც ზღვის დონიდან. გადამწოდის წნევის გაზომვის დიაპაზონია 300...1100 hPa. იგი მიერთებულია მიკროკონტროლერის ანალოგურ პინებთან A4 (SDA) და A5 (SCL) და ურთიერთქმედებს მასთან I2C პროტოკოლის გამოყენებით.

მოწყობილობაში გამოყენებულია რეალური დროის სათის მოდული DS1307, რომელიც ისე-

ვე როგორც დისპლეი HD44780 იყენებს I2C პროტოკოლს და ამიტომ მათი SDA და SCL გამომყვანები ასევე მიერთებულია მიკროკონტროლერის A4 და A5 ანალოგურ პინებთან. კიდევ ერთი მოდული SD Card Reader Module მიერთებულია მიკროკონტროლერის D8(CS); D13 (SCK), D11(MOSI) და D12(MISO) დისკრეტულ პინებთან და მიკროკონტროლერთან ურთიერთობისათვის იყენებს SPI პროტოკოლს.


მოწყობილობის მუშაობისათვის გამოყენებულია აგრეთვე ორი ლილაკი, პირველის სახელწოდებაა „ფაილის ჩაწერა“ და მეორის „ფაილის გადმოწერა“. ამ ლილაკებს ერთი მხრივ ვაერთებთ მიკროკონტროლერის დისკრეტულ D9 და D6 პინებთან, ხოლო მეორე მხრივ მიწასთან (GND). აქვე გამოყენებულია ინდიკაციის შუქდონდიც, რომლის ანოდსაც ვაერთებთ მიკროკონტროლერის დისკრეტულ D7 პინთან, ხოლო კათოდს 500 მმ წინაღობის გავლით – მიწასთან. ყველა მოწყობილობის VCC და GND კონტაქტები შეერთებულია მიკროკონტროლერის + 5v და GND პინებთან შესაბამისად.

სამუშაო პროგრამის შესაქმნელად საჭიროა გადმოვიწეროთ FLProg.ru საიტიდან უფასო პროგრამა FLProg და დავაყენოთ იგი კომპიუტერზე. პროგრამის გაცნობა შესაძლებელია აღნიშნული საიტიდან და ლიტერატურიდან [4]. დასაწყისში საჭიროა შევქმნათ ახალი პროექტი და ავირჩიოთ არდენინს ის მოდელი, რომელიც არის ჩვენს განკარგულებაში (Arduino Uno ჩვენს პროექტში). ამის შემდეგ ვიწყებთ პროგრამის დამუშავებას. მას ვყოფთ რამდენიმე ნაწილად (დაფად) და თითოეულ ნაწილში ვათავსებთ პროგრამის ლოგიკურად დამთავრებულ ნაწილს. ჩვენ შემოხვევაში პირველ დაფაში (Платა: 1) ვახდებო ტემპერატურის DS18B20 გადამწოდიდან ინფორმაციის მიღებასა და დამუშავებას (იხ. სურ. 2).



სურ. 2. ინფორმაციის მიღება და დამუშავება DS18B20 გადამწოდილი

ამისათვის, პროგრამის FLProg პროგრამის ელე-
მეტრების ბიბლიოთეკის საქალადოდიდან დატჩიკი
(გადამწოდები) პროგრამის სამუშაო ზონაში გად-
მოგვაქვს ბლოკი, რომელიც შეესაბამება გადამ-
წოდს DS18x2x. დავაწერ ენებოთ ამ ბლოკზე (B1)
ორჯერ და გამოვიძახებთ მისი პარამეტრიზაციის
ფანჯარას (სურ. 3). ამ ფანჯარის ველებზე ჩავ-
წერთ შესაბამის პარამეტრებს: ველში შესაბამის
OneWare (სალტე OneWare) ჩავწერთ კონტროლერის
იმ პინს რომელსაც უნდა შევუერთოთ გადამწო-
დის მონაცემების გამომყვანი, ამისათვის დაგა-



სურ. 3. DS18x2x ბლოკის პარამეტრიზაციის ფანჯარა


კელაში ტიპ (ტიპი): გვერთ იმ გადამზოდს, რო-

ვაში). ჩავრთავთ გადამრთველს Периодически (З-რიოდულо), ვაჟში Опрашивать каждые (тото же).

ლის გამოკითხვა) ჩატვირთ გადამწოდის გამოკითხვის პერიოდულობას წამებში (5 წამი ჩვენს შემთხვევაში). შემდეგ ვაჭროთ დილაქს გотовი (მზადია), რაც ნიშნავს იმას, რომ ბლოკის პარამეტრიზაცია დამთავრებულია და ფანჯრის გამოსახულება დაიხურება.

DS18B20 გადამწოდი იძლევა ინფორმაციას რიცხვით ფორმატში, ამიტომ მის მიერ მოწყდებული ინფორმაცია ვერ აისახება პირდაპირ დისპლეიზე (HD44788). დისპლეიზე აისახება

მონაცემები მხოლოდ სტრიქონულ ფორმატში. ამიტომ საჭიროა გადამწოდიდან მიღებული რიცხვით მონაცემები გარდავქმნათ სტრიქონულ მონაცემებად. ამ ფუნქციის შესასრულებლად პროგრამის ელემენტების ბიბლიოთეკის საქაღალდიდან Konvervatsiya tipov (ტიპების კონვერტაცია) სამუშაო არეში გადმოგვაქვს ბლოკი Конвертация строк (სტრიქონების კონვერტაცია) (B3) და მოვახდენთ მის პარამეტრიზაციას (სურ. 4).




სურ. 4. Конвертация строк ბლოკის პარამეტრიზაციის ფანჯარა

როგორც მე-4 სურათიდან ჩანს ჩვენ ვირჩევთ გარდაქმნას Число -> Стока (რიცხვი -> სტრიქონი) და ნიშანთა რაოდენობას მძიმის შემდეგ – ორს და შემდეგ ვაჭროთ დილაქს მზადია (Готово).

ამის შემდეგ FLProg პროგრამის ზონაში Tags გხენით საქაღალდებს Переменные (ცვლადები) და

დავაწვაპუნებთ ელემენტზე Добавить переменную (ცვლადის დამატება), გაიხსნება ცვლადის დამატების ფანჯარა, სადაც ვავსებთ ცვლადის სახელისა (Temp._DS18B20) და ტიპის (String (სტრიქონი)) ველებს (იხ. სურ. 5).




სურ. 5. String (სტრიქონი) ტიპის ცვლადის - Temp._DS18B20-ის შექმნის ფანჯარა

ლილაკს გთივი დავაწყაპუნებთ შემდეგ ეს ფანჯარა დაიხურება, ხოლო ამ ახლად შექმნილი ცვლადის ნიშანი გამოჩნდება საქაღალდის Переменные ჩამონათვალში. გადმოვიტანთ ამ ცვლადს პროგრამის სამუშაო ზონის პირველ დაფაზი და მის შესასვლელს შევაერთებთ B3 ბლოკის გამოსასვლელზე, რაც ნიშავს იმას, რომ ამ უკანასკნელიდან მიღებული სტრიქონული ინფორმაცია ჩაიწერება Temp._DS18B20 ცვლადში. B3 ბლოკის შესასვლელს კი ვაერთებთ B1 ბლოკის

გამოსასვლელთან. პირველ დაფაზე წარმოდგენილია კიდევ ერთი ბლოკი B2, რომლის აღწერას შევქებით ქვემოთ.


მეორე დაფაზე დავაპროგრამებთ ატმოსფერული წნევის გადამტოდს BMP085. ამისათვის პროგრამის ელემენტების ბიბლიოთეკაში, საქაღალდიდან დატჭირებული ბლოკის გადამტოდის BMP085 ბლოკს B4 (სურ. 6).



სურ. 6. ინფორმაციის მიღება და დამუშავება BMP085 გადამტოდიდან

დავაწყაპუნებთ ამ ბლოკზე ორჯერ და გამოვიდახებთ მისი პარამეტრიზაციის ფანჯარას (სურ. 7). ამ ფანჯარაში გადამტოდის საინფორმაციო და სინქრონიზაციის გამომყვანების (SDA) და (SCL) მიერთებები ცალსახად არის განსაზღვრული სამუშაო პროგრამის მიერ და ჩვენი ჩარევა საჭირო

არ არის, ჩვენ მხოლოდ შევაერთებთ ამ გამომყვანებს კონტროლერის A4 და A5 ანალოგურ პინებზე პროგრამის შესაბამისად, ასევე ვაერთებთ ამ გადამტოდის GND და VIN გამომყვანებს არღუნოს GND და 5v პინებთან.



სურ. 7. BMP085 გადამწოდის პარამეტრიზაციის ფანჯარა

BMP085 გადამწოდს შეუძლია გაზომოს სამი ფიზიკური სიდიდე: ატმოსფერული ჟნევა, სიმაღლე ზღვის დონიდან და ჰაერის ტემპერატურა. ამიტომ ჩვენ უნდა ჩავრთოთ ის ალები, რომელთა გაზომვაც გვაქვს გადაწყვეტილი. ჩვენს შემთხვევაში ვზომავთ სამივე სიდიდეს და ამიტომ ვაყენებთ მათ შესაბამის ალებსაც (Выход давления (Pa), Выход высоты над уровнем моря (см), Выход температуры C*10). ამ ფანჯარაში ვაყენებთ აგრეთვე დაკალიბრების ალამს (Калибровка) და მივუთითებთ, რომ ეს დაკალიბრება უნდა მოხდეს კონტროლერის კონფიგურაციის გადატვირთვისას (При каждом перезапуске контроллера). შემდეგ შეგვაქვს კონსტანტის მნიშვნელობა მეტრებში ზღვის დონიდან ადგილმდებარების მიხედვით (Константа) (თბილისისათვის დაახლოებით 400მ) და ასევე მივუთითებთ, რომ გადამწოდთან მი-


კითხვა უნდა ხდებოდეს რადაც პერიოდულობით (Опрашивать каждый) (ჩვენ ვირჩევთ დროს 6 წმ), შემდეგ დავაწაპუნებთ დილაქს Готово და ამით გადამწოდის BMP085 დაპროგრამებას ვამთავრებთ.

ამის შემდეგ გადავდივართ BMP085 – დან მიღებული გაზომილი სიდიდეების მათგატიკურ დამუშავებაზე (სურ. 6). საჭიროა ტემპერატურის მნიშვნელობების გაყოფა ათზე, ხოლო წნევის მნიშვნელობებისა ათასსზე. ამ ოპერაციების შესრულებისათვის ვიყენებთ გაყოფის ბლოკებს [ДIV(1)] B5 და B8, რომლებიც გადმოგვაქვს ელემენტების ბიბლიოთეკის საქადალდიდან მათმა. ამ ოპერაციების შესრულების შემდეგ კი ვახდებთ მიღებული შედეგების გარდაქმნას სტრიქონებად ბლოკების B7, B10, B12 გამუქნებით და ამ სტრიქონული მნიშვნელობების Temp._BMP085, Cneva_BMP085 და Simagle_BMP085

ცვლადებში ჩაწერას. ეს ცვლადები წინასწარ უნდა იქნეს შექმნილი ჩვენ მიერ Tags ველის ცვლადების საქაღალდებში.

მესამე დაფაზე წარმოდგენილია ტემპერატურისა და ტენიანობის გადამტოდი DHT22, რომე-


ლიც ანალოგიურად სხვა გადამტოდებისა გადმოგვაქს იგივე ელემენტების ბიბლიოთეკის საქაღალდიდან დატჩიკი (სურ. 8) და ვახდებო მის პარამეტრიზაციას.



სურ. 8. ინფორმაციის მიღება და დამუშავება DHT22 გადამტოდიდან

DHT22 გადამტოდი (B14) ისევე როგორც გადამტოდი DS18B20 კონტროლერთან მიერთებისთვის იყენებს OneWare პროტოკოლს. მისი დაზროგრამებისათვის პარამეტრიზაციის ფანჯარაში (სურ. 9) ვირჩევთ პინს, სადაც უნდა შეერთდეს

გადამტოდი (მეორე პინი ჩვენს შემთხვევაში). აქევე ვაკენებო ტემპერატურისა და ტენიანობის ალმებს თუკი ორივე სიდიდის გაზომვა გვაქს გადაწყვეტილი.




სურ. 9. DHT22 გადამტოდის პარამეტრიზაციის ფანჯარა

შემდეგ ვრთავთ გაზომვების პერიოდულობის რეჟიმს (Периодически) და ვუთითებთ პერიოდის სანგრძლივობას (Опрашивать каждый) (5 წამი ჩვენს შემთხვევაში). B13 და B17 ბლოკების დახმარებით ვახდებთ გაზომილი ინფორმაციის გარდაქმნას სტრიქონებად და მიღებული შედეგების ჩაწერას Temp_DHT22 და Tenianoba_DHT22 ცვლადებში.


მეოთხე დაფაზე წარმოდგენილია რეალური დროის საათის DS1307-ის (B18) მართვის პროგრამა (სურ. 10). ამ ბლოკის პარამეტრიზაციის ფანჯარაში (სურ. 11) ვახდებთ იმ სიდიდეების

ალმების დაყენებას, რომელთა ინდიკაციაც გვაქვს გადაწყვეტილი. ჩვენ შემთხვევაში ვაყვნებთ: საათების (Hn), წუთების (MinN), წამების (SecN), წლების (Yn), თვეების (Mon) და დღეების (DAYn) ალმებს, შემდეგ ვახდებთ ამ საათის მონაცემების კონვერტაციას სტრიქონებად ბლოკების (B19 ... B24) საშუალებით, შემდეგ კი ამ სტრიქონების აჯამვას B25 ბლოკის გამოყენებით, რაც ვამოიწვევს ყველა ამ მონაცემის გაერთიანებას ერთ სტრიქონად.

Плата: 4
Наименование:
Комментарии:




სურ. 10. ინფორმაციის მიღება რეალური დროის საათის მოდულიდან DS 1307



სურ. 11. DS1307 რეალური დროის საათის პარამეტრიზაციის ფანჯარა

ამის შემდეგ კი ხდება ამ სტრიქონის გადაცემა 16=პოზიციიან თრსტრიქონიან დისპლეიზე HD44780, მისი პირველ სტრიქონის ასახვისათვის. ამ დისპლეის ბლოკი (B26) გადმოტანილია

პროგრამის სამუშაო ზონაში პროგრამის ელემენტის ბიბლიოთეკის საქაღალდიდან დისპლეი. მისი პარამეტრიზაციის ფანჯარა კი წარმოდგენილია სურათზე (სურ. 12).




სურ. 12. HD44780 დისპლეის პარამეტრიზაციის ფანჯარა

როგორც მე-12 სურ-დან ჩანს დისპლეიის შე-
ერთებები არღვინოსთან ისეთივეა როგორც
DS1307 რეალური დროის საათისა. განსხვავება
კი მხოლოდ ისაა, რომ დისპლეიის მუშაობისათ-
ვის საჭიროა მისი უნიკალური მისამართის დად-
გენა და ფანჯარაში ჩაწერა. ამ მისამართის
დადგენა ნებისმიერი კონკრეტული დისპლეი-
სათვის შესაძლებელია ინტერნეტიდან [4]. ჩვენი
დისპლეიისათვის ეს მისამართია 27. ამ ფანჯა-
რაშივე უნდა იქნეს მითითებული თუ რამდენ
სტრიქონიანია (Строк) დისპლეი და რამდენ სვე-
ტიანი (Столбцов) (ჩვენ გვაქვს 2 სტრიქონიანი და
16 სვეტიანი). აქვე უნდა ჩაირთოს მონაცემების
გადამრთველი (Данные), რომელიც მიუთითებს
თუ რა ინფორმაცია შედის დისპლეიში და საი-
დან: ჩვენ ჩავრთავთ გადამრთველს მდგრმარე-
ობაში – შესავლები (Вход). აქვე უნდა იქნეს
მითითებული რომელ სტრიქონში უნდა მოხდეს
ინფორმაციის ასახვა და რომელი სვეტიდან.

ჩვენ ვირჩევთ პირველ სტრიქონსა (Строка:) და
პირველ სვეტს (Столбец:).

მეხუთე დაფაზე წარმოდგენილია მონაცემების კომუტაციის სქემა. საქმე იმაშია, რომ თუ დისპლეიის პირველ სტრიქონში მონაცემები შეუ-
ცვლელად გამოდის ანუ თარიღისა და დროის მონაცემები. მეორე სტრიქონში მონაცემები უნ-
და გამოვიდეს მორიგეობით სამი გადამწოდიდან
ექვსი ანათვალი ექვსი ფიზიკური სიდიდიდან
(ერთ სტრიქონში ფიზიკურად არ ეტევა ამდენი
ანათვლის ინდიკაცია). ამასთანავე მითითებულ
უნდა იქნეს აგრეთვე თუ რომელი გადამწოდიდა-
ნაა მიღებული მონაცემი და რა განზომილე-
ბისაა იგი. ამიტომ საჭირო ხდება გადამწოდე-
ბიდან მიღებული ანათვლების კომუტაცია, რათა
უზრუნველყოფილი იყოს მათი ინდიკაცია დისპ-
ლეიზე მორიგეობით. სწორედ ამ ფუნქციის შე-
სასრულებლად ამ დაფაზე წარმოდგენილია ინ-
ფორმაციის კომუტაციის სქემა (სურ. 13).




სურ. 13. ინფორმაციის კომუტაციის მართვის სქემა

სქემის მუშაობისათვის აუცილებელია იმ-
პულსების გენერატორი (B27), რომელსაც გად-
მოვიტანთ პროგრამის ელემენტების ბიბლიო-
თეკის ტაიმერების საქადაღდიდან (Таймеры) სა-
ხელწოდებით Generator. გენერატორის პარამეტ-
რიზაციის ფანჯარა წარმოდგენილია სურათზე


(სურ. 14). ველში – გენერატორის ტიპი (Тип
генератора): ვირჩევთ სიმეტრიულ მულტივიბრა-
ტორს (Симметричный мультивибратор). იმპულ-
სის ხანგრძლივობის ველში (Длина импульса)
ჩავრთავთ გადამრთველს კონსტანტა (Константа),
წუთების გადამრთველს (Минуты) და წამების

ველში (Секунды) ჩავტკონტ ერთიანს, რაც იმას გენერატორის სიმეტრიულობიდან გამომდინარე ნიშნავს, რომ გენერატორი გაშეხისას გამო- პაუზების ხანგრძლივობა იმპულსებს შორის აგ- მუშავებს იმპულსებს ხანგრძლივობით 1 წამი და რეთვე იქნება 1 წამის ტოლი.



ცხოველებს ვყოფდით 5 თანაბარფასოვან ჯგუფად (თითოეულში 10), რომლებშიც შეგვევდა ფიზიოლოგიური სენარი, „Grail“ 3 და 10 მლ/კგ დოზით და ანტიდიარეის პრეპარატი ლოპერამიდი (Loperamide) დოზით 1 და 2 მგ/კგ-ზე (შედარების პრეპარატი). 30 წთ-ის შემდეგ თაგვებში ინტრაგასტრალურად შეგვევდა 0,3 მლ გაცხელებული

აბუსალათინის ზეთი და ცხოველებს მაშინვე ვათავსებდით ინდივიდუალურ საკნებში, რომლებსაც დაფენილი პქონდა თეორი ფილტრის ქაღალდი. დიარეის რეგისტრაციას გაწარმოებდით 90 წთ-ის განმავლობაში თხევადი დეფეკაციის დაწყებიდან.

ანტიალკოჰოლური და ანტინარკოტიკული ეფექტი. ექსპერიმენტები ჩატარდა ორივე სქესის 22-24 გ მასის პიბრიდულ თაგვებზე თბერი კომფორტის პირობებში [13]. „Grail” ცხოველებს კუჭ-ში შევუყვანდით 1, 3 და 10 მლ/კგ დოზით ეთანოლს ნარკოტიკული დოზის შეყვანამდე 1 სთ-ით ადრე (0,1 მლ 40% სპირტი 10 გ სხეულის მასაზე). საკონტროლო თაგვებს ეთანოლამდე 1 სთ-ით ადრე ინტრაგასტროალურად placebo-ს სახით მიეწოდებოდა ონკანის წყალი.

ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციურ ტონუსს ვაფასებდით ეთანოლის შემდგომ ორთოსტატიკური რეგლუქსის დაკარგვის ხანგრძივობით, რომლის აღდგენას ვაფიქსირებდით ცხოველების გვერდითი მდგომარეობიდან გამოსვლის მიხედვით.

შედეგები და მათი განსჯა

ფენოლური ნაერთები, მიკრო-და მაკროელემენტები და ანტიოქსიდანტური აქტივობა.

1-ელ და მე2 ცხრილებში წარმოდგენილია მზა ბიოაქტივური დანამატის „Grail”-ის ქიმიური შემადგენლობა (ფენოლური ნაერთები, მიკრო-და მაკროელემენტები, ანტიოქსიდანტური აქტივობა).

ცხრილი 1

№	დასახელება	რაოდენობა
1	საერთო პოლიფენოლები (მგ/ლ)	900
2	საერთო ამინომჟავები (მგ/ლ)	1000
3	ანტიოქსიდანტური აქტივობა (ვიტამინი-C-ს ეკვივალენტი, მგ/ლ)	765
4	ვიტამინი-C (მგ/ლ)	47.5
5	ფლავანოლები (მგ/ლ)	218,75
5.1	გალის მჟავა	17.81
5.2	(+) ქატებინი	30.60
5.3	ვანილის მჟავა	0.28
5.4	იასამნის მჟავა	21.22
5.5	ქლოროგენის მჟავა	4.46
5.6	ყავის მჟავა	21.64
5.7	(-) ეპიკატებინი	77.97
5.8	p-ჯუმარის მჟავა	16.28
5.9	სინაპის მჟავა	28.49

№	ელემენტი	კონცენტრაცია, მგ/მლ
1	კალიუმი (K)	24.8588
2	კალციუმი (Ca)	25.3696
3	ქრომი (Cr)	0.1295
4	მანგანუმი (Mn)	0.3993
5	რენიუმი (Fe)	0.2533
6	ნიკელი (Ni)	0.0076
7	სპილენდიტი (Cu)	0.1482
8	თუთია (Zn)	0.5632
9	სელენი (Se)	0.0158
10	ბრომი (Br)	0.0797
11	რუბიდიუმი (Rb)	0.1024
12	გოგირდი (S)	31.7555
13	კობალტი (Co)	0.0003
14	ჰერცელისტანი (Hg)	0.0098
15	ტუვია (Pb)	0.0069
16	დარიშხენი (As)	არ აღმოჩენილი
17	სტრონციუმი (Sr)	0.0640
18	ცირკონიუმი (Zr)	0.0311

რადიოპროტექტორული მოქმედება. საცდელ ცხოველთა უმეტესობას დასხივებიდან 3 დღის შემდეგ განუვითარდა მე-2 და მე-3 ხარისხის მწვავე სხივური დაავადება. ვირთხებს აღენიშნებოდათ შესამჩნევი საერთო დათრგუნვა, უმორაობა, გარე გადიზიანებაზე სუსტი რეაქცია, ბეწვი გახდა მქრქალი, მტკრევადი, მარტივად ამოგლეჯადი. შეუმცირდათ საკვებისა და წყლის მოხმარება. ვირთხების ნახევარს პირველი ერთი კვირის განმავლობაში აღენიშნებოდა ხშირი და თხევადი განავალი, ზოგიერთს - სისხლის ნა-

რევით. პირველი კვირის ბოლოს ვირთხების 60 %-ს აღენიშნებოდა სეროზულ-სისხლიანი გამონადენი ლორწოვანი გარსიდან. ვირთხების სიკვდილი დაიწყო პირველი კვირის ბოლოს. დაღუპულ ვირთხებს გაძვეთისას გამოუვლინდათ მწვავე სხივური დაავადებისათვის დამახასიათებელი ტიპური სურათი: სისხლჩაქცევები სხვადასხვა ორგანოებსა და ქსოვილებში, ელექტოს ატროფია, ღვიძლის ცხიმოვანი გადაგვარება, ნეკროზული ცვლილებები ნაწლავებისა და კუჭის კადლუბზე (ცხრილები 3 და 4).

ცხოველების ჯგუფი	დასხივების დოზა, რნ	ვირთხების რაოდენობა	ცხოველების საშუალო მასა, გ	გადარჩენილი ცხოველების %	დაღუპული ვირთხების საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობა, დღე
კონტროლი	750	30	187,9±6,6	16,0	8,6 ± 1,2
საცდელი	750	30	189,2±5,0	56,7	16,2 ± 2,2 ^x

ცხოველების ჯგუფი	გამოკვლეული ცხოველების რაოდენობა	ლეიკოციტები, ათასი	ერითროციტები, მლნ	თრომბოციტები, ათასი
		1 გკლ სისხლში		
დასხივების გარეშე	12	10,1±0,2	9,3±0,3	790±72
კონტროლი	12	0,5±0,07	7,3±0,2	350±22
საცდელი	12	0,9±0,15 ^x	8,2±0,8	560 ±53 ^x

* აღნიშნულია სარწმუნო განსხვავება საკონტროლო მონაცემებთან შედარებით

ჩატარებული გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ „Grail“ 41%-ით ზრდის ცხოველების გადარჩენას და 90%-ით ახანგრძლივებს დაღუპული ვირთების საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობას. დასხივებული ცხოველების გადარჩენისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის შედარებამ სისხლის ციტოლოგიურ მაჩვენებლებთან გამოავლინა გარკვეული ურთიერთდამოკიდებულება: ბიოაქტიური დანამატის მიღება ამცირებს ლეიკოპენიასა და თრომბოციტოპენიას და არ ცვლის ერითროციტების რაოდენობას კონტროლთან შედარებით. ამიტომ გადარჩენისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირება საკონ-

ტროლო ცდებში დაკაგშირებულია ლეიკო- და თრომბოციტოპენიის გაძლიერებასთან.

ამრიგად, შემოთავაზებული სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალების დასხივებამდე პროფილაქტიკური საკურსო მიღება ახდენს რადიოდამცავ მოქმედებას, ამცირებს პოსტსხივურ ლეიკოპენიასა და თრომბოციტოპენიას.

ანტისტრესული მოქმედება. ბაროკამერაში წნევის შემცირებამ ზღვის გოჭებში გამოიწვია ჯერ შეშფოთება, შემდეგ კი გამოხატული სტრეს-რეაქცია (გვერდითი პოზიცია სუნთქვის შეწყვეტით, შეშფოთება) (ცხრილი 5).

№	ცხოველების ყოფნის დრო მოცემულ სიმაღლეზე კრუნჩხების დადგომამდე		ცვლილების %
	საკონტროლო, წმ	საცდელი, წმ	
1	105	120	14,3
2	120	240	100,0
3	120	230	91,7
4	125	195	56,0
5	110	120	9,1
6	135	160	20,4
7	125	115	-8,0
8	130	240	84,6
9	120	110	-8,3
10	85	105	23,5
M±m	117,5 5,0	163,5 3,5 ^b	38,3 10,8

X) სარწმუნო განსხვავება კონტროლთან შედარებით

ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა გვაჩვენა, რომ ცხოველების ბაროკამერაში ყოფნის დრო

„Grail“-ის მიღების შემდეგ საცდელში გაიზარდა 10-დან 8 შემთხვევაში. საშუალოდ ცხოველების

ბაროკამერაში ყოფნის დრო კრუნჩევების დადგომაშე გაიზარდა 38%-ით.

მაშასადამე „Grail“-მა გამოხატულად შეაკვიდა სტრეს-რეაქციის განვითარება პიპობარული პიპოქსიისას (ცხრილი 6).

ცხრილი 6

№№	საკონტროლო	საცდელი ჯგუფი
1	45	69
2	48	75
3	50	78
4	53	84
5	54	88
6	57	92
7	58	93
8	62	105
M±m	53,4 ±2,2	85,5 ±4,7 ^X

X) სარწმუნო განსხვავება კონტროლთან შედარებით

ჩატარებული გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ცხოველები, რომლებმაც მიიღეს „Grail“ საკონტროლოსთან შედარებით საშუალოდ 32 წელით უფრო დიდხანს ცერავდნენ.

სტრესული სიტუაციისათვის დამახასიათებელი ასკორბინის მჟავას შემცველების მკვეთრი

შემცირება აღენიშნათ საკონტროლო ჯგუფის ცხოველებს. „Grail“-ის პროფილაქტიკური საკურსო მოხმარება ხელს უშლის თირკმელზედა ჯირკვალში ასკორბინის მჟავას შემცირებას და მისი კონცენტრაცია ახლოსაა ინტაქტური ცხოველების მაჩვენებელთან (ცხრილი 7).

ცხრილი 7

№№	ასკორბინის მჟავას შემცველობა თირკმელზედა ჯირკვალში, მგ%		
	ინტაქტური ცხოველები	საკონტროლო ჯგუფი	საცდელი ჯგუფი
1	320	205	222
2	280	165	192
3	290	180	182
4	270	176	202
5	260	188	316
6	310	172	320
7	350	159	226
8	312	185	218
M±m	299,0 ± 11,7	178,8 ± 6,0	234,8 ± 17,9 ^X

X) სარწმუნო განსხვავება კონტროლთან შედარებით

ამრიგად „Grail” ამაღლებს კუნთის მუშაობის სუნარიანობას და ხელს უშლის სტრეს-რეაქციის განვითარებას.

ნოოტროპული მოქმედება. გამოკვლევის შედეგები წარმოდგენილია მე-8 ცხრილში.

ცხრილი 8

(20 ცდის საშუალო)

№№	საკონტროლო		საცდელი	
	დავალების შესრულების წარმატებულობა, %	დავალების შესრულების სისწრაფე, წმ	დავალების შესრულების წარმატებულობა, %	დავალების შესრულების სისწრაფე, წმ
M± m	77,5 ± 4,0	291,4 ± 11,1	91,9 ± 1,3 ^X)	310,4 ± 8,7 ^X)

X) სარწმუნო განსხვავება კონტროლთან შედარებით

„Grail”-ის მიღების შემდეგ კორექტირებული ნიშნების სწორად ადნიშვნის რაოდენობა გაიზარდა 24,4%-ით (გაზრდა სტატისტუკურად სარწმუნო კონტროლთან შედარებით). დავალების შესრულების დრო საკონტროლო და საცდელ ჯგუფებში უმნიშვნელოდ განსხვავდება. ამრი-

გად, „Grail”-ი აუმჯობესებს გონებრივ მუშაობის სუნარიანობას და უპირატეს გავლენას ახდენს გონებრივი მუშაობის ხარისხზე.

მე-9 ცხრილში წარმოდგენილია ფსიქოლოგიური ტემპის მონაცემები „რიცხვის მონახვის“ მეთოდიკის გამოყენებით.

ცხრილი 9

გამოსაცდელი ჯგუფი	დაბვირვების რაოდენობა	ცხრილების ნომერი			საშუალო მონაცემები
		1	2	3	
კონტროლი	20	47,2 ± 1,9	53,5 ± 1,9	47,0 ± 2,2	49,2 ± 1,6
საცდელი	20	28,8 ± 2,0 ^X)	35,1 ± 2,3 ^X)	33,9 ± 1,8	32,9 ± 1,3 ^X)

X) სარწმუნო განსხვავება კონტროლთან შედარებით

ტესტმა სარწმუნოდ გამოავლინა რიცხვის მონახვის დროის შემცირება „Grail”-ის მიღების შემდეგ. მაშასადამე, „Grail” ადიდებს მხედვე-

ლობის საორენტაციო-საძიებო მოძრაობას (აჩქარებს ფსიქოლოგიურ ტემპს).

მე-10 ცხრილში წარმოდგენილია „Grail”-ის გავლენის მაჩვენებლები მახსოვრობაზე:

ცხრილი 10

განმეორების ნომერი	საკონტროლო ჯგუფი		საცდელი ჯგუფი	
	დამახსოვრებელი სიტყვების რაოდენობა	შეცდომების რაოდენობა	დამახსოვრებელი სიტყვების რაოდენობა	შეცდომების რაოდენობა
1	44,0 ± 1,8	10	66,0 ± 3,0	-
2	34,0 ± 2,4	4	85,0 ± 2,4 ^X)	-
3	54,0 ± 1,8	12	93,0 ± 1,2 ^X)	-
4	52,0 ± 1,8	14	92,0 ± 1,8 ^X)	-
5	64,0 ± 1,2	14	96,0 ± 0,6	-
1 სო-ის შემდეგ	85,0 ± 1,8	8	87,0 ± 4,2	-

X) სარწმუნო განსხვავება კონტროლთან შედარებით

მიღებული შედეგების ანალიზმა დაგვანახა, რომ “Grail” აუმჯობესებს მახსოვრობას. მისი მიღების შემდეგ სიტყვების დამახსოვრებაზე არ დაშვებულა არც ერთი შეცდომა (საკონტროლო ცდებში აღინიშნა 62 შეცდომა). ამრიგად გამოვლინდა “Grail”-ის გამოხატული ნოოტროპული მოქმედება ადამიანის უმაღლეს ნერვულ მოქმედებაზე.

აუჭ-ნაწლავის ტრაქტის კორექცია. დადგენდა, რომ 3-დღიანი შიმშილობა ამცირებს ნაწლავის კოლონიზაციურ რეზისტენტობას. ასე მაგალითად, ვირობებში, რომლებიც იღებდნენ საკვებს, ინდიკატორულმა მიკრობებმა არ გამოიწვია ნაწლავის კოლონიზება, მაშინ, როცა მო-

შიმშილე ვირთხებში ისინი გამოვლინდნენ შეფვანიდან 1 დღის შემდეგ 10^4 - 10^5 რაოდენობით. ვირთხებს, რომლებიც იღებდნენ “Grail”-ს, 3 დღიანი შიმშილობის შემდეგ ინდიკატორულმა მიკრობებმა ვერ მოახდინეს ნაწლავის კოლონიზება 6-დან 2 შემთხვევაში.

ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვაჩვენა, რომ ბიოაქტიური დანამატი “Grail” ძირებულად ასეს-ტებს შიმშილის დეპრიმირულ გავლენას ნაწლავის კოლონიზაციურ რეზისტენტობაზე და არის ეფექტური საშუალება დისბიოტიკური დარღვევების პროფილაქტიკისა და კორექციისათვის.

ანტიდიარეის აქტიურობა. შედეგები წარმოდგენილია მე-11 ცხრილში.

ცხრილი 11

ჯგუფები	დოზები, მლ/კგ	n	დიარეის სიხშირისა და ინტენსიურობის მაჩვენებელი			
			შემთხვევის სიხშირე, %	აქტის რაოდე- ნობა, %	ლატენტური პერიოდი, წთ	ხანგრძლივობა, წთ
კონტროლი	პლაცებო	10	100	7,0 ±1,3	23,2±2,1	21,0±2,0
“Grail”	3,0	10	60	5,3 ±0,9	31,3±5,0	16,7±1,8
იგივე	10,0	10	40 ^{X)}	4,2± 0,8	45,7±4,1 ^{*1}	13,4±1,6 ^{*1,2}
ლოპერამიდი	1,0	10	70	3,4± 0,6	55,6±3,8 ^{* 1,2}	14,5±4,8 ^{* 1,2}
იგივე	2,0	10	20 ^{X)}	1-2	50-70	1-3

შენიშვნა: “Grail” და “Placebo” შეგვავდა მოცულობით 0,1 მლ/10 გ 30 წთ-ით აღრე აბუსალათინის ზეთის (0,3 მლ) ინტრაგასტრალურ შეკვანამდე. X) -სარწმუნო განსხვავება კონტროლთან TMF მედიანით; * იგივე მანაურინის კრიტერიუმის მიხედვით $P \leq 0,05$ -სას. ინდექსები ^{1,2} - სარწმუნო ჯგუფები, რომლებისთვისაც დაღინდა სხვაობა.

მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება და დავასკვნათ: “Grail”-ის 10 მლ/კგ დოზამ ხელი შეუშალა დიარეის დადგომას 60% თაგვებში ($P \leq 0,05$ TMF-ს მიხედვით), ხოლო სხვა თაგვებში ძირებულად შეაჩერა მისი განვითარება და შეამცირა ხანგრძლივობა. წარმოდგენილი მოდელის მიხედვით “Grail”-ის მოქმედება დოზით 10 მლ/კგ იგივეა, რაც პრეპარატი ლოპერამიდისა, ამასთან იგი გაცილებით უფრგებლი და უსაფრთხოა.

ამრიგად, “Grail” ეფექტური სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებაა აუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციის სხვადასხვა დარღვევისას (არაორგანული ეტიოლოგიის დიარეის სინდრომი, ქრონიკული კოლიტები და ენტეროკოლიტები, ნაწლავის გაღიზიანების სინდრომი, კვების რეჟიმის დარღვევით, სტრესებით და მსგავსი ფაქტორებით გამოწვეული ნაწლავის მდგომარეობის უებიოტური აშლილობა). ამიტომ “Grail”-ის მოხ-

მარება მეტად სასარგებლოა საშუალო და ასა-
კოვანი პირებისათვის, განსაკუთრებით აქტიური
საქმიანი ადამიანებისათვის, რომელთაც აქვთ
კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციის დარღვევები-
სადმი მიღრეკილება.

ანტიალკოჰოლური და ანტინარგოტიკული
ეფექტი.

კვლევის შედეგები წარმოდგენილია მე-12 და
მე-13 ცხრილებში.

ცხრილი 12

ჯგუფის №	დოზა, მლ/კგ	თაგვების რიცხვი	ნარკოზის ხანგრძლივობა, M±m, წთ	თაგვების რიცხვი გვერდითი მდგომარეობის გარეშე
1	კონტროლი	10	37,7±4,8	0/10
2	0,3	10	26,2±2,2	0/10
3	1,0	10	16,3±3,0 ^{x)}	0/10
4	3,0	10	15,5±2,7 ^{x)}	3/10
5	10,0	10	19,6±1,2 ^{x)}	2/10

შენიშვნა: ^{x)} -სარწმუნო განსხვავება კონტროლთან შედარებით (0,05).

ცხრილი 13

ჯგუფის №	დოზა, მლ/კგ	თაგვების რიცხვი	ნარკოზის ხანგრძლივობა, გ, წთ	თაგვების რიცხვი გვერდითი მდგომარეობის გარეშე
1	ეთანოლი 40%	10	36,4 ± 4,1	0/10
2	„Grail”	10	22,0 ± 3,4 ^{x)}	0/10
3	ეთანოლი 40%	8	24,2 ± 2,6 ^{x)}	1/10
4	„Grail”	8	12,8 ± 1,5 ^{x)}	5/10

შენიშვნა: ^{x)} -სარწმუნო განსხვავება სუფთა ეთანოლთან იმავე დოზისას ($P \leq 0,05$).

როგორც მიღებული მონაცემები გვაჩვენებს (ცხრილი 12), ბიოაქტიურ დანამატს „Grail” გა-
აჩნია მყარი ნეირომატონიზირებელი ეფექტი დო-
ზების ფართო დიაპაზონში (0,1-დან 10 მლ/კგ-მდე).
თაგვების ნაწილს (როგორც წესი ჯგუფიდან 2-3)
„Grail”-ის 3-10 მლ/კგ დოზით მიღებისას არ
შეენიშნებათ ორთოსტატიკური რეფლექსის და-
კარგვა ეთანოლის ნარკოტიკული დოზისას, რაც
მიუთითებს „Grail”-ის გამოხატულ ნეირომასტიმუ-
ლირებელ ეფექტებს.

ბიოაქტიურ დანამატს „Grail”-ის და სუფთა
ეთანოლის (40%) ანტიალკოჰოლური ეფექტის

შედარებითმა გამოკვლევამ გვაჩვენა, რომ „Grail”-
ში შემავალი მცენარეული კომპონენტები ძირ-
ულად ასუსტებს მასში შემავალი ეთილის სპირ-
ტის ნეიროდეპრიმატულ მოქმედებას (ცხრილი 13).
ეს განსხვავება განსაკუთრებით ნათლად გამოვ-
ლინდა „Grail”-ისა და ეთანოლის შედარებით
დაბალი დოზებისას (8 მლ/კგ). ამ დროს საცდელი
თაგვების 40%-ს საერთოდ არ აღენიშნათ გვერ-
დითი მდგომარეობა, ხოლო სხვა ცხოველებში
ნარკოზის ხანგრძლივობამ შეადგინა, საშუალოდ,
12,8 წთ 24,2 წთ-თან შედარებით საკონტროლოში.

დასკვნა

ჩატარებულ ექსპერიმენტებში გამოყენებული ბიოაქტიური დანამატის “Grail”-ის დოზების ადამიანურ ექსტრაბოლიაციური გადატანით მისი სამკურნალო დოზებია: 15-30 მლ (1-2 სუფრის კოვზი) 2-3-ჯერ დღეში [14]. ცხოვრების რიტმისა

და სამუშაოს პირობების გათვალისწინებით დილის და დღის დოზები შეიძლება შემცირდეს 15 მლ-მდე, ხოლო სადამოს დოზა გაიზარდოს 60 მლ-მდე. სამკურნალო დანიშნულებით მიღების პურსი - არანაკლებ 30 დღე.

ლიტერატურა

1. Ingredients composition of “Graal” balsam. Patent # 2018519. Russian Federation. 1993. (in Russian).
2. Ingredients composition of bioactive additive “Grail”. Patent 6516. Georgia. Bulletin #14(450). 2016. (in Georgian).
3. “Graal” balsam. Georgian Pharmacopoeia. #111/97. (in Georgian).
4. Bond T., Lewis J., Davis A., Davis A. Analysis and Purification of Catechins and their Transformation Products. In: Methods in Polyphenol analysis. C. Santos-Buelga and G. Williamson (Ed). UK: Athenaum Press. 2003. 229-266 pp. (in English).
5. Burkina N., Kalinkina G., Fominikh L., Kudryakova L. Study of amino-acid structure of sphagnum brown. Chemistry of vegetative raw materials. 2000. 81-83 pp. (in Russian).
6. Dgebuadze K. Practicum on Biochemistry of Plants. Tbilisi. 1975. (in Georgian).
7. Bonetz D. and others. A new RP-HPLC method for analysis of polyphenols, anthocyanins, and indole-3-acetic Acid in wine. Am. J. Enol. Vitic. 59:1 2008. 106-109 pp. (in English).
8. Benzie I., Strain J. The ferric reducing ability of plasma (FRAP) as a measure of “Antioxidant Power”. The FRAP assay. Analytical Biochemistry. 239. 1996. 70-76 pp. (in English).
9. Portable X-ray fluorescence Spectrometer ElvaX. www.elvatech.com (in English).
10. Melkadze R., Kintsurashvili K. Radioprotective properties of bioactive additive "Grail". The second International Proceeding of 2-nd European Conference on Biology and Medical Sciences. "East-west" Association for Advanced Studies and Higher Education GmbH. Vienna. 2014, 228-236 pp. (in English).
11. Melkadze R. Adaptive properties of bioactive additive "Grail". International Journal of Advanced Multidisciplinary Research, 2(3): 2015. 53-59 pp. (in English).
12. Melkadze R. Results of the tests of balsam “Graal” in the patients with siderotic anemia. Vestnik. GNAS. Tbilisi, №2. Vol. 33. 2007. 147-152 pp. (In Russian).
13. Melkadze R. Balm “Graal” - a potential antinarcotic and antialcoholic remedy. Journal “Health” (USA). Vol.2. Number 10. 2010. 1226-1231 pp. (in English).
14. Melkadze R., Peikrishvili L., Butkhuzi M. New functional bioactive additive. Journal “Beer and drinks“. M., #5. 2008. 54-55 pp. (in Russian).

UDC 612.392.98
SCOPUS CODE 2736

CHEMICAL COMPOSITION AND MEDICAL PROPERTIES OF ADDITIVE «Grail»

R. Melkadze Department of food industry, Georgian Technical University, 75 Kostava str., 0175 Tbilisi,
Georgia
E-mail: remelsi@mail.ru

Reviewers:

L. Gulua, Doctor of Biological Sciences, Ugricultural University of Georgia
E-mail: i.gulua@edu.ge

T. Megrelidze, Doctor of Technical Sciences, Department of food industry, Faculty of transportation and
mechanical engineering, GTU
E-mail: tmegrelidze@yahoo.com

ABSTRACT. Bioactive additive "Grail" is a mixture of water-alcohol infusions of up to 30 medicinal herbs, honey
and red wine. As a substance it represents dark brown mobile liquid with strength of 18% (v) and the concentration of
30%. It contains a wide range of bioactive agents, mg / l: polyphenols - 900, amino acid 1000, vitamin C -47,5,
flavonoids -218.75. The indicator of antioxidatic activity makes 765 mg/l. The composition comprises mineral
substances "protective" trace elements: selen, copper, iron, zinc. Bioactive additive possesses a wide range of
pharmacological effects: radioprotective, anti-stress, nootropic, correcting the gastrointestinal tract, antidiarrheal,
antialcoholic and antidrug effects. The optimum daily dosage for humans to take is defined as 15-30 ml (1-2 tbsp) 2-3
times a day.

KEY WORDS: bioactive additive; chemical composition; herbs; honey; red wine; pharmacological properties.

UDC 612.392.98
SCOPUS CODE 2736

ХИМИЧЕСКИЙ СОСТАВ И ЛЕЧЕБНЫЕ СВОЙСТВА БИОАКТИВНОЙ ДОБАВКИ «Grail»

Р.Г. Мелkadze Департамент пищевой индустрии, Грузинский технический университет, Грузия, 0175,
Тбилиси, ул. М. Костава, 75
E-mail: remesi@mail.ru

Рецензенты:

Л. Гулуа, доктор биологических наук, Аграрный университет Грузии
E-mail: i.gulua@edu.ge

Т. Мегрелидзе, доктор технических наук, профессор, руководитель Департамента пищевой индустрии ГТУ
E-mail: tmegeleidze@yahoo.com

АННОТАЦИЯ. Биоактивная добавка „Grail“ представляет собой смесь водно-спиртовых настоев из более 30 лекарственных растений, меда и красного вина. По субстанционной форме является подвижной жидкостью темно-коричневого цвета, крепостью 18%(об) и концентрацией 30%. Содержит широкий спектр биоактивных веществ, мг/л: полифенолов – 900, аминокислот- 1000, витамина С - 47,5, флавоноидов -218,75. Показатель антиоксидантной активности составляет 765 мг/л. В составе минеральных веществ содержит «защитные» микроэлементы –селен, медь, железо, цинк. Биоактивная добавка обладает широким спектром фармакологических действий: радиопротекторный, антистрессовый, ноотропный, коррегирующий желудочно-кишечный тракт, антидиарейный, антиалкогольный и антинаркотический эффекты. Установлены оптимальные дозы для человека: 15-30 мл (1-2 ст.ложка) 2-3 раза в день.

КЛЮЧЕВЫЕ СЛОВА: биоактивная добавка; красное вино; лекарственные растения; мед; фармакологические свойства; химический состав.

UDC 343

SCOPUS CODE 3301

პრესტიჟულორნალიზაციის პროცესების თანამდებობა გლობალური პოლიტიკის პრეტენზისთვის

გ. ქალანდაძე	სოციალური მეცნიერებების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 77
ტო. ქანდელაძე	E-mail: Giorgikalandadze1986@gmail.com სოციალური მეცნიერებების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 77 E-mail: otarkand@yahoo.com

რეცენზენტები:

ქ. ჯიჯეიშვილი, სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სოციალური მეცნიერებების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი	E-mail: keti.jijeishvili@gmail.com
ლ. ლევაძე, სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სოციალური მეცნიერებების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი	E-mail: levanosidze@mail.ru

პროფაცია. კონსტიტუციონალიზმის მრავალ-მხრივი ბუნება გამომდინარეობს იმ ინტერესიდან, რომელსაც მის მიმართ ავლენს: სამართალმცოდნეობა, სოციოლოგია, პოლიტოლოგია, ისტორია, ქვეყანათმცოდნეობა, მთლიანად საზოგადოებათმცოდნეობა. კონსტიტუციონალიზმის სპეციფიკური ნიშანი მისი ლიბერალურ გარემოში არსებობის აუცილებლობა – სხვა შემთხვევაში ეს უკვე კვაზიკონსტიტუციონალიზმია. კონსტიტუციონალიზმი აბალანსებს საზოგადოებრივი ცხოვრების ორი, ერთმანეთის განმაპირობებელი და ამავე დროს დაპირისპირებული პრინციპის ურთიერთობას – ხალხისა და ცალკეული ინდივიდების თვითმართვადი და თავისუფალი ქმედების ბუნებრივ უფლებას და ხელისუფლების განმკარგველი მმართველი პოლიტიკური ელიტის ინტერესებს. კონსტი-

ტუციონალიზმის იდეების აქტუალიზაცია უკავშირდება ბურჟუაზიის მიერ საზოგადოების მონარქიულ-ფეოდალური მოწყობის, ავტორიტარიზმის და ტოტალიტარიზმის წესების თანდათანობით დაძლევას. ხელისუფლების შეზღუდვა და საჭირო საზღვრების დადგენა ცივილიზაციის განვითარების ცენტრალური, ყოფნა-არყოფნის პროცესია. კონსტიტუციონალიზმის შემდგომი განვითარების დროს უნდა გამოირიცხოს როგორც უკიდურესი ინდივიდუალიზმით განპირობებული ანტიკონსტიტუციონალიზმი, ასევე უკიდურესი კოლექტივიზმის გრძნობით გამოწვეული ტოტალიტარული კონსტიტუციონალიზმის იდეები.

საპვანო სიტყვები: ადამიანური კაპიტალი; კონფლიქტების ფსიქოლოგია; კონფორმიზმი; ნაციონალიზმი; პოლიტიკური ინტრიგა; პოლიტიკური

მოტივაცია; პოლიტიკური ტოლერანტობა; სეპარატიზმი; ტერორიზმის ფსიქოლოგია; ფსიქოლოგიური ომი.

შესავალი

კონსტიტუციონალიზმთან დაკავშირებით რამდენიმე მიღვომის აღნიშვნა შეიძლება. სამართალმცოდნები მას განსაზღვრავენ როგორც კონსტიტუციურ ჩარჩოებში მოქმედ სახელმწიფო მმართველობას. სოციოლოგიური თეორიის მიხედვით ესაა მოძღვრება სახელმწიფოს, საზოგადოების და მათი ურთიერთობის ძირითადი კანონის შესახებ. პოლიტოლოგიური კონცეფციები კონსტიტუციონალიზმში ძირითადად პოლიტიკური სისტემის გარკვეულ ფორმას ხედავენ. ეკონომისტებისთვის კონსტიტუციონალიზმი სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის (შრომის განაწილების და პროდუქციის გაცვლის ისტორიული ფორმის) სამართლებრივი უზრუნველყოფაა. ისტორიკოსების აზრით გამოიყოფა ანტიკური, შეა საუკუნეების და თანამედროვე (XVIII საუკუნის ბოლოდან) კონსტიტუციონალიზმი. ქვეყანათმცოდნეობა ხაზს უსვამს დემოკრატიული კონსტიტუციური სახელმწიფოებრიობის საერთო ფუძემდებლურ ნიშნებს, რომელთაც გარკვეული ეროვნული სპეციფიკა აქვთ. მხოლოდ ამ გაგებით შეიძლება გილაპარაკოთ ამერიკულ, ფრანგულ ან გერმანულ კონსტიტუციონალიზმზე.

ძირითადი ნაწილი

კონსტიტუციონალიზმის არსი

მრავალმხრივი, რთული ბუნების და სპეციფიკურ გამოვლენათა გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციონალიზმის თეორიის და პრაქტიკის უშუალო საგანი და სფერო ყველა შემთხვევაში ხელისუფლებაა, მისი პოზიტიური მოწყობა და ბოროტად გამოიყენების აღმგეთა.

კონსტიტუციონალიზმი არის სამართალში ფორმალიზებული სამართლიანობა, მიმართულია დესპოტიზმის აღკვეთისა და ინდიფიდუალური თავისუფლების უზრუნველყოფაზე.

კონსტიტუციას წარმოშობს ხალხის სურვილი ადამიანებს შორის ურთიერთობისთვის დამახასიათებელ ბუნებრივ წყობას და ერთად ცხოვრების მომწესრიგებელ ხანგრძლივმოქმედ კონსტატორულ ტრადიციებს შემატოს კონსტიტუციით (საზოგადოებრივი ხელშეკრულებით) შემუშავებული წესრიგი, რომლის აუცილებლობა საზოგადოების რაოდენობრივად და თვისობრივად ახალი დინამიზმთან, მის სამართავად საჭირო სახელისუფლებო ელიტის წარმოქმნასთანაა დაკავშირებული. კონსტიტუციონალიზმის არსი უშუალოდ ების ხალხში არსებულ კანონმორჩილების გრძნობას და პრაქტიკულ უნარს. იმისთვის, რომ ხალხი იყოს კანონმორჩილი, ასეთი თავდაპირველად ჯერ ხელისუფლება უნდა იყოს. სხვანაირად, რეალური (და არა ფორმალური) კონსტიტუციონალიზმი არ მიიღწევა.

კონსტიტუციონალიზმის იდეა, ამგვარად, აბდლანსებს საზოგადოებრივი ცხოვრების ორი, ერთმანეთის განმაპირობებელი და ამავე დროს დაპირისპირებული პრინციპის ურთიერთობას – ხალხის და ცალკეული ინდივიდის თვითმართვადი და თავისუფალი ქმედების ბუნებრივ უფლებას (არავისი ნებართვა არ სჭირდება) და ხელისუფლების განმარტველი მმართველი პოლიტიკური ელიტის ინტერესებს. კონსტიტუციის ყოველი ცვლილება ფრიად სათუთი საქმეა, ვინაიდან პირველ რიგში სწორედ ამ ზედმიწევნით მნიშვნელოვან და მოწყვლად ბალანსს ეხება.

მრავალთა აზრით, პირველ პრინციპს უთუოდ უპირატესობა უნდა ჰქონდეს, ვინაიდან საზოგადოებრივ დინამიკას და ახალი გამოწვევების დაძლევას ერის იმანებრური ძალები, მისი ყოფილების „გენეტიკური კოდი“ მართავს. შესაბამისად, რაც ხაკლებად იგრძნობა ხელისუფლება, განსა-

კუთრებით კი მისი განკურძოებული, უგროისტური ინტერესები, რაც უფრო მკაფიოდაა შემოფარგლული მისი ფუნქციები, მით უკეთესია მთლიანად საზოგადოებისთვის. ამ შეხედულებების სელისჩამდგმელს შარლ მონტესკიეს მიაჩნდა, რომ ხელისუფლების კონსტიტუციური დანაწევრების და მისი განცალკევებული ნაწილების დამოუკიდებელი და კონკურენტული მოქმედების გარდა არ არსებობს ხელისუფლების ბოროტად გამოყენების აღმკვეთი არანაირი სხვა საშუალება.

მეცნიერებართა და პოლიტიკოსთა მეორე მსხვილ ჯგუფს მიაჩნია, რომ ხელისუფლების (ხშირად არაპოპულარული და ძალისმიერი) ჩარევის გარეშე, პაექტობას ადამიანებს შორის და სოციალური უთანასწორობას, რასაც თან სდევს მასების დესპოტიზმი და ტოლერანტობის დაქვეითება, მეტისმეტად მწვავე და საზიანო ხასიათი ექნებოდა, ხოლო საზოგადოებრივი დინამიკის ან პოლიტიკური გეზის ალტერნატიულ მიმართულებებში გარევავა კი უფრო გართულდებოდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელისუფლების როლი ბუნებრივ თუ სოციალურ გამოწვევებსა და კრიზისებზე სწრაფი რეაგირების განხორციელებაში, ხოლო კონსენსუსის ძიების გზით მოქმედება ხშირად უფრო მოუქნელი და ნელი მოქმედების მექანიზმია. შესაბამისად, სოციალური წესრიგი და, ზოგადად, ცივილიზაციის განვითარებაც კი უპირველეს ყოვლისა ხელისუფლების, როგორც წესი, ძლიერი და ქარიზმატიული დიდერების და მათი ლოიალური გარემოცვის აქტიურობის შედეგად ცხადდება. პიროვნების როლს ისტორიაში უკიდურესად დიდი და გადამწვევები მნიშვნელობა აქვს (“არ არსებობს ისტორიები, არსებობს ბიოგრაფიები” – უნისტონ ჩერჩილი).

საზოგადოებრივი ცხოვრების რეალური მსგალლობა, მისი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების კონკრეტული თანაფარდობა, სპეციფიკური ისტორიული სიტუაცია, დროდადრო ერთს ან მეორე პრინციპის მნიშვნელობას ძლიერს უპირატე-

სობას. ასე რომ, კონსტიტუციონალიზმის დანიშნულებაა რაციონალური შეზღუდვების მეშვეობით აბსოლუტური უპირატესობა, ანარქიზმსა და ქაოსისკენ ან მმართველთა თვითხელობასა და ავტორიტარიზმისკენ გადახრის საშუალება, არ მიეცეს არც ერთ პრინციპს.

ბოლო საუკუნეების გამოცდილება ადასტურებს, რომ ყველაზე უკეთ ასეთი დაბალანსების მოთხოვნებს ლიბერალური კონსტიტუციონალიზმი პასუხობს, რაც ფაქტიურად დემოკრატიის არსებობას. ავტოკრატიაზე მორგებული კონსტიტუცია პირიქით აძლიერებს ხელისუფლების ბოროტად გამოყენების და დემოკრატიზმის შელახვის პირობებს. არსებითად უარესდება ადამიანის უფლებები, დემოკრატია კი ასეთ შემთხვევაში „მეფის“ საქვეყნოდ არჩევით შემოიფარგლება. ბიზნესი, როგორც წესი, საბიუჯეტო გადასახადის გარდა იძულებულია იხადოს აგრეთვე „სახელმწიფო რეპეტის“ არალეგალური გადასახადი. ასევე არასახარბიელო ზეწოლას ადამიანთა კანონმორჩილების პრინციპი განიცდის – ერთია, როცა კანონის ავტორიტეტია ძალაში, მეორე, როცა ავტორიტეტის მიერ დაწესებული კანონი. ყოველდღიურ ცხოვრებაში როგორც ლეგალური, ასევე „კულტურული“ ან „ტელეფონის სამართლით“ იქრძალება ყველაფერი, რაც საგანგმოდ ნებადართული არ არის. ადამიანის უფლებები და თავისუფლების დემოკრატიული პრინციპი მოითხოვს ნებადართული იყოს ყველაფერი, რაც სპეციალურად და კანონის მეშვეობით არ არის აკრძალული.

ზოგადად თუ ვიტყვით, ინდივიდუალური უფლებები არსებითად ერთ უფლებაშია მოქცეული – სხვებისგან განსხვავების უფლებასა და ტოტალიტარული უნიფიცირების მეშვეობით ადამიანთა თავისუფლების ხელყოფის დაუშვებლობაში. ინდივიდუალიზმით გამორჩეული ჩვენი თანამემამულებებისთვის ეს, ალბათ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

პოლიტოლოგები აღნიშნავენ, რომ ყველაზე სასურველია ისეთი ხელისუფლება, რომელიც ერთდროულად ლეგალურიც არის და ლეგიტიმურიც. ორივე ამ თვისებას თავისი მექანიზმი აქვს, რომელთა მოქმედების პირობები დემოკრატიულ კონსტიტუციაში აუცილებლად უნდა იყოს გაწერილი.

ლეგიტიმურობა გულისხმობს ხელისუფლების შესაბამისობას საზოგადოებაში მიღებული ადათ-წესების და ტრადიციების მიმართ, ხალხისა და ხელისუფლების ურთიერთნდობას და რწმენას, რომლებიც იზიარებენ ამ წესებს. მნიშვნელოვანია ასევე ხელისუფლებისადმი ნდობის ამსახველი სარწმუნო მტკიცებულებების არსებობა, მაგალითად, არჩევნების, რეფერენდუმის ან რეიტინგული შეფასების საფუძველზე.

ლეგიტიმურობის პოლიტიკურ-სამართლებრივი ცნება ნახსენების გარდა მოიცავს ადგილობრივი მოსახლეობის და ასევე საზღვარგარეთის საზოგადოებრივი აზრის მიერ ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფლების ინსტიტუტების მოქმედების მართლზომიერების ცნობას. გამოჩენილი სოციოლოგი მაქს ვებერი ლეგიტიმურობის სამ პრინციპს გამოყოფდა – ტრადიციულობა, ქარიზმატულობა, ლეგალურობა (ქარიზმა – მადლი, წეალობა. ბერძნეულ მითოლოგიაში „ქარიტები“ სილამაზის, მოხდენილობის და სინატიფის ქალღმერთებია. აღნიშნავს ყურადღების მიპყრობისა და ადამიანთა აყოლიების, დიდერობის დათით ბოძებულ უნარს).

ლეგიტიმურობა, როგორც ჩანს, მოიცავს ლეგალურობასაც, მაგრამ საკუთრივ „ლეგალური“ – კანონიერად ცნობას, კანონის შესაბამისობას ნიშნავს. რაც უფრო დაბალია ლეგიტიმურობის დონე, მით უფრო ხშირად უწევს ხელისუფლებას დაექრძნოს მართვის იძულებით ზომებს, რასაც შეიძლება სავსებით ლეგალურად აქტებდეს. მეორე მხრივ, ნებისმიერი რევოლუცია ან სახელმწიფო გადატრიალება შეუძლებელია ლეგალური იყოს, მაგრამ, როგორც წესი, ასეთი მოვლენები მაღალი ლეგიტიმურობის გარეშე არ ხდება. მაგალითად,

ავიდოთ 2008 წლის აგვისტოს საქართველოში მომხდარი შეიარაღებული კონფლიქტი. მისი შეფასება ჯერ კიდევ ელის სიღრმისეულ ანალიზს, მაგრამ ჩანს, რომ ძირითადი დებატები გაიმართა ხელისუფლების მოქმედების ლაგალურობის და ლეგიტიმურობის ირგვლივ – მრავალ ექსპერტთა აზრით, პირველი ჰქვის გარეშეა, მეორე კი, პირიქით, დიდ ეჭვებს იწვევს.

ანალიტიკოსების მოსაზრებების განზოგადების საფუძველზე შეიძლება გამოიყოს ამა თუ იმ მმართველი რეჟიმის ლეგიტიმურობის კრიზისის ძირითადი მახასიათებლები. ლეგიტიმურობის ქვედა ზღვარს ქმნის მოსახლეობის პოლიტიკური პროტესტის დონე, რომელიც მიმართულია პოლიტიკური რეჟიმის ან მთლიანად კონსტიტუციური წევის შეცვლაზე. ზედა ზღვარის ანუ ხელისუფლების მიმართ სიმპათიების და ანტიპატიების დინამიკური ცვალებადობის ფაქტორებს მიეკუთვნება ხელისუფლების ფუნქციური გადატვირთვა და მართვისათვის საჭირო მატერიალური და პიროვნული რესურსების სიმცირე, ოპოზიციური ძალების მგვეორი გაძლიერება, რეჟიმის მიერ პოლიტიკური „თამაშის წესების“ რეგულარული დარღვევა, ხელისუფლების უუნარობა აუხსნას ხალხს გატარებული პოლიტიკის არსი, დანაშაულების ზრდის, ცხოვრების დონის შემცირების და სხვა სოციალური სენის გავრცელება.

დელეგიტიმაციის მიზეზებს მიეკუთვნება:

წინააღმდეგობა საზოგადოებაში გაგრცელებულ უნივერსალურ ფასეულობებსა და ხელისუფლების მფლობელი ელიტის ეგოისტურ ინტერესებს შორის;

წინააღმდეგობა დემოკრატიულ იდეალებსა და სოციალურ-პოლიტიკურ პრაქტიკას შორის, როცა პრობლემების გადაჭრა ძალისმიერი მეთოდებით ხდება და იზრდება მასმედიაზე ზეწოლა;

პოლიტიკურ სისტემაში სახალხო მასების ინტერესების დამცველი მექანიზმების უქონლობა;

ბიუროკრატიზაციის და კორუმპირებულობის ზრდა;

ცენტრალური ხელისუფლების უარმყოფელი ნაციონალიზმი და ეთნიკური სეპარატიზმი;

ხელისუფლების შტოებს შორის კონფლიქტები;

მმართველი ელიტის მიერ თავისი ძალაუფლების მართლზომიერების მიმართ რწმენის დარღვა.

ძირითადი ნაწილი

კონსტიტუციონალიზმის გენეტიკური ნიშნები
 კონსტიტუციონალიზმის იდეების აქტუალურია უკავშირდება ბურჟუაზიის მიერ საზოგადოების მონარქიულ-ფეოდალური მოწყობის წესის თანდათანობით დაძლევას. ფეოდალური მიწის საკუთრების გვერდით და მასთან კონკურენციაში აღმოცენდა კაპიტალისტური საკუთრება, – სამეწარმეო, სავაჭრო და საბანკო, რომელიც წამყვან ეკონომიკურ ძალად იქცა და უსაფრთხოების ახალი გარანტიები მოითხოვა. ამიტომ, კონსტიტუციონალიზმისთვის პირველ რიგში აუცილებელია დაწერილი კონსტიტუციის არსებობა, რომელსაც ხელისუფლების ყველა შემდგომი განკარგულების მიმართ უზენაესი ძალა ექნებოდა. კანონის გავრცელება მონარქის ხელისუფლებაზე კონსტიტუციონალიზმის პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვებაა.

სახელმწიფო მოწყობის ფეოდალური წესები საუკუნეების მანძილზე დაგიტიმურობას და იდეოლოგიურ საყრდენს რელიგიურ დოქტრინებში პოულობდა. პოლიტიკურ-სამართლებრივი თეორები ჯერ კიდევ პერაკლიტეს, პლატონის და არისტოტელეს მიერ და ანტიკურ რომში მუშავდებოდა, მაგრამ ახალი დროის მოაზროვნები განსაკურებით ხაზს უსვამდნენ სამართლიანობის საერთგანმარტინოს, ე.ი. სამართლის მნიშვნელობის გაძლიერების აუცილებლობას. ასე ჩნდებოდა პიროვნების, სახელმწიფოს, სამართლის ბატონობის, თავისუფლების, ხელისუფლების უკავშირდების მიმართ რწმენის დარღვა.

დაუდვის კონცეფციები. ამან, თავის მხრივ, დადგბითი ზეგავლენა გამოაჩინა ეკლესიის მიმართ, რომელიც განთავსუფლდა მისთვის არსებითად უცხო მიმდინარე პოლიტიკური საქმიანობისგან.

უნდა ითქვას, რომ ბურჟუაზია ანტიუკლესიური ან ეკლესიის რეფორმირების მოთხოვნებით გამოდიოდა მხოლოდ მაშინ, როცა ის მხარს უჭერდა აბსოლუტიზმის. ასე ნიდერლანდების რეგოლუცია რელიგიის კალვინისტური რეფორმების იდეოლოგიით მიმდინარეობდა, რაც მიმართული იყო აბსოლუტისტური ესპანეთის კათოლიციზმის წინააღმდეგ. მსგავსი მიზეზებით აიხსნება ანგლიკანური ეკლესიის განვითარება დიდ ბრიტანეთში, პროტესტანტიზმის და ლუთერანობის გავრცელება გერმანიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში.

კონსტიტუციონალიზმის კიდევ ერთ წყარო იქცა აბსოლუტური მონარქიის წინააღმდეგ შემუშავებული იდეები ფეოდალური ავტონომიის, თავისუფალი ქალაქების, თვითმართვადი ტერიტორიების შესახებ, რომლებიც შემდგომში ჩამოყალიბდა როგორც ფედერალიზმის და ადგილობრივი თვითმართველობის ბურჟუაზიული თეორიები.

კონსტიტუციური მონარქიის იდეები კონსტიტუციონალიზმის პირველი მნიშვნელოვანო ეტაპია, მაგრამ თანამედროვე კონსტიტუციონალიზმი ჩნდება ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების შექმნის პოლიტიკური აუცილებლობის გამო, რაც მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების სუბიექტების წესის თავისუფალი გამოხატვის შედეგი შეიძლება იყოს. მართვის კონსტიტუციური ფორმა ეკონომიკასთან ჰქიდრო კავშირშია. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ტერმინები „მოქალაქე“ და „გადასახადის გადამხდელი“ თითქმის გაიგინდებოდა. ასეთი გადამხდელი ფულს იხდის არა მეფის საზინაში, არამედ სახელმწიფო ბიუჯეტში.

ეკონომიკის სუბიექტი თავისუფალი მეწარმეობის და თავისუფალი კონკურენციის სისტემაში მოქმედებს. მის საქმიანობას საბაზო სტიქია განაგებს, ხოლო სხვა სუბიექტებთან ან სახელმ

წიფოსთან ურთიერთობა მიმდინარეობს საკუთრების უფლებების დაცვის კანონმდებლობის და საკონტრაქტო სამართლით გარემოცვაში. მას, თავისი ინტერესების დასაცავად წარმომადგენელი უნდა ჰყავდეს ხელისუფლებაში. ასე ყალიბდება მართვის წარმომადგენლობითი ორგანოები. ყალიბდება ეროვნული ერთიანობის და მოქალაქეობის გრძნობა (შესაბამისი უფლებამოვალეობებით) მონარქის მიმართ ლოიალობის და ქვეშვერდომის სტატუსის სანაცვლოდ.

თავისუფალი მეწარმეობა მხოლოდ პოლიტიკური თავისუფლების სისტემაშია შესაძლებელი. კონსტიტუციებში ასევე პოულობს ადგილს დებულებები სინდისის თავისუფლების, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების და ასოციაციების თავისუფლების შესახებ. შარლ მონტესკიე თავის თხზულებებში თავისუფლების იდეას უკავშირებდა სახელმწიფო წყობის პრინციპებს, კერძოდ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების დაყოფას, ჯონ ლოკი ამუშავებდა ხალხის წარმომადგენლობის პრინციპებს საკანონმდებლო ხელისუფლებაში.

მათი და სხვა დიდი მოაზროვნების იდეების მიხედვით ყალიბდება კონსტიტუციის უშუალო გამოყენების ფუძემდებლური პრინციპი. სახელმწიფო ორგანოები კონკრეტულ აქტს გამოსცემს უშუალოდ კონსტიტუციურ ნორმებზე დაყრდნობით და კონსტიტუციის მიერ მისთვის მინიჭებული კომპეტენციის მიხედვით. კონსტიტუციის უშუალო გამოყენება ხდება ასევე სასამართლოებში, უმთავრესად პიროვნების ძირითადი უფლებების სფეროში.

ხელისუფლების საკონსტიტუციო საზღვრების დადგენა

გინაიდან ხელისუფლების ლეგიტიმურობის უზრუნველყოფა საკმაოდ რთული განსახორციელებელია და მისი მიღრეკილება კორუფციასა და საკუთარი ინტერესების უპირატობისაკენ კი საყველთაოდა გავრცელებული, შეიძლება ითქ-

ვას, რომ ხელისუფლების შეზღუდვა და საჭირო საზღვრების დადგენა ცივილიზაციის განვითარების ცენტრალური, ყოფნა-არყოფნის პრობლემაა. ტირანიამ და დესპოტიზმმა იმდენი უბედურება მოიტანა კაცობრიობის ისტორიაში, რომ, ალბათ, საერთო ჯამში, ხელისუფლების ბოროტად გამოყენება უფრო საზიანოა, ვიდრე ის ზიანი, რომელიც შეიძლება სუსტმა ხელისუფლებამ მოიტანოს. ამიტომ, ხელისუფლების საზღვრების დადგენა ფაქტიურად ნიშნავს იმ კითხვაზე პასუხის გაცემას, თუ როგორ უნდა მოიწყონ ადამიანებმა დირსეული და ცივილიზებული ცხოვრება.

ხელისუფლების საზღვრები შეიძლება იყოს ზემობრივი წარმოშობისა და კონსტიტუციური, უ. ადამიანის მიერ დაწერილი. ზემობის და პოლიტიკის ურთიერთობის განხილვის დროს იბადება ძირითადი კითხვა: ემთხვევა თუ არა ადამიანის და ხელისუფლების ზემობრივი საზღვრები? არ ემთხვევა და ვერც დაემთხვევა, – ამტკიცებდა ნიკოლო მაკიაველი. ვერც ერთი სოციალური იდეალი ვერ განხორციელებულა ცოდვის ჩადენის გარეშე. ჩვეულებრივი მოქალაქეები მოვალენი არიან დაიცვან ზემობრივი მოთხოვნები, რაც პოლიტიკური სტაბილურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწინაღოია, მაგრამ ხელისუფალს, საჭიროებისამებრ, თუ ეს ქვეყნის ინტერესებს ემსახურება, შეუძლია და იგი ზოგჯერ მოვალეც არის, დაარღვიოს ზემობრივი კანონი.

დებატები სიკვდილით დასჯის ზემობრიობის შესახებ, სოციალური აშლილობის დროს დიჭიატურის მოთხოვნილება, რწმენა, რომ საზოგადოებრივი წესრიგის მიღწევის მიზნით სავსებით შესაძლებელია და სასურველიცაა ზოგიერთი ადამიანის განადგურება, – ზემობრივი აბსოლუტიზმის და ზემობრივი რელატივიზმის ურთიერთშეურიგებლობას მოწმობს. მორალური რელატივიზმი არ ათავსებს პროფესიონალ პოლიტიკოსს მორალური აბსოლუტიზმის რეინის მარტუხებში.

მაგრამ, ამავე დროს, ეს დიდ რისკსაც შეიცავს, ვინაიდან ხელისუფლების მორალური ზედამხედველობის არიდან გაყვანა აშორებს მას ხალხის პოლიტიკურ ზედამხედველობასაც.

ჩვენ უვლანი ვცოდავთ, მაშასადამე, ზნეობრივი რელატივიზმის იდეოლოგიურ გარემოში ვცხოვრობთ. ზნეობრივ აბსოლუტიზმზე უარის ოქმა კი ნიშანავს, რომ ადამიანმა თავს უფლება მისცეს საკუთარი ხელით გამოიწეროს ნებისმიერი „ინდულგენცია“, ვთქათ, „აქლემის ქურდობა“ მიუღებლად მიიჩნიოს, ხოლო „ნემსის ქურდობა“ დასაშვებად.

საკითხი დიად რჩება, პოზიციები კი შეურიგებელი. მაგრამ მათი მომრიგებელი და პრაქტიკული პოლიტიკის სივრცეში გადამყვანია სამართალი, ადამიანის ნორმატიული (ინსტიტუციონალური) საქმიანობა. მისი მეშვეობით ზნეობრივი საზღვრები ხელისუფლების კონსტიტუციური საზღვრების სახეს იძენს. ამის შედეგად შესაძლებელი ხდება იგივე პრობლემა სხვა ფორმით განვიხილოთ. ყოველთვის უნდა მოქმედებდეს თუ არა ხელისუფლება კონსტიტუციურ ჩარჩოებში?

კონსტიტუციონალიზმი და ხელისუფლების მორჩილება კანონის მიმართ, თანამედროვე მსოფლიოს უმნიშვნელოვანები პოლიტიკური იდეალია. თვით ტოტალიტარული სახელმწიფოების ლიდერები თავიანთ რეჟიმებს, რა თქმა უნდა, პროპაგანდისტული მიზნებით, უწოდებენ „ნამდვილ კონსტიტუციონალიზმს“ და „ჭეშმარიტ დემოკრატიას“. მაგრამ, ამასთან ერთად, პოლიტიკური აზრის ისტორიაში კონსტიტუციონალიზმის საწინააღმდეგო წარმოდგენებიც გვხვდება.

საინტერესოა პლატონის შეხედულებების ეფოლუცია. თავდაპირებელად იგი ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციონალიზმს, რადგან სჯეროდა, რომ რამდენიმე ბრძენი ლიდერი უკეთესად გაუძღვებოდა ქვეყნის მართვას, თუ არ იქნებოდა ლიმიტირებული წინასწარ შემუშავებული წესებით. მოგვიანებით პლატონი კონსტიტუციონალიზმს მი-

ემხრო, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ბრძნული და მეცნიერულად დასაბუთებული გეგმის გამოყენების მიზნით დაუშვებელი იქნებოდა ადამიანების იძულება იმოქმედობ თავიანთი ნების წინააღმდეგ (რაც დემოკრატიის უმნიშვნელოვანები პრინციპია), არამედ იმიტომ, რომ, როგორც პლატონი თავისი ცხოვრების მანძილზე დარწმუნდა, ბრძენი კაცი მნელად თუ როდისმე შეძლებს ხელისუფლების მოპოვებას. მიუხედავად ამისა, პლატონის მიერ დასმული პრობლემა დღესაც აქტუალურია: უნდა მართავდნენ თუ არა საზოგადოებას მეცნიერებების გადაწყვეტილების მიღების და პასუხისმგებლობის აღების უნარის მქონე პროფესიონალების მთავრობა და პარლამენტი? ან იქნებ უფრო რაციონალურია, გვავდეს მკაფიოდ ლიმიტირებული, გადაწყვეტილების მიღების მრავალი პროცედურული ნორმებით, გადამოწმების და დაბალანსების მექანიზმით შეზღუდული, ნაკლებად რისკიანი, პასუხისმგებლობის მხოლოდ თავისი მოკრძალებული კომპეტენციის ფარგლებში ამღები, ამიტომ, ნაკლებად კორუფციული, რეპრესიული და თვითნებური ხელისუფლების წარმომადგენლები?

თომას პოპსის ოპოზიცია კონსტიტუციონალიზმის მიმართ ადამიანის ბუნებაზე პესიმისტურ შეხედულებას ეყრდნობოდა. ქაოსურად, ეგოისტურად და ბრძანი ინსტინქტებით მოქმედ ხალხს არც უნარი აქვს და არც ცოდნა იმისათვის, რომ რაიმე გრივის უფლებელი ლიმიტები დაუწესოს ხელისუფლებას. ამიტომ ხელისუფლებას უნდა შეეძლოს ნებისმიერი ხერხებით არ დაუშვას გაუთავებელი „ომი ყველას ყველას წინააღმდეგ“ ან ამ ომის გადაზრდა უწესრიგობასა და მწვავე კონფლიქტებში. მნელია იმაში დარწმუნება, რომ პოპსის შემდგომ პერიოდში ადამიანის საზოგადოებრივი ცხოვრება რამდენადმე მაინც მოწერიგდა. საერთაშორისო ტერორიზმის გააქტიურებასთან, გლობალური ხაციის ნებატიურ მოვლენებთან დაკავშირებული და მრავალი ახალი შიში

კიდევ უფრო გაიზარდა. ბევრი ადამიანი (ანარქისტების და ზოგიერთი სხვა რადიკალების გამოკლებით) დღესაც მიიჩნევს, რომ საზოგადოებრივი წესრიგი უმაღლესი ფასეულობაა ყველა დანარჩენ, მათ შორის, კონსტიტუციონალურ ფასეულობებთან შედარებით და ქვეყანაში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. ასევე, საგარეო კონფლიქტებში მონაწილეობის დროს, სავსებით დასაშვები და აუცილებელიცაა უმკაცრესი ავტორიტარული მეთოდებით წესრიგის უზრუნველყოფა.

უახ-უაკ რუსოს ოპოზიციურობა კონსტიტუციონალიზმის სპეციფიკურ გაგებას ეფუძნება. რუსო კანონის უზენაესობის პრინციპის მსურვალე მხარდამჭერი იყო. იმდენად, რომ მისი აზრით, სუვერენული ხალხის მიმართ არ შეიძლება არც ერთი მმართველობითი აქტის, ბრძანების ან განკარგულების გამოყენება, თუ მან კანონიერების ფორმა არ მიიღო. მოქალაქის კანონმორჩილება მას „ცივილური რელიგიის“ დონემდე აჟავდა. კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ მთლიანობაში ასეთი კონსტიტუციონალიზმი სხვა არაფერია, ვიდრე „უგაზიდემოკრატიული ტოტალიტარიზმი“, სადაც მმართველების უფლება სიტუაციის თავისებურების შესაბამისად იმოქმედონ, მაქსიმალურადაა შეზღუდული. კითხვა მაინც რჩება: იქნება კონსტიტუციონალიზმი უფრო საზიანოა, ვიდრე სასარგებლო ისეთ პირობებში, როცა სუსტად მოქმედებს კანონის უზენაესობის პრინციპი? რომელია მათ შორის უფრო მნიშვნელოვანი?

კონსტიტუციონალიზმის კიდევ ერთი ოპონენტია „დემოკრატიული ცენტრალიზმი“ – სახელმწიფოს მოწყობის სოციალისტური თეორია და პრაქტიკა, რომლის კრიტიკა კვლავაც აქტუალური რჩება, გინაიდან დღესაც თანამედროვე ჩინეთის ინსტუტუციურ ჩონჩხს ქმნის. მასში „დემოკრატიულადაა“ მიჩნეული ხალხისთვის დამახასიათებელი მხოლოდ კოლექტიური, სახელმწიფოებრივი ინტერესები. ამის შედეგად არსებითად უგულებელყოფილია ადამიანის პირადი ინტერესები და აკრ-

ძალულია კერძო საკუთრება (ზოგი გამონაკლისის გარდა მცირე სასაქონლო წარმოებაში), ხოლო საზოგადოებრივი დოკუმენტი მირითადად გათანაბრებით განაწილდება. პოლიტიკის ცენტრალიზაცია ასეთ პირობებში იმორჩილებს კონსტიტუციონალიზმს. უარყოფილი ხდება დასავლური ტიპის კონსტიტუციონალიზმი, როგორც „კლასობრივი ჩაგვრის“ იარაღი. იმის გამო, რომ მუშათა კლასი სპონტანურად და ანარქიულად ვერ მოქმედებს, მას უნდა მართავდეს მკაცრად ცენტრალიზებული პარტია, რომლის აბსოლუტური და განუყოფელი როლი თვით კონსტიტუციაშია დაფიქსირებული. ამით მახინჯდება საკუთრივ კონსტიტუციონალიზმის იდეა: ხელისუფლების კონსტიტუციურ ჩარჩოებში მოქცევის ნაცვლად კომუნისტური რეჟიმი საერთოდ უარყოფს ასეთ ჩარჩოებს. ამის შედეგად, თუ კომუნიზმის დემოკრატიულ იდეალად ხალხის თვითმმართველობა (მათ შორის, ადგილობრივი ხელისუფლების როლის მნიშვნელობის ამაღლება) იყო აღიარებული, რეალურად, საბჭოების ისტორიის მთელ მანძილზე იზრდებოდა და მძლავრდებოდა თვითმმართველობის ანტიპოდი – ცენტრალიზმი. საგულისხმოა, რომ სსრკ-ს დაშლის წინა პერიოდში, მირითადი, რაც ხელისუფლებამ ხალხს შესთავაზა, იყო პარტიის ხელმძღვანელი როლის გაუქმება კონსტიტუციაში და ცენტრალიზმის შესუსტება (კერძოდ, „რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიშის“ შემოღება).

პოლიტიკური აზრის ისტორიაში კონსტიტუციონალიზმის საკითხი ყოველთვის ხელისუფლების დანაწილების კონტექსტში განიხილებოდა. ხელისუფლების ორგანოების ურთიერთგადამოწმების და დაბალანსების მექანიზმის გარეშე კონსტიტუციონალიზმი ვერ მოქმედებს. ზემოთ ჩამოთვლილი მისი ოპონენტები, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგებოდნენ აგრეთვე საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების დანაწილებასაც. ეს ასევე ეხება ხელისუფლების

ვერტიკალურ დანაწილებას ცენტრალურ და ადგილობრივ მართვის ორგანოებს შორის.

ხელისუფლების კონსტიტუციური ჩარჩოების გასარკვევად, უპირველეს ყოვლისა, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, თუ როგორ ყალიბდება ხელისუფლების ეკონომიკური საზღვრები ეროვნულ ეკონომიკასა და კერძო საწარმოებთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან მიმართებაში, საერთაშორისო სასაქონლო, შრომის თუ საფინანსო ბაზრებზე, ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში – წარმოებაში, განაწილებაში, გაცვლასა და მომარებაში? როგორი უნდა იყოს ხელისუფლების დამოკიდებულება სახელმწიფო, კოლექტიურ და კერძო საკუთრებასთან? რა სამართლებრივი პირობია საჭირო საკუთრების პრივატიზაციისა ან ნაციონალიზაციისათვის? ვისთან და რომელი ობიექტების მიმართ, რა ზომით უნდა გამოიყენოს ხელისუფლებამ საკუთრების ისეთი სამართლებრივი ფორმები, როგორიცაა მფლობელობა, განკარგვა და სარგებლობა? დასასრულ, ყველაზე მწვავე თანამედროვე პრობლემა: როგორ განისაზღვრება ორიენტაცია და რა ხასიათის გადაწყვეტილებების მიღების უფლება უნდა ჰქონდეს ხელისუფლებას ქვეყნის ეკონომიკური (და პოლიტიკური) სუვერენიტეტის თვალსაზრისით, როდესაც იგი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, სახელმწიფოთაშორის რეგიონულ ეკონომიკურ გაერთიანებებში გაწევრიანების და მსოფლიო ეკონომიკის გლობალურ პროცესებში ჩართვის აუცილებლობის წინაშე დგას?

მარტო ამ ჩამონათვალიდანაც ჩანს, თუ როგორი როული და წინააღმდეგობრივია ხელისუფლების ეკონომიკური საზღვრების დემარკაცია. ჩამოყალიბებული და მდგრადი სახელმწიფოებრივი ურთიერთობები და მმართველობითი სტრუქტურები ამ საზღვრების მიმართ მტკიცე და გრძელებადიანი საზოგადოებრივი კონსენსუსის შედეგია. ზოგი საზღვარი კი, მდლავრი და ყოველდღიური ურთიერთზეწოლის, ძალადობის, „საზღვ-

რის უკანონოდ გადაკვეთის“ და მოქალაქეთა სუვერენულ უფლებებში შექრის ან პირიქით, მოქალაქის მიერ ინიციირებული სახელმწიფო მოხელესთან კორუფციული გარიგების პირობებში არსებობს.

ხელისუფლების ეკონომიკური საზღვრის ხაზი ყოფს ორ ძირითად სამფლობელოს – თავისუფალ მეწარმეობას და საზოგადოებრივი დოკუმენტის წარმოებას. იდეოლოგია, რომლის თანახმად, საზოგადოებრივი დოკუმენტის წარმოების სახელმწიფოებრივ წესებს უნდა ექვემდებარებოდეს თავისუფალი მეწარმეობა, ეკონომიკურ თეორიასა და პოლიტიკურ პრაქტიკაში ცნობილია ხოციალიზმის ან უფრო ფართოდ, მემარჯვენები, თავის მხრივ, ამტკიცებენ, რომ კერძო მეწარმეობა უნდა მოქმედებდეს ეკონომიკის ყველა სფეროში, სადაც ეს შესაძლებელია, ხოლო სახელმწიფო საკუთრება კი მხოლოდ იქ, სადაც ეს აბსოლუტურად აუცილებელია.

კერძო საკუთრების ნებატიურ მხარეებთან, ადამიანთა გაუცხოებასა და ეკონომიკის ფრაგმენტაციასთან ერთად, მას გამაერთიანებელი ფუნქციაც აქვს. ადამიანი შეიძლება ნატურალურ მეურნეობას ეწეოდეს, მოიხმარდეს თავისი მიწის ნაკვეთის პროდუქტს ან სხვა შემთხვევაში, საზოგადოებრივი წყაროებიდან იღებდეს საზრდოს, მაგრამ, მისი მოთხოვნილებების აბსოლუტური უმრავლესობის დაკმაყოფილება მაინც პროდუქციის ყიდვა-გაყიდვის მეშვეობით ხდება. მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მწარმოებლებს და მომხმარებლებს შორის ეკონომიკური კავშირების გაბატონებული ფორმა არ არის არც ნატურალური მეურნეობა და არც საზოგადოებრივი დოკუმენტის ცენტრალიზებული განაწილება, არამედ, ბაზარი, რომელიც კერძო საკუთრების გარეშე არ არსებობს. ბაზარი ქმნის კონკურენციაზე დამყარებულ, ადამიანის ჩარგვისაგან დამოუკიდებლად მოქმედ ბუნებრივ ეკონომიკურ პარმონიასა და

წონასწორობას, რომელიც გაცილებით მეტი მნიშვნელობისაა და მეტი სარგებლობა მოაქვს, კიდრე კერძო საკუთრების მიერ მოტანილ ზიანს.

სოციალისტები ამტკიცებენ, რომ „ჭეშმარიტი დემოკრატია“ და კაპიტალიზმი შეუთავსებელია. მათი ოპონენტები კი დარწმუნებული არიან, რომ დემოკრატიას საშიშროება ემუქრება არა იმდენად ინდივიდების ხელში საკუთრების კონცენტრაციის, არამედ, მთავრობის მიერ ხელისუფლების კონცენტრაციის გამო (რასაც სოციალისტები საჭიროდ მიიჩნევენ).

დღესაც ბევრნი, მათ შორის მემარჯვენები, აღიარებენ, რომ თანამედროვე პირობებში კერძო მითვისებამ საქმაოდ საშიში ფორმები მიიღო. მსოფლიოში იზრდება ქონებრივი პოლარიზება. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის ძირითადი სუბიექტი, უკვე ფაქტობრივად, სახელმწიფო აღარ არის, როგორც ეს საუკუნეების მანძილზე იყო, არამედ კერძო ინტერნაციონალური კორპორაციებია. მოწინავე სახელმწიფოებიც კი უძლეურებია ნარკობიზნების განვითარების წინააღმდეგ ბრძოლაში. იზრდება „გულის გათერების“ მასშტაბები. ყოველივე ეს, უდავოდ, საშიში ტენდენციებია, მაგრამ დასკვნა დიამეტრულად განსხვავებული კეთდება. მემარცხენები საუბრობენ კერძო ბიზნესში სახელმწიფოს ჩარევის გაძლიერების აუცილებლობაზე. მემარჯვენები კი, იმ პოზიტიურ შედეგებზე, რაც კერძო კაპიტალის განსაზღვადოებას და, შესაბამისად, ბიზნესის „გამჭვირვალობის“ ზრდას მოაქვს.

მემარცხენებისა და სოციალისტებისთვის სასურველია ისეთი ხელისუფლება და კონსტიტუცია, რომელსაც ექნება შეუზღუდავი ან ნაკლებად შეზღუდული ეკონომიკური საზღვრები. მისი კეთილშობილური მიზანი იქნება სოციალური სამართლიანობის მიღწევა, რაც გამოიხატება „სოციალურად თრიენტირებული საბაზრო ეკონომიკის“ კონცეფციით. მემარჯვენება აზრით, ეს უკანასკნელი სხვა არაფერია, თუ არა შეუთავსებელი

მოვლენების და სფეროების ერთ კონტექსტში უმართებულოდ მოთავსება. მართლაც, მნელი წარმოსადგენია, თუ როგორ არის შესაძლებელი საბაზრო ურთიერთობის ქსოვილში, რომლის შინაარსიც შეზღუდული რესურსების კონკურენტული მექანიზმის მეშვეობით უკეთ განაწილება და გამოყენებაა, ყოველ მის ორგანოსა და ინფრასტრუქტურულ ურთევლის დაინერგოს დიამეტრულად განსხვავებული საზოგადოებრივი ფასეულობა – სოციალური გარანტიების უზრუნველყოფა. ამის გაკეთება შეიძლება მხოლოდ ბაზრის გარედან, საზღვრის მეორე მხრიდან, სადაც სახელმწიფო, როგორც საერთო ინტერესების მატარებელი, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის სხვა სუბიექტებთან ერთად, წარმოგვიდგება თანასწორულებიან და „თამაშის წესების“ მიხედვით მოქმედ ერთ-ერთ ეკონომიკურ აგენტად.

როგორც ჩანს, იდეა ხელისუფლების წინასწარდადგენილი ლიმიტების შესახებ, ისევე, როგორც იდეა, რომლის თანახმად ხელისუფლებამ მათ გარეშე უნდა იმოქმედოს – ჯერჯერობით ვერ პოულობს გადამწყვეტ უპირატესობას. გარკვეულწილად ეს იმიტომაა, რომ პირველი გულისხმობებს კარგი მმართველის საქმიანობის შეზღუდვას, მეორე კი – რომ ცუდიც არ უნდა შეიზღუდოს.

დასავლეური ტიპის კონსტიტუციონალიზმა „ცივი ომის“ შედეგების მიხედვით მსოფლიოსტორიული გამარჯვება მოიპოვა. მაგრამ, მივაკი ეს იდეოლოგია საქმის ლოგიკურ დასასრულამდე? გახდება თუ არა ლიბერალური დემოკრატია გლობალიზაციის პროცესების სტრუქტურის შემქმნელი და მისი მამოძრავებელი ძალა? ან იქნებ გლობალური საზოგადოების ჩამოყალიბების შექმნაში ჩინეთს მიეცემა ისტორიული პერსპექტივები? ამავე დროს გლობალურმა კონსტიტუციონალიზმა შეიძლება ძირფესვიანად შეცვალოს ეროვნული კონსტიტუციონალიზმის შინაარსი და პერსპექტივები. ხელისუფლება

დღეს ეროვნული პოლიტიკური ელიტების ხელშია. კი ხელში მოქმედება ის ხელ?

კოსტიტუციონალიზმის სპეციფიკური ნიშნები

ეროვნულ სპეციფიკასთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სამართლებრივი კვლევის და მისი პრაქტიკული ამოქმედების ის მიმართულებები (შედარებითი კონსტიტუციონალიზმი), რომლებიც ხაზს უსვამს დიდებრალური კონსტიტუციონალიზმის განვითარების ცალკეული მოდელების თვისებებს, რათა მათი კონკრეტული მიღწევები კონსტიტუციონალიზმის საერთო საგანძურს შექმატოს, ხოლო მცდარი მიმართულებების გამეორება კი აღარავის მოუხდეს.

ამასთან, მრავალი მკვლევარი აღნიშნავს, რომ თეორიულად შესაძლოა იყოს მისაღები, მაგრამ პრაქტიკულად სრულიად მიუღებელია, მაგალითად, ბოლო დროს რესეთის ფედერაციაში გავრცელებული მოსაზრებები „სუვერენული დემოკრატიის“ შესახებ, რომელიც ქვეყნებს შორის განმსხვავებელი ნიშნების განსაკუთრებულობაზეა კონცენტრირებული. უფრო მეტიც, თვით ეს „რესული მოდელი“ ხალხზე მოხვეული ხელოვნური წარმოდგენებია, რომლებიც ფაქტიურად დემოკრატიზმის და კონსტიტუციონალიზმის პროფანაციაა და ქვეყნის მმართველობაში ავტორიტარული ტენდენციების გაძლიერების იდეოლოგიური და სამართლებრივი საფუძლების შექმნას ემსახურება.

აღმოსავლეთ ევროპის და ყოფილი სსრკ პოსტკომუნისტური ქვეყნების კონსტიტუციონალიზმის განვითარებას, რა თქმა უნდა, თავისი გასათვალისწინებელი სპეციფიკა აქვს, თუმცა, მოვლენები აქ მეტწილად (ბელორუსის, უზბეკეთის და თურქმენეთის გარდა) ლიბერალურ კალაპოტში მიმდინარეობდა და ლიბერალური კონსტიტუციონალიზმის პრინციპები არ შეულასავს. პირიქით, რეალური ეკონომიკური ცხოვრება მეტისმეტი

მემარჯვენებისკენ გადაიხარა, რამაც „ველური კაპიტალიზმი“ და ოლიგარქების ბატონობა წაახალისა. ასეთი მოვლენების წინააღმდეგ უძლური აღმოჩნდა როგორც ახალი კონსტიტუციები, ასევე ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა. კაპიტალიზმის ძირებული ნიშნები უფრო სწრაფად აღმოცენდა, ვიდრე მისი არსისთვის უცხო სოციალური დაცვის მექანიზმები.

მეორე მხრივ, კონსტიტუციონალიზმის მკვლევარები აღნიშნავნ, რომ კომუნისტური იდეოლოგიის და პრაქტიკის მიერ ხალხის მენტალიტეტში დატოვებული კვალი ინდივიდუალიზმის და კომუნიტარიზმის ოპტიმალური, ადამიანის ბენგბისთვის დამახასიათებელი თანაფარდობის ჩამოყალიბებასაც უშლიდა ხელს, რაც გარკვეულად არააღეკვატურს ხდიდა წარმოდგენებს სოციალური სამართლიანობის შესახებ. საზოგადოების მთელი ფენები ხშირ შემთხვევებში მზად არ აღმოჩნდნენ შეელიონ სახელმწიფოს კმაყოფაზე ყოფნის ფსიქოლოგიას პირადი თავისუფლებების შეკვეცის საფასურადაც კი.

